პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დაწესებულებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 6—48

პარასკევი, 23 ივლისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 166 (1711)

დ ღ ი უ რ ი

— საფრანგეთის სოც. პარტიის აღმასკომმა ერთა ლიგიდან გამოიწვია პოლ ბონკური.
— ბერლინში შესდგა ქვემო რეინის მთლიანობის კომიტეტების კონფერენცია.
— შესდგა საბერძნეთის მთავრობა ავტაქსიასის მეთაურობით.
— „ვესტმინსტერ გაზეტ" შესაძლებლად თვლის ბალდუინის გადადგომას შემოდგომაზე.
— კანტონში გაიხსნა კანტონის მთავრობისა და გონკონგის წარმომადგენელთა კონფერენცია.
— სიდნეიში (ავსტრალია) მოწვეულია წყნარი ოკეანის სანაპიროების მუშათა კონფერენცია.

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

ძ ე რ ჟ ი ნ ს კ ი

ფრუნზე, შემდეგ ძერჟინსკი.

ლენინის ძველმა გვარდიამ კიდევ ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი და მებრძოლი დაჰკარგა. პარტიამ კიდევ ერთი აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.

ეხლა, როცა ახდილ კუბოს წინ იგონებ ძერჟინსკის მიერ განვლილ გზას: ციხეებს, კატორღას, გადასახლებას, კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლ საგანგებო კომისიას, დანგრეული ტრანსპორტის აღდგენას, ახალგაზრდა სოციალისტურ მრეწველობის შენებას, გინდა ერთი სიტყვით, დაახასიათო ეს აღგზნებული ცხოვრება: წვა. წვა, გმირული გამბედაობა, ბრძოლა დაბრკოლებების წინააღმდეგ.

ოქტომბრის რევოლიუციამ მას დააკისრა მძიმე მოვალეობა, კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლ საგანგებო კომისიის ხელმძღვანელობა. ბურჟუაზიას არავინ არ ეჯავრებოდა ისე, როგორც ძერჟინსკი, რომელიც ფოლადის ხელით იგერიებდა პროლეტარული რევოლიუციის მტრების იერიშებს. ბურჟუაზიის რისხვა—აი, ვინ იყო ფელიქს ძერჟინსკი.

„სამშვიდობო ეპოქა" იწყება—ძერჟინსკი იწვის, მოჰყავს რა წესრიგში მოშლილი ტრანსპორტი. შემდეგ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის ალაგზე ის იწვის, მუშაობს რა ჩვენი მრეწველობის აღმშენებლობისათვის.

მან არ იცოდა დასვენება, ის არ გაურბოდა არავითარ შავ მუშაობას. მთელ თავის ძალღონეს და ენერგიას სწირავდა იმ საქმეს, რომელიც მას ჩააბარა პარტიამ და დაიწვა ამ მოუსვენარ მუშაობაში პროლეტარიატის სასარგებლოთ.

მშვიდობით ოქტომბრის გმირო! მშვიდობით პარტიის ერთგულო შვილო!

მშვიდობით ჩვენი პარტიის მთლიანობის და ძლიერების მშენებელო!

ი. სტალინი.

(ტელეგრაფით მოსკოვიდან).

ფ ე ლ ი ქ ს ი მ ო კ ვ დ ა

ფელიქსი მოკვდა. ამ ამბავმა 20 ივლისს ყველას თავზარი დასცა. ის განსაკუთრებულის სიმწვავით იგრძნეს იმ ამხანაგებმა, რომელნიც ჯერ კიდევ 2 ნახ. საათის წინ ფელიქსის სიკვდილამდე მის აღგზნებულ სიტყვას ისმენდენ საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმზე.

განსაკუთრებით მძიმეა ფელიქსის სიკვდილი ყველა იმათთვის, ვისაც ბედნიერება ჰქონდა გაეცნო ის პირადად და ეწარმოებია მასთან ერთად პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობა.

ფელიქსის განმასხვავებელი თვისება იყო სასტიკი ასკეტიზმი პირად ცხოვრებაში და მთელი თავისი ძალების და ნერვების უსაზღვრო ხარჯვა პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე.

ფელიქსს არ შეეძლო სანახევროდ მოეკიდა საქმისათვის ხელი. პირიქით, ყოველ საქმეს ის თავდავიწყებით სწირავდა ყველა თავის ძალებს და ენერგიას. ის იწვოდა რევოლიუციონურ მუშაობის მგზნებარე ცეცხლით.

ის უდიდეს ენერგიას იჩენდა ყოველგვარი მარცხის დროს და თავისი განსაცვიფრებელი ძალების დაჭიმვით, სულ ახალ და ახალ ამოცანებს აყენებდა პარტიის და სახელმწიფოს წინაშე. ის გამარჯვების რწმენას ბადებდა ყველაში არა ბრძანებით, არამედ პირადი მაგალითით, ამუშავებდა ყველას არა შიშის, არამედ სინდისის ქვეშ.

ვინც ფელიქსს იცნობდა ყველას უყვარდა ის. ფელიქსი უყვარდათ იმისთვის, რომ ის იყო რევოლიუციის, მუშათა კლასის კომუნისტური პარტიის უანგარო და ერთგული მებრძოლის განსახიერება.

ფელიქსის სახით ჩვენ დავკარგეთ ოქტომბრის რევოლიუციის გმირი, ჩვენ დავკარგეთ უწმინდესი გული, დავკარგეთ უდიდესი გაქანების კაცი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე რევოლიუციის სამსხვერპლოზე მიიტანა.

ის მთელი თავისი სულით და გულით დაკავშირებული იყო პარტიასთან. მასთან გაატარა მან მთელი თავისი ცხოვრება, მას შესწირა მთელი თავისი ძალღონე. ის მოკვდა პარტიის სადარაჯოზე. პარტიული ცხოვრების საკითხები მას ყველაზე მეტად აღელვებდა.

„იბრძოლეთ გადაჭრით და მთელი თავისი ენერგიით ყოველგვარი საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება პარტიის მთლიანობას"—აი, რას იმეორებდა ყველაფერზე უფრო ხშირად ფელიქსი.

პარტია შეასრულებს ძერჟინსკის ამ ანდერძს.

ა. რიკოვი.

(ტელეგრაფით მოსკოვიდან).

ა მ ხ. ი უ ზ ე ფ ი

პირველად შევხვდი 1906 წელს, მაშინ ახალგაზრდა იუზეფი (ამხ. ფელიქს ძერჟინსკი) ეკუთვნოდა პოლონეთის და ლიტვის სოც.-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც ბოლშევიკებთან მეგობრულ განწყობილებაში იყო. ლეო იოგიხესის (ტიშკო) თანამებრძოლი და როზა ლიუქსემბურგის მოწაფე იუზეფი უკვე მაშინ განსაკუთრებით დაახლოებული იყო ბოლშევიკებთან.

ჩემს მეხსიერებაში მკაფიოდ დარჩა ახალგაზრდა, მგზნებარე, პირად ურთიერთობაში მომხიბლავი ფელიქსის სახე.

1907 წელს ლონდონის ყრილობაზე ფელიქსი არ ყოფილა. თუ არ ვცდები, ის მაშინ ციხეში იჯდა. შემდეგ— კონტრრევოლიუციის ხანა, პარტიისათვის ბრძოლის ხანა—ბოლშევიზმისათვის ყველაზე უფრო მძიმე დრო. ყველა საკითხებში, რომლებშიაც პოლონელი ამხანაგები არ ეთანხმებოდენ მაშინ ბოლშევიკებს, იუზეფი ყველაზე უფრო უახლოვდებოდა ბოლშევიკურ პარტიას.

შემდეგ, 1917 წელს აპრილის კონფერენცია—ფაქტიურად ბოლშევიკების პირველი ლეგალური ყრილობა ცარიზმის დამხობის შემდეგ. ძერჟინსკი ბოლშევიკების პირველ ლეგალურ ცეკას უდავო კანდიდატია.

ოქტომბერი. ჩეკა. ვინ უნდა იქნეს ისეთი ორგანოს თავმჯდომარეთ, როგორიცაა ჩეკა, ბურჟუაზიის რისხვა და პროლეტარული რევოლიუციის რკინის ხელი? რასაკვირველია, ამხ. იუზეფი.

შემდეგ, სამეურნეო ფრონტი. ფელიქსი მთელი თავისი უსაზღვრო ენერგიით, მთელი თავისი სულის სიძლიერით უანგაროთ ეწირება სოციალიზმის საქმეს.

მოკვდა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის და საერთაშორისო მუშათა კლასის ერთ-ერთი საუკეთესო ბელადი. აღარ ფეთქს გული, რომელიც მთლიანად და სავსებით ეკუთვნოდა პროლეტარულ რევოლიუციას.

მოკვდა მებრძოლი და მშენებელი, რომლისაც სჯეროდათ, რომელიც უყვარდათ და, რომელსაც მიჰყვებოდენ.

იუზეფის ხსოვნა ცოცხალი იქნება ჩვენს პარტიაში, კომინტერნში და მსოფლიო პროლეტარიატში.

გ. ზინოვიევი.

(ტელეგრაფით მოსკოვიდან).

ფელიქსის ხსოვნისათვის

ფელიქს ძერჟინსკის სახელს მთელი ქვეყანა იცნობდა, მაგრამ ყოველთვის, როცა მას ადამიანი პირველად ეცნობოდა, ხშირად ის გაკვირვებული რჩებოდა. ნუ თუ ეს კაცი, რომელიც თავზარს სცემს პროლეტარიატის მტრებს, იგივე ფელიქსია, მომხიბვლელი თავისი უბრალოებით, ულრმესი პირდაპირობით და გულახდილობით, რომელიც ასე აჯადოებს ყველას მგრძნობიარობით და გულთბილობით.

მაგრამ ის, ვინც მას იცნობდა არა მარტო მისი ცხოვრების იშვიათ ინტერვალების დროს, როცა ის ცხოვრობდა უბრალოდ, როგორც სხვები, არამედ მაშინაც, როცა ის მოქმედებდა, არასოდეს არ დაივიწყებს მისი მეორე სახის მოელვარე სილამაზეს. ასეთ მომენტებში ის უბრალოდ კი არ იბრძოდა, არამედ იწოდა რევოლიუციონურ ბრძოლის ცეცხლით. ის უდიდესი მისწრაფებების კაცი იყო არა სიტყვით, არამედ მთელი თავისი სულით და არსებით. ის იყო ნამდვილი რაინდი, რომელმაც გაუტეხელი ფიცი დასდო შეეწირა მთელი თავისი ენერგია და ძალღონე რევოლიუციონური პროლეტარიატის ბრძოლისათვის, შეეწირა მთელი თავისი სიცოცხლე იმ საქმისთვის, რომელიც ჰქმნის ახალ ქვეყანას, ახალ ცხოვრებას.

მისი უკანასკნელი სიტყვა ცეკას პლენუმზე მხოლოდ ერთი აკორდია მისი მგზნებარე და ცეცხლოვანი იერიშებისა იმ დაბრკოლებების წინააღმდეგ, რომლებიც აუცილებელია ძველი ქვეყნიდან ახალ ქვეყანაში გადასვლის პერიოდში. განა იმას, ვისაც გაუგონია ეს სიტყვა, ვისაც უნახავს ეს ორატორი, შეუძლია დაივიწყოს მისი სახე, აღგზნებული მებრძოლის სახე.

დიახ, ასეთი მრისხანე იყო ფელიქსი ყველა იმათთვის, ვინც წინ ეღობებოდა მისწრაფებებს და მიზნებს.

ფელიქს ძერჟინსკის ცხოვრება—ეს არის წიგნი დიადი სოციალური ბრძოლებისა წითელი ოქტომბრისათვის. ამ წიგნის ფურცლები უნდა შეავსონ მისმა მეგობრებმა. ის საჭიროა არა მარტო იმისთვის, რომ გაბათილებულ იქნეს სიცრუე და ცილისწამება, რომელსაც მის პიროვნების გარშემო თხზავდენ პროლეტარიატის უამრავი მტრები, არამედ იმისთვისაც, რომ ასეთი წიგნი ენერგიას და ცოდნას შემატებს მომავალ მებრძოლთ.

ვიგონებ ფელიქსს, როცა ის ინიშნებოდა ჩვენი ტრანსპორტის ბედიღბალის გამგეთ. ის უდიდესი სიფრთხილით და ურყევი რწმენით ჰკიდებს ხელს მისთვის სრულიად ახალ საქმეს. ტრანსპორტის მოშლა უკიდურეს საზღვრამდე აღწევს და მის მოწესრიგების გარეშე შეუძლებელია რაიმე სამეურნეო მშენებლობა. როგორი შიშით შეხვდენ ამ დანიშვნას რკინისგზის ტრანსპორტის გამოცდილი მუშაკები. არავის ეჭვი არ შესდიოდა იმაში, რომ ფელიქსმა იცის რევოლიუციის ხმალის მოხმარა, მაგრამ შესძლებს თუ არა იგივე ხელი, რთულ, ნახევრად დანგრეული სატრანსპორტო აპარატის მოწესრიგებას?

მაგონდება როგორ სწრაფად გაიცანტა ეს შიში, როგორ გახდა ფელიქსი ცენტრალურ ფიგურათ ტრანსპორტის აღდგენისათვის მებრძოლთა შორის, როგორ აღაფრთოვანა თავისი ურყევი ენერგიით ათეული ათასი მუშაკები და შთაუნერგა მათ მტკიცე რწმენა პროლეტარულ აღმშენებლობის გამარჯვებისა ყველა გზებზე და ყველა მიმართულებით.

როგორც ვიცით, ტრანსპორტის მოშლაზე ჩვენი მტრები დიდ იმედებს ამყარებდენ. ამ იმედების გაცრუებაში დიდი როლი ითამაშა ფელიქს ძერჟინსკიმ, რომელმაც ამ საქმეს მოანდომა მთელი თავისი საკვირველი ენერგია და გატაცება.

მაგრამ აი, ჩვენ წინაშე სდგას კიდევ უფრო ძნელი ამოცანა. ტრანსპორტიდან კიდევ უფრო გრანდიოზულ საქმეზე—სამრეწველო აღმშენებლობაზე გადასვლა.

სამეურნეო მუშაობის ეს ფრონტი კიდევ უფრო მრავალმხრივი და დიდმნიშვნელოვანია.

უნდა გენახათ მისი შეშფოთება, მზრუნველობა და მღელვარება სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში მუშაობის პირველ პერიოდში, რომ სავსებით და ღირსეულად დააფასოთ ის უდიდესი მსხვერპლი, რომელიც გაიღო ამ კაცმა თავისი ცხოვრების ამ უკანასკნელ ხანაში. ძერჟინსკი სწორად მიუდგა აღმშენებლობის საქმეს და ეჭვს გარეშეა, რომ ამით მან მოგვცა პროლეტარული სოციალისტური აღმშენებლობის ის განსაკუთრებული სახე, რომელმაც მომავალში უნდა უზრუნველყოს არა მარტო ინდუსტრიალიზაციის არაჩვეულებრივად სწრაფი ტემპი, არამედ უნდა შექმნას ისეთი მდგომარეობა, როცა ინდუსტრიალიზაცია მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის სასარგებლოდ იქნება მიმართული.

შრომის და თავდაცვის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მეძლაუკმა პატარა ქაღალდზე მოხდენილად მოხაზა ძერჟინსკის პორტრეტი. მან ეს პორტრეტი მოათავსა ბაირაღზე, რომელიც, პირველი შეხედვით, სამგლოვიაროს ჰგავდა. მე ძერჟინსკიმ მიჩვენა ეს ნახატი და მას წამოცდა წინასწარმეტყველური ფრაზა: „შეხედეთ, მე უკვე მმარხავენ".

და აი უკვე ჩვენთან აღარ არის ჩვენი თავდადებული წითელი რაინდი! ამ მწარე წუთებში ჩვენ შეგვიძლია ვინუგეშოთ თავი მხოლოდ იმით, რომ ძერჟინსკიმ თავი შესწირა დიდ საქმეს. ეს კი იმის თავდებია, რომ ფელიქსის ხსოვნა არ მოკვდება მებრძოლ პროლეტარიატის მომავალ თაობებში.

კრჟიჟანოვსკი

(ტელეგრაფით მოსკოვიდან).

ფ. ძერჟინსკის ხსოვნას

წერა ფ. ე. ძერჟინსკის შესახებ, როგორც გარდაცვალებულზე — ადვილი საქმე როდია. მეტად ცოცხალი ადამიანი იყო იგი და დაულალავად სჩქეფდა მისი სიცოცხლის ენერგია. ის რაღაც განსაკუთრებით წმინდათ და მხურვალედ იწოდა ცოცხალი ენერგიის ცეცხლით, არაჩვეულებრივად მძლავრად სჩქეფდა მისი ტემპერამენტი და განსაკუთრებული სიწმინდით იყო გასხივოსნებული. მისი წარმოდგენა, როგორც ცხედრის... ამას ვერ ეგუება გონება.

უდიდეს რევოლიუციონერების სიკვდილი, თითქოს უკან, ფარდას ხდის იმ ეპოქას, რომლის პირობებში მიმდინარეობდა მათი მოღვაწეობა. ამხ. ძერჟინსკის ისტორიაში ერთი კი არა, არამედ ორი ეპოქაა, ამ სიტყვის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობით.

ამხ. ძერჟინსკის მოღვაწეობა მიმდინარეობდა მსოფლიო ისტორიის ორი საფეხურის მიჯნაზე, ორი სამყაროს მიჯნაზე. და ორივე ეს სამყარო ერთმანეთს შორის მწვავე—სისხლის მღვრელ ბრძოლას აწარმოებს მსოფლიოს ყველა პლაცდარმებზე.

ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ღრიანცელი, სისხლი და საშინელება კაპიტალიზმის. ჯერ კიდევ ძალოვანად არ გახვეულა შრომის რევოლიუციის გრიგალში მთელი სამყარო, რომელიც, ჰეგელის სიტყვებს ვიხმართ, ისტორიის მორიგ საფეხურს წარმოადგენს. ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ განმტკიცებულან სავსებით რევოლიუციის მონაპოვარნი, სამყარო ემზადება შრომისა და კაპიტალის მომავალი შეჯახებისათვის, ხოლო შრომის რევოლიუციის ძველი გვარდია, ამ ბრძოლებში გამობრძმედილი ერთი მეორეზე სტოვებს ცხოვრებას ისე, რომ ვერც კი ასწრებენ რევოლიუციის მომავალ თაობას გადასცენ თავისი დიდი გამოცდილება.

ფ. ე. სცხოვრობდა და იბრძოდა ჩვენი ქვეყნის სამ რევოლიუციონურ ეპოქაში: მუშათა კლასის დამარცხებისა და გამარჯვებათა ეპოქაში, ჯერ არ ნახული მსოფლიო იმპერიალისტური ომის ეპოქაში, რომელმაც სისხლში აბანავა დედამიწა და პროლეტარულ რევოლიუციათა დასაწყისის ეპოქაში. ის სცხოვრობდა იმ დროს, როდესაც განწირული მემამულეთა და კაპიტალისტური კლასები არ ხუმრობენ ისეთ პროლეტარულ რევოლიუციონერებთან, როგორიც იყო ძერჟინსკი. მის უკვე გაციებულ ფეხებზე ალბად ჯერ კიდევ დარჩენილია მეფის ბორკილების კვალი, ისევე, როგორც მის ჯანმრთელობას დააჩნდა ოროლოვის ცენტრალი, რომლის საშინელებათა შესახებ რევოლიუციისათვის წამებულთ ბევრის თქმა შეუძლიან, ისევე როგორც შერჩა იაკუტსკის ტრაქტის, ფლაგიმირკის და ლენის ეტაპების, ცარიზმთან ბრძოლის კვალი; მაგრამ ამასთანავე ერთად დარჩა სხვა გმირული კვალი მისი ცხოვრებიდან, რომელიც არასოდეს არ მოკვდება და რომელიც სასახელოთ გადაეცემა საუკუნიდან საუკუნეებს.

ფ. ე. ძერჟინსკის მკვდარ სახეს სამი რევოლიუციის ბეჭედი აზის, მისი სახე პროლეტარული რევოლიუციონერის გმირული ბრძოლისა და წამების კვალით არის გადასერილი. მისი გმირობის ამბავს შთამომავლობას გადასცემენ ისტორიკოსები, პუბლიცისტები, პოეტები, და უმთავრესად ის საქმეები, რომელსაც ისეთი ხალხი აკეთებს, როგორც ძერჟინსკი.

1905 წლის რევოლიუციის წინა ხანებში დაიწყო მან თავის რევოლიუციონური ცხოვრება, შესწირა ის მუშათა კლასის რევოლიუციას და დაამთავრა მაშინ, როდესაც რევოლიუციამ გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში.

30 წელზე მეტს იწვოდა ის შეუწყვეტლივ, შეუწყვეტლად სჩქეფდა დაულალავი ენერგია.

მან განვლო რევოლიუციონერის წამების გზა, განვლო ორი ათეული ულხესი განსაცდელისა და გაჭირვების წლები, განვლო ცარიზმის ციხეები, კატორღა, გადასახლება, — როგორც პროლეტარულმა რევოლიუციონერმა.

იქ, შორეულ წარსულში, 1895 წელს ძერჟინსკი ირჩევს ამ მძიმე გზას, არა პირადი ინტერესებით გატაცებული, არამედ თავის რწმენით, და პროლეტარული რევოლიუციონერის ამ რწმენისათვის ის მიდიოდა რეაქციის ცეცხლში, ამ რწმენით იწვოდა ის, მით იყო გასხივოსნებული გული მისი, გმირული ცხოვრება და მისთვის არა ერთხელ გადაუდვია თავი სასიკვდილოთ.

ამ რწმენამ მიიყვანა ის ოქტომბრის რევოლიუციამდე, შემდეგ კი სამოქალაქო ომში გამარჯვებამდე, ხოლო დაბოლოს სოციალისტურ აღმშენებლობამდე.

გმირულმა ცხოვრებამ დიდი ნაყოფი მოიტანა. ასეთია ფ. ე. ძერჟინსკის ცხოვრების სურათი. აი რატომ უნდა ისწავლონ მის მაგალითზე პროლეტარული რევოლიუციის ახალმა ძალებმა. აი რა უნდა გადმოიღონ მათ საუკუნოდ მძინარე ძერჟინსკისაგან.

ოქტომბრის რევოლიუციაში ფ. ე. ძერჟინსკი იყო არა მარტო მედგარი და რევოლიუციისათვის თავდადებული პროლეტარული მებრძოლი, ის ამავე დროს რევოლიუციის ხმალიც იყო, რომელიც თავზარს სცემდა ბურჟუაზიას.

მსოფლიო რეაქცია ზეიმობს ამხ. ძერჟინსკის გარდაცვალების გამო: „წავიდა დაბოლოს", მისი საშინელი და საშიში მტერი.

დაე „იზეიმოს" ბურჟუაზიამ. მისი ზეიმი ამაოა. ისეთი ადამიანები, როგორიც ძერჟინსკია ტყუილად არ ატარებენ თავის სიცოცხლეს, ტყუილად არ იბრძვიან ისინი. მათ თავის დიადი კვალი დააჩინეს დედამიწას. მათ გამოჰყავდათ და გამოიყვანეს ბრძოლისათვის მილიონი ადამიანები, ისინი ხელმძღვანელობდენ მილიონთა რევოლიუციონურ ბრძოლებს, მათ დარაზმეს მებრძოლი კალონებათ მუშათა კლასი და ყველა ჩაგრული მთელ ქვეყანაზე.

და სიკვდილის შემდეგაც, ისინი არა ნაკლებ საშიში არიან მტრებისათვის, ვიდრე სიცოცხლეში იყვენ. ისეთი ლამპარი, როგორც ძერჟინსკი, არ ქრება სიკვდილის შემდეგაც.

ამაოა ზეიმი კონტრრევოლიუციის. ამხ. ძერჟინსკის სახით გარდაიცვალა ერთ-ერთი საუკეთესო პროლეტარული რევოლიუციონერი, საუკეთესო მებრძოლი, ორგანიზატორი და აღმშენებელი.

დაე, ხსოვნა მისი სამარადისოდ იყოს პროლეტარიატისა და ყველა ჩაგრულთა გულში.

პ. ზალუცკი.

დაემხო ერრიოს მთავრობა, ახალის შედგენა მიენდო პუანკარეს

დიდი დემონსტრაციები დეპუტატთა პალატის წინ.—დემონსტრანტები მუნიციპალურმა გვარდიამ გაჰფანტა

პარიზის ბირჟას პოლიცია იცავს.-თავდასხმები ამერიკელებზე და ინგლისელებზე

პოლონეთის სეიმმა მთლიანად არ მიიღო კონსტიტუციის შეცვლის პროექტი

ისევ უმთავრობოთ

ერრიო გადადგა

პარიზი, 21 ივლისი. 21 ივლისს ერრიო პალატაში გამოვიდა მთავრობის დეკლარაციით. დეკლარაცია მოუწოდებს პალატას დაუყოვნებლივ მიიღოს დადგენილებები იმ დაბრკოლებების გადასაჭრელად, რომელნიც წარმოიშვენ ვალის გადახდასთან დაკავშირებით. მთავრობა უარს იტყვის აღებ-მიცემობაში მყოფ ქაღალდის ფულის გადიდებაზე და გაატარებს ფრანკის სტაბილიზაციას, მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა მარტო გარედან მიღებული დახმარებით. მთავრობა გახსნის საფრანგეთის ბანკში უცხოეთის ვალიუტის ანგარიშს, რათა დააბრუნოს საფრანგეთში ის უცხოეთის ვალიუტა, რომელიც ეკუთვნის ფრანგებს და შეიტანს პალატაში პროექტს შრომის პროდუქციაზე და მომჭირნეობით დაგროვილ დოვლათზე არსებულ გადასახადის შეზღუდვის შესახებ. მთავრობა შეამცირებს სახელმწიფო ხარჯებს.

პარიზი, 21 ივლისი. **ერრიოს მოხსენების შემდეგ პალატამ 290 ხმის უმრავლესობით 237 ხმის წინააღმდეგ უნდობლობა გამოუცხადა ერრიოს.**

პარიზი, 21 ივლისი. **21 ივლისს საღამოს 10 საათზე ერრიოს მთავრობა გადადგა.**

პუანკარე—ომი ფრანკის მხსნელი

პარიზი, 21 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი დუმერგი ერრიოს გადადგომის შემდეგ დაუყოვნებლივ შეუდგა მოლაპარაკებას მთავრობის შედგენის შესახებ. კაბინეტის შედგენას ალბად პუანკარეს დაავალებენ.

რენოდელებს მინისტრობა სურთ

პარიზი, 21 ივლისი. **25 სოციალისტმა დეპუტატმა რენოდელის (სოციალისტების მემარჯვენე ფრთის ბელადი) მეთაურობით გამოაქვეყნეს პროტესტი იმის გამო, რომ სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა დასტოვოს ძალაში პარტიის ყრილობის დადგენილება, რომელიც სოციალისტებს უკრძალავს ბურჟუაზიულ მთავრობებში მონაწილეობას.**

ერრიო დამარცხდა

ლონდონი, 22 ივლისი. „დეილი მეილ"-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ერრიო დამარცხდა დეპუტატთა პალატაში. **პალატამ 290 ხმის უმრავლესობით 287-ის წინააღმდეგ უნდობლობა გამოუცხადა მას. ერრიო გადადგა.**

ერრიოს დაპირებები

ლონდონი, 22 ივლისი. თავის დეკლარაციაში ერრიო დაპირებას იძლეოდა რომ არ გაადიდებდა აღებ-მიცემობაში მყოფ ბანკნოტების რიცხვს. უცხოეთის ვალიუტა, რომელსაც ფრანგები სხვა სახელმწიფოებში ინახავდენ, უნდა დაბრუნებული ყოფილიყო საფრანგეთში.

ერრიოს დაცემის შემდეგ

ლონდონი, 22 ივლისი. ფრანკი, რომელიც ბირჟაზე იმდენად დაცემული იყო, რომ გირ. სტერლინგში 244 ფრანკს აძლევდენ, ბირჟის დახურვის წინ აიწია: გირვანქაში 219½ ფრ. აძლევდენ.

საქონელი ფრანკზე უფრო საიმედოა

ლონდონი, 22 ივლისი. **პარიზის მოსახლეობა აწყდება მაღაზიებს, ყიდულობს პროდუქტებს და სხვადასხვა საქონელს იმ მოსაზრებით, რომ საქონელი ფრანკზე უფრო საიმედოა. ზოგიერთი მაღაზიები საქონელს ჰყიდიან მხოლოდ დოლარებსა და სტერლინგებზე.**

„ყოფილი მოკავშირეები"

პარიზი, 21 ივლისი. **21 ივლისს პარიზში სცემეს რამოდენიმე ამერიკელს, რომელნიც დაცინვით იხსენიებდენ ფრანგებს.**

შაილოკი ღელავს

ლონდონი, 22 ივლისი. როგორც რეიტერის სააგენტო ნიუ-იორკიდან იუწყება, ხმებმა იმის შესახებ, რომ საფრანგეთის ბანკმა ხუთშაბათს უნდა შესწყვიტოს ვალის გადახდა, უოლსტრიტზე (ბირჟა) დიდი მღელვარება გამოიწვია. ქაღალდის ფასები დაეცა, რადგან სპეკულიანტები სცდილობდენ ეს ცნობა კურსის დასაცემათ გამოეყენებიათ.

პარიზიდან მიღებული ცნობით, ეს ხმები გამოიწვია გაუგებრობამ ფინანსთა სამინისტროს განცხადების გამო.

როგორც ფინანსთა მინისტრმა სთქვა, ხაზინის ბანკში აქვს სულ 300.000 გირ. სტერლინგი და, თუ დეპუტატთა პალატამ არ გადასდგა საჭირო ნაბიჯი, მთავრობა იძულებული იქნება შესწყვიტოს ვალის გადახდა. მთავრობა პალატაში შეიტანს კანონპროექტს, რომლის თანახმად ბანკს უნდა მიეცეს რწმუნება მოახდინოს მორგანის სესხის ნაშთის ლიკვიდაცია, ხოლო ამით თავიდან აცილებული იქნება გადახდის შეწყვეტა.

მღელვარება ბირჟაზე

პარიზი, 21 ივლ. **პარიზის ბირჟაზე დიდი მღელვარებაა. ბირჟის შენობის ირგვლივ დაყენებულია სამხედრო რაზმები. ბანკებს და ფულის დახახურდავებელ კანტორებს იცავენ პოლიციის პიკეტები. აღელვებული ხალხი თვალყურს ადევნებს უცხოეთის ვალიუტის კურსის ყოველგვარ ცვლილებებს.**

„აუცილებელი მსხვერპლი"

პარიზი, 21 ივლისი. ერიომ პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ ის წინააღმდეგია ახალი სესხის აღებისა უცხოეთში და მოუწოდებს საფრანგეთის ხალხს გაიღოს „აუცილებელი მსხვერპლი". ერიომ განაცხადა, რომ ის მხარს უჭერს გადასახადის შემოღებას, კეთილშენაძენ ქონებაზე, მემკვიდრეობაზე არსებულ გადასახადის გადიდებას და სავაჭრო გარიგებებზე დამატებითი გადასახადის შემოღებას.

კამპანია ერიოს სამინისტროს წინააღმდეგ

პარიზი, 21 ივლისი. ერიოს მთავრობის შედგენის გამო, საფრანგეთის ბირჟა და ბურჟუაზიული პრესა ცდილობენ პანიკის შექმნას. მემარჯვენე გაზეთები ათავსებენ კაბინეტის წინააღმდეგ მიმართულ წერილებს სათაურებით: „ძირს სამინისტრო", „უნდა გადადგეს" და სხვ.

შემნახველ სალაროებიდან შენახული თანხები უკან გამოაქვთ. მოსახლეობა გაფაციცებით ყიდულობს საქონელს მაღაზიებში. საერთო აზრით ერიოს სამინისტროს მხოლოდ სასწაული თუ გადაარჩენს.

დემონსტრაცია უცხოელების წინააღმდეგ

პარიზი, 21 ივლისი. ბრიანის მთავრობის გადადგომის შემდეგ ფრანკის შეუჩერებელმა დაცემამ საფრანგეთის საზოგადოებრივ წრეებში გააძლიერა მტრული განწყობილება შეერთებულ შტატებისადმი, რომლის პოლიტიკას სამხედრო ვალების საკითხში უწოდებენ „გირვანქა ხორცის" მოთხოვნას (შეილოკის, მიხედვით). ეს განწყობილება გამოიხატება იმაში, რომ მტრულად უყურებენ ამერიკელებს და ყველა იმ ქვეყნების მოქალაქეებს, რომელთა ვალიუტა მაღლა სდგას. ქუჩებში იმართება დემონსტრაციები პარიზში მყოფ ამერიკელების და ინგლისელ ტურისტების წინააღმდეგ. მონმარტრში ბრბო გარს შემოერტყა ავტობუსს, რომელშიაც იყვენ უცხოელი ტურისტები, და შეეცადა ეცემა მგზავრებისათვის. ბრბომ ავტობუსი გაანთავისუფლა მხოლოდ პოლიციელების მოსვლის შემდეგ.

ლათინთა უბანში ერთ-ერთ დიდ კაფეს ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ ის ღებულობს მხოლოდ დოლარებს და სტერლინგებს.

„მხსნელი" მთავრობა

პარიზი, 22 ივლისი. პალატის ყველა ჯგუფების 230 დეპუტატმა, უკიდურესი მემარჯვენეთა, სოციალისტებისა და კომუნისტების გარდა, მანიფესტით მიმართა რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომ შედგენილ იქნას „საზოგადოებრივი მხსნელი" მთავრობა ნაციონალური ბლოკის საშუალებით.

პარიზი, 22 ივლისი. პუანკარემ ინახულა დესელია, ბრიანი და ერიო და მიიღო ნაციონალურ ბლოკის კაბინეტის მომხრე სხვადასხვა ჯგუფების დელეგაცია.

„პარი - მიდის" ცნობით პუანკარე **დაიჭერს ფინანსთა მინისტრის პოსტს,** ბარტუ — გარეშე საქმეთა მინისტრის პოსტს. ასახელებენ აგრეთვე ტარდიეს, ბოკანოვსკის და ანრი სიმონს.

ალბერ სარრო დღისით მიიღებს სენატის ჯგუფების წარმომადგენლებს.

დემონსტრაციები დეპუტატთა პალატის წინ

პარიზი, 22 ივლისი. **დეპუტატთა პალატის წინ ბრბომ მოაწყო მთელი რიგი დემონსტრაციებისა. მუნიციპალურმა გვარდიამ გაფანტა ხალხი.**

პუანკარეს კანდიდატურა

ბერლინი, 22 ივლისი. **პუანკარეს მიენდო ახალი კაბინეტის შედგენა. მას ჰქონდა თათბირი გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან.**

პარიზის პრესა ფიქრობს, რომ ახალ კაბინეტში შევლენ ბრიანი, ტარდიე და სარრო.

უკანასკნელი ნაშთები

პარიზი, 22 ივლისი. სხდომაზე, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში გაგრძელდა, დეპუტატთა და თემთა პალატამ მიიღო დე-მონზის წინადადება მორგანის სესხის დანარჩენი თანხის—33 მილ. დოლარის გაყიდვის შესახებ. სანამ სხდომა გრძელდებოდა, ფრანკის კურსმა ცოტათი მოიმატა, გირვანქა სტერლინგი 225.000 ფრანკი ღირს.

ბ ა რ ტ ე ლ ი უ კ მ ა ყ ო ფ ი ლ ო ა

კონსტიტუციის შეცვლის კანონპროექტი

ვარშავა, 21 ივლისი. სეიმში დამთავრდა კონსტიტუციის შეცვლის კანონპროექტის მეორე კენჭის ყრა. მთავრობის და სეიმის კომისიის მიერ წამოყენებული მრავალი მოთხოვნილებები უარყოფილ იქნა. მიღებულია მუხლი, რომლის თანახმად სეიმი და სენატი ვალდებული არიან წინასწარი ბიუჯეტი განიხილონ 5 თვის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობის მიერ წარმოდგენილ საბიუჯეტო წინადადებებს ამტკიცებს პრეზიდენტი. სეიმის დათხოვნის შემთხვევაში მთავრობას უფლება აქვს გასწიოს ხარჯები, რომლებიც არ აღემატება წარსული წლის ბიუჯეტის სათანადო მუხლებს.

მიღებულია აგრეთვე მუხლი, რომლის თანახმად სეიმის დათხოვნის შემთხვევაში მთავრობას უფლება აქვს მოიწვიოს ახალწვეულთა ისეთი რაოდენობა, რომელიც არ აღემატება წარსული წლის ახალწვეულთა რიცხვს. პრეზიდენტს უფლება აქვს მოიწვიოს სეიმი ყოველ დროს და ის ვალდებულია მოიწვიოს უკანასკნელი დეპუტატების ერთი მესამედის მოთხოვნილებით. **სეიმი შეიძლება დათხოვნილ იქნეს პრეზიდენტის მიერ მთავრობის წინადადებით და აგრეთვე სეიმის დეპუტატთა სამი მეხუთედის ან სენატის ორი მესამედის მოთხოვნით.** დაბოლოს მიღებულ იქნა მუხლი, რომლის თანახმად სეიმის დეპუტატს ერთმევა რწმუნებები, თუ დამტკიცებულ იქნება, რომ ის ამ რწმუნებებით სარგებლობს ანგარების მიზნებისათვის. სეიმში უარყო სეიმის გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების (ძალაში შესვლის გადადების) უფლება, რომელსაც მოითხოვდა მთავრობა. უარყოფილ იქნა აგრეთვე წინადადება სეიმის დათხოვნის შემდეგ პრეზიდენტისათვის კანონის გამოცემის უფლების მიცემის შესახებ. სამაგიეროთ მიღებულ იქნა მუხლი, რომლის თანახმად სეიმს განსაკუთრებული დადგენილებით შეუძლია მიანიჭოს პრეზიდენტს განსაზღვრულ დროისათვის კანონის გამოცემის უფლება. რადგან სეიმმა კანონ-პროექტი საგრძნობლად შეჰკვეცა და მთავრობის უმთავრესი მოთხოვნილებები პრეზიდენტისათვის ვეტოს და კანონის გამოცემის უფლების მინიჭების შესახებ უარყოფილ იქნა, მთავრობამ მთელი თავისი ყურადღება გადაიტანა მთავრობის რწმუნებების გაფართოების საკითხზე. ამ საკითხის გარშემო კამათი უკვე დაიწყო.

ბარტელი იმუქრება

ვარშავა, 21 ივლისი. ჟურნალისტებთან საუბრის დროს ბარტელმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მას განსაკუთრებულ უფლებებს არ მისცემენ, მაშინ მთავრობა გადადგება. კანონ-პროექტის მესამე კენჭის ყრა მოხდება 22 ივლისს, მაგრამ ალბად ახალ ცვლილებებს არ შეიტანს წინანდელი კენჭის ყრის შედეგებში.

შინაური პოლიტიკა

ვარშავა, 22 ივლისი. სეიმის გარეშე საქმეთა კომისიაში გარეშე საქმეთა მინისტრმა **ზალესკიმ** კატეგორიულად უარყო ხმები იმის შესახებ, რომ პოლონეთი ზურგს აქცევს მშვიდობიანობის პოლიტიკას. პოლონეთის მშვიდობიანობის მოყვარულობის დამტკიცებას წარმოადგენს პილსუდსკის შეთანხმება გარეშე საქმეთა მინისტრთან ახლო მომავალში სამხედრო ატაშეთა პოსტების გაუქმების შესახებ. ზალესკიმ აღნიშნა პოლონეთის ერთა ლიგაში თანამშრომლობის მნიშვნელობა და ხაზი გაუსვა საფრანგეთ - პოლონეთის მეგობრობას, ინგლისის ინტერესს პოლონეთისადმი.

მდგომარეობა ჩინეთში

შანხაის პროფკავშირების მოთხოვნილება

პეკინი, 21 ივლისი. შანხაის ყველა პროფკავშირებმა ჩინეთის ხელისუფლებას წარუდგინეს მოთხოვნილება, გახსნილ იქნეს პროფკავშირების შანხაის საბჭო.

კანტონის და გონკონგის კონფერენცია

კანტონი, 21 ივლისი. კანტონის გარეშე საქმეთა სამინისტროში გაიხსნა კანტონის და გონკონგის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი ანტი-ინგლისური ბოიკოტის და გონკონგში და შამანში მომხდარ გაფიცვების შესახებ.

კონფერენცია გახსნა კანტონის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა **ევგენი ჩენმა**, რომელიც მიესალმა ინგლისის დელეგაციას კონფერენციაზე და განაცხადა:

„დადგა დრო, როცა ჩინეთის ხალხი თავისუფალი უნდა იქნეს. კანტონის ნაციონალური მთავრობა ცდილობს განაორციელოს ჩინეთის ნაციონალური დამოუკიდებლობა. ურთი-ერთობა ჩინეთსა და უცხოეთის სახელმწიფოებს შორის დაფუძნებული უნდა იქნეს თანასწორობის პრინციპზე. თუ ინგლისელები ჩინეთში მოდიან ვაჭრობისათვის და მათი მიზანია თავისი საქონლის გასაღება, მათ ჩვენს ქვეყანაში არავითარი საფრთხე არ მოელით".

მეორე სხდომაზე ჩინეთის დელეგაციამ გამოსთქვა თავისი შეხედულება ანტი-ინგლისური ბოიკოტის წარმოშობის მიზეზების შესახებ, მაგრამ დელეგაციას არ წამოუყენებია არავითარი პირობები კონფლიქტის მოსაწესრიგებლად ინგლისის დელეგაციისაგან პასუხის მიღებამდე.

სტუდენტების პროტესტი

პეკინი, 21 ივლისი. სტუდენტების ნაციონალურ კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა პროტესტი შანხაის პროფკავშირთა საბჭოს დახურვის წინააღმდეგ.

ბრძოლა იაპონელ კაპიტალისტების წინააღმდეგ

პეკინი, 21 ივლისი. იაპონიის საფეიქრო კომპანია „ნაიგაიუეტამ" შანხაიში დახურა ორი ფაბრიკა და უმუშევრათ დასტოვა 100-მდე კაცი. კომპანია უარს ამბობს ფაბრიკის გახსნაზე თუ მუშები არ დასთანხმდებიან ადმინისტრაციის მოთხოვნილებებზე. შესდგა მუშების საერთო კრება, რომელმაც დაადგინა განაგრძოს ბრძოლა და მიმართოს დახმარებისათვის ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. კრებამ აირჩია გაფიცვის კომიტეტი, რომელშიაც შედის 21 კაცი.

სესხი კანტონის მთავრობას

პეკინი, 21 ივლისი. კანტონის მთავარმა სავაჭრო პალატამ საჭიროდ დაინახა კანტონის მთავრობას მისცეს სესხად 500.000 ჩინური დოლარი იმ ხარჯების დასაფარავად, რომელიც გამოწვეული იყო ექსპედიციით ხუ-ნანში.

დახმარება ინგლისის მაღაროს მუშებს

პეკინი, 21 ივლისი. „დამონებულ ხალხთა ასოციაციამ" კანტონში შეკრიბა 10.000 დოლარი, ინგლისში გაფიცულ მემაღაროების სასარგებლოდ.

წყნარ ოკეანის მუშათა კონფერენცია

პეკინი, 21 ივლისი. ჩინეთის პროფკავშირების ნაციონალურ ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა გაგზავნოს წარმომადგენლები წყნარ ოკეანის მუშათა კონფერენციაზე, რომლის მოწვევა განზრახულია სიდნეიში (ავსტრიაში).

საბჭოთა კავშირი და რუმინეთი

რომი, 21 ივლისი. აქამდის იტალიის პრესის ფურცლებზე არ ყოფილა დადასტურებული უცხოეთის პრესის ცნობა იმის შესახებ, რომ იტალიას გადაწყვეტილი აქვს გამოვიდეს შუამავლათ ბესარაბიის საკითხში საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის. კიდევ მეტი, „კორიერე დელა სერა"-ს ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში გამოთქმულია აზრი, რომ იტალიას არ შეუძლია იკისროს შუამავლის როლი, თუმცა ის მეგობრულ განწყობილებაში იმყოფება ორივე სახელმწიფოებთან.

ეხება რა ცნობას იმის შესახებ, რომ ჩიჩერინს გადაწყვეტილი აქვს შვებულება იტალიაში გაატაროს, გაზეთი აღნიშნავს, რომ იტალიამ პირველმა განაახლა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ სექტემბერში შესაძლოა რომში ჩამოვიდეს რუმინეთის პრემიერი ავერესკუ. ავერესკუს ჩამოსვლა კიდევ ერთხელ დაადასტურებს იტალია-რუმინეთის მეგობრულ ურთიერთობის სიმტკიცეს. იტალია მოხარული დარჩება; დასძენს გაზეთი, თუ მის მეგობრებს შორის ადგილი აღარ ექნება უთანხმოებას, მაგრამ მას არ შეუძლია ოფიციალურ შუამავლად გამოვიდეს ბესარაბიის საკითხში.

ამხ. ძერჟინსკი

ძნელია წერა. სიკვდილმა რევოლიუციონური რიგებიდან გამოგვტაცა ძველი და ახალი ქვეყნის მძაფრი შეტაკების ხანში ერთ-ერთი მოწინავე მებრძოლი—ფელიქს ძერჟინსკი. საკავშირო კომპარტიამ, რომლის უძველეს წევრად ითვლებოდა ამხ. ძერჟინსკი, კომუნისტურმა ინტერნაციონალმა და მუშათა მოძრაობამ დიდი დანაკლისი განიცადა. ძერჟინსკი მთელი თავისი არსებობით ანსახიერებდა რევოლიუციონურ პროლეტარიატის ბრძოლას და მის ამბოხებას კაპიტალის წინააღმდეგ და რთულ ახალი ქვეყნის მშენებლობას ძველი ქვეყნის ნანგრევებზე. ძერჟინსკი მუდამ იმყოფებოდა ყველა საპასუხისმგებლო და სახიფათო პოსტებზე.

თავისი დიდი სული და თავისი მხურვალე გული ძერჟინსკიმ დაგვანახვა სამოქალაქო ომის ეპოქაში სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე. კაპიტალისტების სასტიკი მძულვარება გარს ერტყა იმ დაწესებულებას, რომელსაც მეთაურობდა ძერჟინსკი. ძერჟინსკის გარდა არ იყო სხვა სახელი, რომელსაც ბურჟუაზიული ქვეყანა ასეთი მძულვარებით სთელავდა და ასწორებდა მიწასთან. ფანტასტიური ლეგენდებით იყო გარსშემორტყმული ეს დიდი ადამიანი. ფართო ჰორიზონტი, პოვნა ძირითადი გეზის, რომელზედაც უნდა დამყარებულიყო მთელი ძალა, ანთებული გული, გაბედული და თამამი გამოაშკარავება მშენებლობის სუსტი მხარეებისა, და მორიგ ამოცანის გარშემო ფართო მასების დარაზმვის უნარი,—აი ეს დამახასიათებელი თვისებები, რომელიც გამოიჩინა ძერჟინსკიმ სამეურნეო აღმშენებლობაში.

სამეურნეო მუშაობის დროს ძერჟინსკისთან ურთიერთობა ნიშნავდა რუტინის და ბურჟუაზიული თვითკმაყოფილების აღმოფხვრას. გზათა მიმოსვლის კომისარიატი და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭო უხვად სარგებლობდენ ამ დაულეველი წყაროთი. თვითონ მუშაობით გატაცებული, ამხ. ძერჟინსკი აღფრთოვანებდა მთელს აპარატს და ააშკარავებდა მასში შეგნებულ ყველა კარგს თვისებებს.

ამხ. ძერჟინსკის—სახელთან არის დაკავშირებული სახალხო მეურნეობაში პარტიის და მუშათა კლასის მიერ წარმოებული კამპანიები. შრომის ნაყოფიერება, რომლის გადიდება საბოლოო ანგარიშში სწყვეტს სოციალიზმის ბედს. ლითონის მრეწველობა—ეს ის ხერხემალია საბჭოთა მრეწველობის და მთელი მეურნეობის, რომლის ამაღლებით და განმტკიცებით შეიძლება მხოლოდ ჩვენი ქვეყანა გახდეს კაპიტალიზმისაგან დამოუკიდებელი.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და ეკონომიის რეჟიმი— ინდუსტრიალიზაციის განვითარების ერთი მთავარი გზათაგანი და სოციალისტური მშენებლობის ძირეული პრობლემები—დღის წესრიგში პრაქტიკულ ამოცანებად დასმულ იქნა ძერჟინსკის უახლოესი მონაწილეობით. უფრო მეტი. უმთავრესად ძერჟინსკის ეკუთვნის ინიციატივა დღის წესრიგში ამ ამოცანების წამოყენების, და მათი პრაქტიკული დედააზრის ფორმულებში ჩამოყალიბებაც—მისი საქმეა.

ძერჟინსკის სახელი დაუვიწყარია მშრომელთა დიად ბრძოლაში.

მისი სახელი მოუწოდებს ბრძოლისათვის ახალ ათასს და ათი ათასს მშენებლებს, რომელნიც კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ წაიღებენ დროშას, რომელიც ასე გამძლეობით, შეუდრეკლობით და გმირობით ეჭირა ძერჟინსკის.

გ. კრუმინ.

რაკოშის პროცესი

ვენა, 21 ივლისი. ვაგის ჯგუფის ბრალდებულთა დაკითხვა გრძელდება.

ბრალდებულმა **გაიდუმ** განაცხადა: „ყველა იმან, რაც მე ვნახე და გავიგონე დამარწმუნა, რომ მუშათა მოძრაობა ახალი გზით უნდა წავიდეს. მუშათა სოციალისტური პარტია არ მიუღიათ არც ერთ ინტერნაციონალში, თუმცა მან გადასდგა სათანადო ნაბიჯი მეორე ინტერნაციონალში შესასვლელათ. თავის დროზე მე მივემხრე ოპოზიციას სოციალ-დემოკრატიულ პარტიის შიგნით, რადგან პარტიაში აღმოვაჩინე დიდი ბოროტმოქმედებები. ასე მაგალითად, მე გავიგე, რომ სოც. დემოკრატ დეპუტატმა საზომ საკონცენტრაციო ბანკში მოათავსებია ხის დამმუშავებელთა კავშირის წევრები, რომელთაც უარი განაცხადეს შეეტანათ გადიდებული საწევრო გადასახადი, რადგან ისინი აღშფოთებული იყვენ პროფკავშირთა ხელმძღვანელების ფუფუნებით კავშირის ფონდის ხარჯზე.

გაფიცვა ინგლისში

„მზრუნველები“

ლონდონი, 21 ივლისი. ლიჩფილდიდან იტყობინებიან, რომ ადგილობრივმა სამზრუნველო საბჭომ დაადგინა მაღაროს მუშების ოჯახებს ნახევრად შეუმციროს დახმარება და ორი კვირის შემდეგ სრულიად მოსპოს დახმარება. დახმარების შემცირების შესახებ მზრუნველობის საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ასე განაცხადა: „მზრუნველთა მოვალეობას შეადგენს საქმის ისე მოწყობა, რომ მემაღაროები მუშაობას დაუბრუნდენ.

კუკის განცხადება

ლონდონი, 21 ივლისი. პარიზში მაღაროს მუშების საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე გამგზავრების წინ, კუკმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „თუ საერთაშორისო ფედერაცია ჩვენ რაიმე რეალურ დახმარებას არ გაგვიწევს, სხვა ქვეყნებში ნახშირის ამოღების გადიდების აკრძალვით, ან და იმ ქვეყნებში ნახშირის გაგზავნის აკრძალვით, რომელნიც ყოველთვის ხმარობდენ ინგლისის ნახშირს, მაშინ ჩემთვის სავსებით თვალსაჩინო იქნება ის, რომ მემაღაროების ინტერნაციონალი მხოლოდ ჩრდილს წარმოადგენს“.

ჩაქრა უკანასკნელი ღუმელი

ლონდონი, 21 ივლისი. **ინგლისში ჩაქრობილია უკანასკნელი ღუმელი. ამგვარად მთელს სახელმწიფოში არც ერთი ღუმელი არ მოქმედობს. სამთამადნო მუშათა გაფიცვის გამოცხადებამდე ინგლისში მოქმედებდა 147 ღუმელი.**

ბალდუინის პრესტიჟის დაცემა

ლონდონი, 21 ივლისი. „ვესტმინისტერ გაზეტ“, ეხება რა ბალდუინის პრესტიჟის დაცემას, აცხადებს, რომ **შესაძლოა შემოდგომაზე მთავრობის განსაკუთრებით რეაქციონურ წრეებმა მოითხოვონ ბალდუინის გადადგომა.**

სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომის გახსნა

პარიზი, 21 ივლისი. პარიზში გაიხსნა სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომა. სხდომას დაესწრენ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და ბელგიის დელეგატები. ინგლისიდან არიან **კუკი** და **სმიტი.** ირჩევა საკითხი იმის შესახებ, თანახმაა თუ არა სამთამადნო მუშათა ნაციონალური ფედერაცია დაეხმაროს ინგლისის სამთამადნო მუშებს ინგლისში ქვანახშირის გაგზავნის აკრძალვით.

მდგომარეობა უცვლელია

ლონდონი, 22 ივლისი. გაფიცვის საქმე ისევ ძველ მდგომარეობაშია. მიტლენდს გარდა მუშაობა ყველა მაღაროებში შეჩერებულია და მემაღაროენი უმეტეს შემთხვევაში არ იჩენენ მუშაობის განახლების სურვილს ახალ პირობებში — 8 საათის სამუშაო დღის საფუძველზე. არა სჩანს იმის ნიშნები, რომ მოლაპარაკების განახლება გახდეს შესაძლო. მიუხედავად ამისა, ქრისტიანულ ეკლესიების ლიდერებს არ დაუკარგავთ იმის იმედი, რომ მათი ჩარევა წარმატებით დამთავრდება. ლიჩფილდის ეპისკოპოსმა, რომელიც მეთაური იყო ბალდუინთან წარგზავნილ უკანასკნელ დეპუტაციის, გუშინ განაცხადა, რომ პრემიერთან შეხვედრის დროს მათ გამოარკვიეს, რომ სახელმწიფო სუბსიდია არაა ერთად-ერთი დახმარების ფორმა; მათ მოითხოვეს სესხი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მუშებს, რომ დაუბრუნდენ სამუშაოს ძველ პირობებში. ამ შემთხვევაში შესაძლო იქნებოდა მოლაპარაკების განახლება.

მთლიანობის კომიტეტების კონფერენცია

ბერლინი, 21 ივლისი. დიუსელდორფში შესდგა ქვემო რეინის მთლიანობის კომიტეტის კონფერენცია, რომელსაც 46 დელეგატი დაესწრო, (20 კომუნისტი, 16 უპარტიო, 3 სოციალ-დემოკრატი და 7 წვრილ ჯგუფების წარმომადგენლები). ერთხმად დაადგინა გააგრძელოს ბრძოლა ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონების უსასყიდლო კონფისკაციისათვის პარლამენტის კედლის გარეთაც, რათა ორგანიზაციამ შესძლოს მთლიანობის კომიტეტის მტკიცე ფრონტის შექმნა. კონფერენციამ დაადგინა აგრეთვე ყველა წარმოებაში შექმნას მთლიანობის კომიტეტები და მოაწყოს უმუშევართა დემონსტრაციები. კონფერენციამ მოიწონა გერმანიის კომპარტიის ინიციატივა სრულიად გერმანიის მშრომელთა კონგრესის მოწვევის საქმეში.

ყოფილ ჯარისკაცთა წითელი კავშირის ყრილობები

ბერლინი, 21 ივლისი. გერმანიის რამოდენიმე ქალაქში სწარმოებს ყოფილ ჯარისკაცთა წითელი კავშირის საოლქო ყრილობები, რომლებიც აურაცხელ მონაწილეებს იზიდავენ.

ჰამბურგში ყრილობაზე იღებდა მონაწილეობას 50.000 მუშის წარმომადგენლები, კელნში—20.000 მუშის წარმომადგენელი. ესენში წითელი კავშირის საოლქო ყრილობაზე რამოდენიმე ათასი დელეგატი-ქალი ჩამოვიდა.

პროფმოძრაობა ბულგარეთში

ვენა, 21 ივლისი. ექვსი წევრისაგან შემდგარმა კომისიამ, რომელიც ბულგარეთის რეფორმისტულ და დამოუკიდებელ პროფკავშირების დელეგაციამ გამოყო პლატფორმის გამოსამუშავებლად ბულგარეთის პროფმოძრაობის გაერთიანების მიზნით, ბურჟუაზიული გაზეთების ცნობით, ამა თუ იმ ინტერნაციონალში შესვლის საკითხის შესახებ კომპრომისული რეზოლიუცია მიიღო; ეს რეზოლიუცია საფუძვლად დაედო კომისიის მიერ შემუშავებულ გაერთიანებულ პლატფორმის და განსახილველად წარედგინება ორთავე დელეგატების პლენუმებს.

მთავრობის მომხრე „თავისუფალი სიტყვა“ იუწყება, რომ პლატფორმის საფუძვლად მიღებულია შემდეგი დებულებები:

პროფკავშირთა ახალი გაერთიანება კლასობრივი ბრძოლის საფუძველზე იდგომება და ამსტერდამის ინტერნაციონალში შევა. ინფორმაციული ხასიათის ურთიერთობა და საბოლოო გადაწყვეტილება ამსტერდამის ინტერნაციონალში შესვლის შესახებ გამოტანილ უნდა იქნას გამაერთიანებელ ყრილობაზე, რომელიც რამოდენიმე თვის შემდეგ შესდგება. პროფკავშირთა გაერთიანება ყოველგვარი ღონისძიებით შეუწყობს ხელს ყოველ ინიციატივას, რომელიც მიმართული იქნება პროფმოძრაობის მთლიანობის მასშტაბით განხორციელებისაკენ. გაერთიანების შემდეგ ბულგარეთის პროფმოძრაობის ორთავე მიმდინარეობის არსებული ორგანოების გამოცემები უნდა შესწყდეს და მათ მაგივრად გამოიცემა საერთო ორგანო. თანამდებობები, ახალ ცენტრალურ ორგანიზაციაში, განაწილებულ იქნება თანაბრად და თავმჯდომარის თანამდებობა რეფორმისტების კანდიდატს მიეცემა.

ბელგიის მუშათა დელეგაცია

ბელგიის მუშათა დელეგაცია

მინსკი, 22 ივლისი. ჩამოვიდა 14 კაცისაგან შემდგარი ბელგიის მუშათა დელეგაცია.

უპასუხა რა საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენლების მისალმებას, დელეგაციის თავმჯდომარემ გერმან მოხემ განაცხადა:

„**ჩვენ ვართ წარმომადგენლები ბელგიის მუშებისა, რომლებმაც გამოგვგზავნეს იმისათვის, რომ მჭიდრო კავშირი დავამყაროთ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან. ჩვენი აქ ჩამოსვლა ხელს შეუწყობს მუშათა მოძრაობის მთლიანობის განმტკიცებას**“.

დელეგაციაში 8 სოციალ-დემოკრატია და 6 უპარტიო.

უნგრეთი და საბჭოთა კავშირი

ვენა, 21 ივლისი. უნგრეთის მრეწველობის კრიზისის გამო, საქმიან წრეებში კვლავ წამოყენებულია საკითხი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის შესახებ. უნგრეთის მსხვილ მრეწველთა ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე გამოვიდა მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, რომელმაც მოითხოვა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლება.

ვილჰელმს დამბლა დაეცა

ბერლინი, 21 ივლისი. „ფოსსიშე ცაიტუნგ“ იუწყება, რომ ყოფ. იმპერატორ ვილჰელმს დამბლა დაეცა. დამბლით შეპყრობილია ტანის მარცხენა ნაწილი. ბერლინიდან დოორნში (სადაც ვილჰელმი ცხოვრობს) გაიწვიეს ცნობილი ნევროპატალოგი პროფ. კრაუზე.

ისპანიის მეფე პრიმო-დერივერას წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილე

პარიზი, 21 ივლისი. „ლიუმანიტე“ აქვეყნებს ისპანიიდან მიღებულ შემდეგ ცნობებს მადრიდში ამ რამოდენიმე ხნის წინათ პრიმო-დერივერას წინააღმდეგ შეთქმულების აღმოჩენის შესახებ.

როგორც ირკვევა, მეფე ალფონსმა ყველაფერი იცოდა შეთქმულების შესახებ. შეთქმულების გეგმა მას გააცნო გენ. ვეილერმა. მოწოდება არმიისადმი, შედგენილი გენ. აგილერას მიერ, მოიწონა მეფემ, რომელმაც შესცვალა მასში ერთი მუხლი, რომელიც კონსტიტუციას შეეხებოდა. გარდა ამისა, მეფემ მოითხოვა, რათა შეთქმულებაში მონაწილეობა მიეღოთ მის ერთგულ გენერლებს ბრენგერსა და კავალკანტის. აჯანყება უნდა დაწყებულიყო 25 ივნისს, მაგრამ ალფონსმა აჯანყების დამარცხების შიშით, აცნობა დე-რივერას ყველაფერი და შეთქმულების ხელმძღვანელები დაპატიმრებული იქნენ გარდა გენ. ვეილერისა, რომელიც არ დააპატიმრეს იმის გამო, რომ მას შეეძლო ემხილა მეფე.

რა ხდება ინდოეთში

ინდოეთის პოლიტიკური ცხოვრება

ლონდონი, 21 ივლისი ინდოეთის საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლორდ ვინტერტონმა თემთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ინდოეთის პოლიტიკური ცხოვრება, საკანონმდებლო კრების დათხოვნის შემდეგ, რომელიც 1925 წლის ოქტომბერში მოხდა, ხასიათდება სვარაჯისტების პარტიის „პროგრესიული გახრწნით“.

ლორდ ვინტერტონმა აღნიშნა, რომ მალე უნდა მოხდეს არჩევნები საკანონმდებლო კრებისა და პროვინციის საკანონმდებლო საბჭოებში და სთქვა: „თუმცა წინასწარმეტყველება უსარგებლოა, მაგრამ მაინც შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ ინდოეთის პოლიტიკურ სარბიელზე ძლიერი მთლიანი პარტია გამოჩნდება. რა სახელით გამოვა იგი, ამას არ აქვს მნიშვნელობა, უმთავრესია ის, რომ პარტიამ, რომელიც უარს არ ამბობს თავის საბოლოო კონსტიტუციონური მიზნების განხორციელებაზე, განაცხადოს, რომ იგი მზად არის ითანამშრომლოს ინგლის-ინდოეთის მთავრობასთან ადმინისტრატიულ მმართველობის საქმეში.

შეტაკება ინდუსებსა და მუსლიმანებს შორის

ლონდონი, 21 ივლისი. ლონდონში მცხოვრებ ინდუსების წრეებში ამტკიცებენ, რომ ინგლის-ინდოეთის მთავრობა წინასწარ განზრახვით არ იღებს მონაწილეობას ინდუსებსა და მუსლიმანებს შორის ამ უკანასკნელ ხანებში გახშირებულ შეტაკებებში. ამ გზით ინგლის-ინდოეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ საკანონმდებლო დაწესებულებებში მომავალ არჩევნების დროს დაშლის ოპოზიციას და ამით ნიადაგს მოამზადებს, რომ ინდოეთის ბურჟუაზიის შემთანხმებელთა ნაწილისაგან შექმნას პარტია, რომელიც მთავრობასთან ითანამშრომლებს.

ინგლის - ინდოეთის მთავრობა ყოველგვარ ზომებს მიიღებს

ლონდონი, 21 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

როცა ინდოეთის საქმეთა მინისტრის ამხანაგს ვინტერტონს თემთა პალატაში ინდოეთის ბიუჯეტი შეჰქონდა, მან განაცხადა: „ჩემი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თემთა პალატას უფრო დამაკმაყოფილებელი ბიუჯეტი წარუდგინო, ვიდრე ის იყო უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში (ომის გათავების შემდეგ დაწყებული 1923 წლამდე ინდოეთის ბიუჯეტი დეფიციტიანი იყო).

შეეხო რა ინდოეთის ცალკე ნაწილების მოსახლეობას შორის უთანხმოებას, ლორდმა ვინტერტონმა განაცხადა, რომ ინგლის-ინდოეთის კომიტეტი საკმაოდ ძლიერია, რომ ეს შეტაკებანი არ გარდაიქცეს უკანონო ძალადობათ. მთავრობა ამ მხრივ ყველაფერს გააკეთებს, რაც კი მისგანაა დამოკიდებული.

ტერორისტული მოძრაობა ბენგალიაში, ლორდ ვინტერტონის სიტყვით, უკვე სუსტდება.

ინგლის - ინდოეთის მთავრობამ, სთქვა დასასრულ მინისტრმა, სრულიად გარკვეულად განაცხადა, რომ იგი არ შეჩერდება არავითარ საშუალების წინაშე შეთქმულების წინააღმდეგ ბრძოლაში და მის განკარგულებაში არის ცნობები, რომლებიც არწმუნებს, რომ ტერორისტებს მომარჯვებულად ჩავსცეთ მახვილი.

საბჭოთა დიდი გადაფრენები

მფრინავი მეჟრაუკი—ანგორაში

მოსკოვი, 22 ივლისი. 20 ივლისს მეჟრაუკი მოფრინდა ანგორაში.

მოსკოვი—პარიზი

მოსკოვი, 22 ივლისი. 21 ივლისს, დილის 7 საათზე და 15 წუთზე აეროპლანი „მოსკოვის ავიაქიმი“, გაფრინდა ბერლინიდან.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

კალია

როსტოვ-დონზე, 22 ივლისი. კალიის ახლო-მახლო მიდამოებში გავრცელების საერთო მდგომარეობა ნიშნებს იძლევა კალიების აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მოძრაობისას, ძლიერ დასავლეთის ქარებთან დაკავშირებით. უკანასკნელ ცნობების მიხედვით სალის ოლქში და ციმლიანის რაიონში კალიამ დაიკავა 100 დესეტინა. კალიების გუნდების ჰაეროპლანიდან დარიშხან-მჟავა ნატრიუმით მოწამვლის პირველი ცდა ბრწყინვალედ ჩატარდა.

ამერიკელ სტუდენტების დელეგაცია

სამარა, 22 ივლისი. ჩამოვიდა ამერიკელ სტუდენტების დელეგაცია, რომელსაც შეხვდენ ადგილობრივ სტუდენტების წარმომადგენელნი. დელეგაცია დაწვრილებით გაეცნო მოსწავლეთა ყოფა-ცხოვრებას და საზოგადოებრივ კულტურულ ცხოვრებას.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ინგლისის მემაღაროების დახმარება

ბაქო, 22 ივლისი. აზერბეიჯანის ა. ლ. კ. კ. ცეკამ გადასწყვიტა ინგლისის სამთამადნო მუშების დახმარების კამპანია ჩაატაროს მაზრებშიც. კამპანია ჩატარდება 30 ივლისიდან 5 აგვისტომდე.

ბარიტის გადაზიდვა

განჯა, 22 ივლისი. ბარიტის გადატანის გაიაფების მიზნით შეუდგენ ქვედარის წარმოებიდან განჯამდე ახალი გზა-ტკეცილის გაყვანას 25 ვერსის მანძილზე.

დამზღვევ სალაროს მუშაობა

ბაქო, 22 ივლისი. მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ ნახევარში განჯის დამზღვევმა სალარომ პენსიების და სხვა დახმარებების სახით გასცა 75.000 მანეთი და დაზღვეულთა საექიმო დახმარებაზე დახარჯა 57.950 მან.

კლინიკის მოწყობა

ბაქო, 22 ივლისი. ბერლინში მივლინებული პროფესორი კიაზიმოვი უკვე გაემგზავრა. პროფესორი იქ ორ თვეს დარჩება. მას დავალებული აქვს კლინიკისათვის ხელსაწყოების შეძენა.

სახლი მოზარდთათვის

ბაქო, 22 ივლისი. შრომის სახალხო კომისარიატმა შეადგინა ხარჯთაღრიცხვა მოზარდთა სახლის მოსაწყობად 150 კაცისთვის. ხარჯთაღრიცხვა შედგენილია 71.000 მანეთის ფარგლებში. მოზარდთა სახლთან განზრახულია ხელოსნობის შემსწავლელ ორგანიზაციის დაარსება.

კვალიფიციურ მუშების მომზადება

ბაქო, 22 ივლისი. შემოდგომისათვის შრომის სახალხო კომისარიატი ამზადებს 500 კვალიფიციურ მუშას სამრეწველო წარმოებებისთვის.

ფიზკულტურის კურსები

ბაქო, 22 ივლისი. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭომ გახსნა სამ თვიანი კურსები ფიზკულტურის ინსტრუქტორებისთვის, სადაც იმეცადინებს 50 კაცამდე.

სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი

ბაქო, 22 ივლისი. დღეს მოსკოვში გავლით სპარსეთში მიემგზავრება სპარსეთის გარეშე საქმეთა ახალი მინისტრი ალი-ყული-ხანი ანსარი, რომელიც აქამდე საგანგებო ელჩად იყო ს. ს. რ. კ-ში.

ბრძოლის ასპარეზზე

ფელიქს ედმუნდის ძე აღარ არის. გულის დამბლამ ჩვენი რაზმებიდან ამოგლიჯა ერთი ყველაზე გამოჩენილი რევოლიუციონერი.

30 წელი შეუწყვეტელი, გამძაფრებული ბრძოლისა სოციალიზმისათვის, აქედან 11 წელი ციხეში, გადასახლებასა, კატორღაში.

ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკი ერთი ყველაზე ნათელი, ყველაზე მშვენიერი პიროვნებაა ძველი რევოლიუციონერების თაობიდან, რომელიც ასე თავგანწირულად მიემხრო პროლეტარიატის საქმეს.

მან არ იცოდა რა იყო პირადი ცხოვრება და დასვენება.

ის ყოველთვის იწოდა, ყოველთვის ენტუზიაზმით იყო გამსჭვალული, არასოდეს სულით არ ეცემოდა, ყოველთვის წინ მიდიოდა, ყოველთვის მებრძოლ პოზიციებზე იყო, ყველაზე სახიფათო საპასუხისმგებლო რევოლიუციურ პოსტებზე. ის ყოველ სამუშაოს, ყოველ დავალებას ერთნაირი გულმოდგინებით ასრულებდა. ყოველ სამუშაოში მას მთელი ძალ-ღონე, გულისთქმა და გასაოცარი კეთილსინდისიერება შეჰქონდა.

უზარმაზარ მოთხოვნილებას უდგენდა ის თავის თავს, თავის სამუშაოს. ულმობელად ამათრახებდა ის ყველას, მდგომარეობისა, დამსახურებისა, რევოლიუციონური წარსულის მიუხედავად, ყოველგვარი მერყეობისა, სულმოკლეობისა, უთაურობისთვის.

განსაკუთრებით შეუბრალებელი ომი გამოუცხადა მან იმათ, ვინც ჩვენი პარტიის ლენინის ხაზის შერყევა, მისი მონოლიტობის შესუსტება განიზრახა.

ფელიქს ედმუნდის ძეს ჩვენ ლიტვისა და პოლონეთის მუშათა მოძრაობაში ვხედავთ 1896 წლიდან. მაშინ ის ლეგენდარული ფიგურა იყო. მეხი იყო მეფის მთავრობისთვის. ხოლო ლიტვისა და პოლონეთის რევოლიუციონერ მუშების თვალში ყველაზე საყვარელ და პოპულიარულ ბელადათ ითვლებოდა. ის იყო ერთი დამაარსებელთაგანი ბოლშევიკური პარტიისა, „პოლონეთის და ლიტვის სოციალ - დემოკრატიისა“, რომელსაც ესოდენ სახელოვანი რევოლიუციონური და საომარი წარსული ჰქონდა.

თებერვლის რევოლიუცია კატორღის კარებს აღებს.

ფელიქსი თავისუფალია. ის ახალგაზრდული აღფრთოვანებით ეშვება რევოლიუციონურ მოძრაობაში. ის ყველაზე აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ოქტომბრის აჯანყების მოწყობასა და ხელმძღვანელობაში.

იწყება ოქტომბრის მომდევნო დღეები. კონტრ - რევოლიუცია სარგებლობს ახალგაზრდა მუშურ-გლეხურ მთავრობის სისუსტითა და გარეშე მტერის შემოტევით და ემზადება, რომ საბჭოები შიგნიდან ააფეთქოს. პროლეტარულ დიქტატურას საჩქაროდ ისეთი დამსჯელი ორგანოს შექმნა ესაჭიროება, რომელიც შეუბრალებლად გაუსწორდება რეაქციის ყველა ბნელ ძალებს.

ვის უნდა დაეკისროს ასეთი რთული, ძნელი და პასუხისმგებელი მუშაობის ხელმძღვანელობა? ვლადიმერ ილიჩისთვის აქ არაფერია საყოყმანო. ის ირჩევს ფელიქს ედმუნდისძეს, როგორც ერთად ერთს კანდიდატს, რომელსაც შეიძლება ეს საქმე მიენდოს.

ოქტომბრის რევოლიუციის პირველი დღეებიდანვე ის ხელმძღვანელობდა ბრძოლას კონტრ-რევოლიუციისა, ღალატისა და გამცემლობის წინააღმდეგ. ის მეხივით თავს ეცემოდა არა მარტო ჩვენს კონტრ-რევოლიუციას, არამედ მსოფლიო მტაცებლებსაც.

იწყება სამოქალაქო ომის ხანა. მეფის მთავრობა დამხობილია, მასთან ერთად შემუსრულია მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი. მსოფლიო რეაქციის ბნელი ძალები ნებას არ გვაძლევენ მშვიდობიან სოციალისტურ აღმშენებლობას მივმართოთ.

სამოქალაქო ომის დროს გვიხდება არა მარტო წითელი ჯარის, არამედ მთელი სახელმწიფოებრივი აპარატის შენება. ჩვენს წინაშე დამკვრელი, ბრძოლის ამოცანებია ამართული. ამ ამოცანების ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი და აღმსრულებელი ყოველთვის ფელიქს ედმუნდისძეა. რევოლიუციონური აღფრთოვანებითა, თავგამოდებითა და გასაოცარი მუშაობის უნარით ის ყველა დაბრკოლებებსა და სიძნელეებს სძლევს.

პოლიტიკური ალღოსა და შეუდარებელი სიფხიზლის წყალობით მან ბევრი მოულოდნელი, მეტად საშიში ხიფათი აგვაცილა. დღე და ღამე იცავდა ის ქვეყანას განმზადებული თავდასხმებისაგან. ძერჟინსკის ისტორიული როლი ამ დარგში დიდხანს იცოცხლებს განთავისუფლებული კაცობრიობის მრავალ თაობათა გულსა და გონებაში.

1920 წელია. შეტევა სწარმოებს ვარშავაზე. ძერჟინსკი ყველაზე აქტიური წევრია პოლონეთის რევკომისა. ის აღსავსეა აღფრთოვანებით, გამსჭვალულია რწმენით, რომ მოახლოვებულია პოლონეთის მუშათა კლასის განთავისუფლებისა, ბურჟუაზიის დამხობისა და მუშათა კლასის დიქტატურის განხორციელების საათი.

მაშინ არ განხორციელდა ფელიქსის ცხოველი სურვილები. პოლონეთი პანების ქვეყანად დარჩა. მაგრამ ის არ დრკება; სულით არ ეცემა, მან იცის, რომ რევოლიუცია პოლონეთში აუცილებელია. საჭიროა კიდევ დიდი მუშაობა პოლონეთის ფართო მუშათა მასებში რევოლიუციონური შეგნების შესატანად.

სამოქალაქო ომის დათავება და მშვიდობიანი აღმშენებლობა იწყება. ძერჟინსკი გზათა სახალხო კომისრისა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის პოსტზეა. ეს არის მისი მოღვაწეობის დასაწყისი ეკონომიურ ასპარეზზე. ეს არის დრო შრომის დისციპლინის და პროდუქტივობის სრული დაცემისა.

ის კისრულობს საქმეს, რომელიც ახალია მისთვის. მას ეს კარგად ესმის. ის იწყებს დაკისრებულ სამეურნეო დარგების კეთილსინდისიერად, გულმოდგინეთ შესწავლას. ის ჩქარა ითვისებს ახალ საქმეს. ის საქმეს ყოველთვის გულმოდგინეთ ეჭიდება და ჩვენი ნაკლულევანებისა და ტკივილების ხასიათს აშკარავებს.

ის თანდაყოლილ ენერგიას იჩენს ბრძოლის საქმეში, შეუძლებელია ხალვათობისა, უთაურობისა, ყოველგვარ ბოროტმოქმედების და ქაოსის წინააღმდეგ, რომელიც მაშინ მთელ ქვეყანაში იყო გამეფებული. ის, რაც მისმა წინამორბედებმა ვერ შეასრულეს, რაც მათ ძალღონეს აღემატებოდა, ძერჟინსკიმ სავსებით დასძლია, მიუხედავად უზარმაზარი სიძნელისა და დაბრკოლებისა.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის ერთ-ერთმა იშვიათმა გმირმა რევოლიუციონერთაგანმა დაგვტოვა ჩვენ რთულ და მძიმე პერიოდში, მაშინ, როცა ყველაზე უფრო გვესაჭიროება მისი გამოცდილება, მისი მუშაობის უნარი, მისი სწავლება სოციალიზმის აღმშენებლობისა.

ფელიქს ედმუნდის ძე ბრძოლის პოსტზე მოკვდა.

იგი გამოვიდა ცეკას პლენუმზე მხურვალე სიტყვით უპასუხისმგებლო კრიტიკის წინააღმდეგ, ცეკას ზოგიერთ წევრების გადახრების წინააღმდეგ, იმ გადახრების, რომლებიც სახიფათოა როგორც პარტიის, ისე საბჭოთა ხელისუფლებისათვის. როგორც კი დაბრუნდა სხდომიდან, გულის დამბლამ შესწყვიტა მისი სიცოცხლე.

ბოლშევიკების ძველი გამოცდილი გვარდიის რიგები თხელდება. მათ შესაცვლელათ მოდის ახალი თაობა, მაგრამ იგი მოკლებულია გამოცდილებას და ბოლშევიკურ გამობრძმედილობას.

დეე, დაუღალავი მებრძოლ-რევოლიუციონერის, ახალი ცხოვრების აღმშენებელის ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის ნათელი და მშვენიერი სიცოცხლე და სიკვდილი გახდეს მაგალითად ძველი ბოლშევიკური გვარდიის შემცვლელი მებრძოლებისათვის.

დეე, ახალგაზრდა თაობა ვიდოდეს მსოფლიო რევოლიუციის საუკეთესო ჯარისკაცის გზით“.

უნშლიხტი.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

საბჭოთა კავშირი გლოვობს ძერჟინსკის

ამხ. ძერჟინსკი ახალგაზრდობაში

(საქ. რევოლიუციონური მუზეუმის მასალებიდან).

ამხ. ძერჟინსკის დასაფლავება

ცხედრის გამოსვენება

კუბო გამოაქვთ ხელით ამხ. სტალინს, კალინინს, ვოროშილოვს, რიკოვს, კუიბიშევს და ტომსკის. კუბოს უკან მოყვებიან მიცვალებულის ცოლ-შვილი, ნათესავები, საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტ. საკონტროლო კომისიის წევრები, სოც. საბჭ. რესპ. კავშირის და რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბ. ცაკების წევრები, სახალხო კომისარიატების კოლეგიების წევრები, გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოს კოლეგიის წევრები, საკავშირო კომპარტიის მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საკონტროლო კომისიის წევრები, მოსკოვის საბჭოს, მოსკოვის საგუბერნიო აღმასკომის, საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს, მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს, საკავშირო ლენინურ ახალგაზრდა კომკავშირთა ცეკას და მოსკოვის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, კომინტერნის, პროფინტერნის, ძველი ბოლშევიკების საზოგადოების, პოლიტკატორღელთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრები, მუშათა და გლეხთა დელეგაციები, რომლებიც ადგილებიდან ჩამოვიდენ და სხ.

განსვენებულის მეგობრები და თანამებრძოლები სცვლიან ერთი მეორეს კუბოსთან—რიკოვს, სტალინს, ზინოვიევს, ტროცკის, კამენევს; სცვლიან ბუხარინი, მოლოტოვი, კუიბიშევი, უგლანოვი, რაკოვსკი, იაროსლავსკი, უნშლიხტი, ენუქიძე, რუძუტაკი და სხ.

ამხ. ძერჟინსკის დაკრძალვა წითელ მოედანზე

მოსკოვი, 22 ივლისი. საღამოს 5 საათზე წითელ მოედანზე გამწკრივდენ ჯარები დროშებით, რომლებსაც სამგლოვიარო არშია ჰქონდათ შემოკრული. ამხ. ფრუნზეს საფლავის პირდაპირ მოსჩანს ახალი საფლავი—ამხ. ძერჟინსკისათვის. დაკრძალვას აურაცხელი ხალხი მოაწყდა; აივნები, ფანჯრები, სახურავები—ხალხითაა გაჭედილი.

შორს, მოედანზე გამწკრივდენ აურაცხელი დეპუტატები გვირგვინებით. გვირგვინების უმრავლესობა ცოცხალი ყვავილებით, პურის თავთავით, ნაძვის მწვანე შტოებით და მინდვრის ყვავილებით არის მორთული. ყველა გვირგვინებში ერჩევა მშვენიერი გვირგვინი წითელი ვარდებისაგან შემდგარი; ეს გვირგვინია საბჭოთა კავშირის სახ. კომ. საბჭოსაგან.

ამხ. რიკოვის სიტყვა

საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით გამოსასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. რიკოვმა.

ამხ. ბუხარინის სიტყვა

საკავშირო კომპარტიის ცეკას სახელით გამოსასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბუხარინმა.

„ამხ. ძერჟინსკის სახელთან, სთქვა ამხ. ბუხარინმა, დაკავშირებულია ჩვენი მუშათა კლასის, ჩვენი პარტიის სამი დიდი პერიოდი. პირველი პერიოდი —**არალეგალური მუშაობა,** მეორე პერიოდი — **სამოქალაქო ომი,** და მესამე პერიოდი, რომელიც მხოლოდ ეხლა იწყებს გაფურჩქვნას — **ფართე შემოქმედებითი აღმშენებლობის პერიოდი.** როდესაც ჩვენი პარტია მუშათა კლასთან ერთად შევიდა აღმშენებლობის დიდ ეპოქაში, რამდენი ადამიანი გამოჩნდა, მათ შორის კარგებიც, რომლებისათვისაც მოსაწყენი იყო ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობა.

ძერჟინსკისაგან უნდა ვისწავლოთ ის, თუ როგორ გარდაიქცეს სამოქალაქო ომის რევოლიუციონური ენტუზიაზმი სოციალისტურ აღმშენებლობის ენტუზიაზმად. იგი არ იხრავდა, არ წუწუნებდა ამ მძიმე პერიოდში იმიტომ, რომ იგი იყო ნამდვილი რევოლიუციონერი, რომელიც დიდი ბრძოლის აღმართზე და აღმშენებლობის სარბიელზეც იწვის იმავ უქრობი ცეცხლით. არალეგალურ მუშაობის გმირი, რომელიც სამოქალაქო ომის გმირი გახდა, დადებითი სოციალისტური აღმშენებლობის გმირთა პირველ რიგებში ჩადგა. ჩვენმა პარტიამ მასში დაკარგა თავის ერთგული შვილთაგანი, ერთი საუკეთესო თავისი ბელადთაგანი, მამაცი, უანგარო, გაბედული, უშიშარი, აშკარა რაინდი ჩვენი მოძრაობისა. ჩვენმა პარტიამ მასში დაკარგა ამხანაგი, რომელიც შეუდრეკლად იდგა ჩვენი პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე მთელი თავისი გონებით, მთელი თავისი სულით და გულით. იგი გრძნობდა, რომ პარტიის მთლიანობა აუცილებელი წინასწარი პირობაა ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასის დიქტატურის დაცვის, განმტკიცების და გაძლიერების. ეხლა, როცა ჩვენ დავკარგეთ ამხ. ძერჟინსკი, ჩვენ ყველამ უნდა დავსდოთ ფიცი, რომ ვივლით იმ წითელი დროშის ქვეშ, რომელიც ასე სახელოვნად ეჭირა თავის მაგარ ხელებში ამხ. ძერჟინსკის.

ამხ. ძერჟინსკის ხსოვნისთვის

მოსკოვი, 22 ივლისი. სახელგამმა გამოუშვა წიგნი მიძღვნილი ამხ. ძერჟინსკის ხსოვნისადმი სახელწოდებით „ფელიქს ძერჟინსკი“.

წიგნში მოთავსებულია ამხ. ბუხარინის სტატიები, ამხ. განეცკის მოგონებები ამხ. ძერჟინსკზე, ავტობიოგრაფია დაწერილი ამხ. ძერჟინსკის მიერ უმაღლეს სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარეთ დანიშვნამდე.

წიგნი გამოსცეს ამხ. ძერჟინსკის გარდაცვალების მეორე დღესვე.

ამხ. რემელეს სიტყვა

კომუნისტური ინტერნაციონალის სახელით გერმანულ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. რემელემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ამხ. ძერჟინსკის სახელი ძვირფასია საერთაშორისო მუშათა კლასისათვის და ჩაიწერება მსოფლიო რევოლიუციის ისტორიაში.

ამხ. ტომსკის სიტყვა

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს და მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს სახელით გამოსასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ტომსკიმ.

„ამხ. ფელიქს ძერჟინსკის სახით, სთქვა ამხ. ტომსკიმ, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა მძიმე დანაკლისი განიცადა. მას ბევრი საპასუხისმგებლო თანამდებობა ეჭირა რესპუბლიკაში, ერთი შეხედვით ეს თანამდებობანი სხვადასხვაა, მაგრამ ნამდვილათ ერთია საბჭ. რესპუბლიკაში. ასრულებდა რესპუბლიკის მახვილის—პროლეტარიატის შინაგან და გარეშე კლასიურ მტრებისაგან დაცვის მოვალეობას. იგი ასრულებდა მჭედლის, ახალი სოციალისტური მეურნეობის აღმშენებლობის როლს.

ძერჟინსკის სახით ჩვენ დავკარგეთ საუკეთესო მებრძოლი, რევოლიუციის საუკეთესო ჯარისკაცი, ჩვენი სოციალისტური მეურნეობის საუკეთესო აღმშენებელი. მისი უკანასკნელი ზრუნვის საგანს შეადგენდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების ამოცანა, ჩვენი სახალხო მეურნეობის ამოცანა, რომელიც მუშათა ფართო მასების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარია. მისი უკანასკნელი ფიქრი იყო პროლეტარიატის დიქტატურის და ჩვენი პარტიის შეურყევლობისა და სიმტკიცისათვის ზრუნვა.

ვუშვებთ რა საფლავში რევოლიუციის სახელოვანი რაინდის ცხედარს, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, და მე ვფიქრობ, რომ ეს იქნება მუშათა კლასის ფიქრთა სწორი გამოხატულება: მუშათა და გლეხთა კავშირის საქმეს ჩვენ [illegible] განვამტკიცებთ; ჩვენ ამ კავშირს განუწყვეტლად გავზრდით; სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეს, მიუხედავად სიძნელეთა, ჩვენ მივიყვანთ ბოლომდე, პროლეტარების დიქტატურის განმტკიცების საქმეს, პროლეტარიატის ბრძოლას მსოფლიო რევოლიუციისათვის ჩვენ ბოლომდი მივიყვანთ.

სამგლოვიარო სხდომა

გუშინ, საღამოს 5 საათზე რუსთაველის თეატრში შესდგა ამიერ-კავკასიის, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების, თბილისის საბჭოს პლენუმის, პარტიულ, პროფესიულ და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გაერთიანებული სამგლოვიარო სხდომა ამხ. **ძერჟინსკის** გარდაცვალების გამო.

ამხ. ცხაკაიას სიტყვა

სხდომის გახსნის წინ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამ.-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე ამხ. მიხა ცხაკაიამ, რომელმაც მიმოხილვა გაუკეთა ამხ. ფ. ძერჟინსკის მრავალმხრივ რევოლიუციონურ მოღვაწეობას და წინადადებით მიმართა დარბაზს ფეხზე ადგომით პატივი ეცათ გარდაცვლილ ამხანაგის ხსოვნისათვის.

მთელი დარბაზი ფეხზე დგება. სამხედრო მუსიკა ასრულებს შოპენის სამგლოვიარო მარშს. პირველ სიტყვას ამხ. ძერჟინსკის ხსოვნის აღსანიშნავად ამიერ-კავკასიის ცაკის სახელით ამბობს

ამხ. ხანოიანი.

რა დიდათ სამწუხარო არ უნდა იყოს ამხ. ძერჟინსკის ასე მოულოდნელი გარდაცვალება,—ამბობს ამხ. ხანოიანი, ჩვენ მის ამხანაგებს—თანამებრძოლებს მაინც არ შეგვიძლია ცრემლებით გამოვიტიროთ იგი, ჩვენი ვალია მისი სიცოცხლის დასასრულს შევაფასოთ მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა. ამხ. ძერჟინსკი იყო ძველი კომუნისტური გვარდიის ერთი თვალსაჩინო და სახელოვანი წევრთაგანი, რომელმაც მთელი თავისი ენერგია შესწირა მუშა ხალხის ინტერესებისთვის ბრძოლას. დღიდან რევოლიუციონურ ასპარეზზე გამოსვლისა, იგი არ შეჩერებულა, განაგრძობდა მოუსვენარ მუშაობას, მას არასოდეს არ უგრძვნია დაღლა და ძალღონის დაკარგვა.

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ მას დააკისრა უდიდესი მოვალეობა და მან ბრწყინვალეთ შეასრულა რევოლიუციის საუკეთესო დარაჯის და დამცველის როლი.

არა ნაკლებ სახელოვანი იყო მისი მოღვაწეობა ოქტომბრის რევოლიუციის განმტკიცების შემდეგ—მან აღადგინა ჩვენი საბჭოთა ქვეყნის დანგრეული ტრანსპორტი, ხოლო შემდეგ სათავეში ჩაუდგა ჩვენი მრეწველობის აღორძინებას და მკვიდრი საფუძველი დაუდვა სოციალისტური მეურნეობის განვითარებას. მომავალი თაობისათვის ძერჟინსკი დაუვიწყარი იქნება, როგორც უბადლო რევოლიუციონერი, დიდებული მეურნე და მშენებელი, რომლის ცხოვრება მუდამ მისაბაძი უნდა იქნეს კომუნისტური ახალგაზრდობისათვის.

შემდეგ სიტყვას საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ამბობს

ამხ. ელიავას სიტყვა

დღეს—ამბობს ამხ. ელიავა, მოუხერხებელია სავსებით დახასიათებული იქნეს ამხ. ძერჟინსკის პიროვნება. იგი იმდენად მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და მთლიანი პიროვნება იყო, რომ მისი დაახლოვებითი შეფასებაც კი მეტად ძნელს საქმეს წარმოადგენს. ამხ. ძერჟინსკი, როგორც ადამიანი, დაჯილდოვებული იყო ყველა დადებითი თვისებებით.

ცალ-ცალკე ის ღირსებები, რომელიც ქონდა ამხ. ძერჟინსკის, მოიპოვება მასსაში—თვითეულ ადამიანში, მაგრამ თვითონ ამხ. ძერჟინსკი წარმოადგენდა ადამიანურ ღირსებათა ანაკრებს, ჯამს ადამიანის მაღალ თვისებებისას. სწორედ ამით განირჩეოდა ამხ. ძერჟინსკი ძველი კომუნისტური გვარდიის სხვა წევრებისაგან. მთელი თავისი არსებით, მთელი 100 პროცენტით იგი თავდადებული იყო რევოლიუციის და პარტიისათვის, როგორც პარტიის წევრს, ამხ. ძერჟინსკის ბადალი არ ჰყავდა. იგი წარმოადგენდა უდიდესი დისციპლინით აღჭურვილ პარტიულ მოღვაწეს, რომელიც გარდაუხვევლად, ეჭვ მიუტანლად ასრულებდა პარტიის ნებისყოფას,—მის გადაწყვეტილებებს.

იგი იყო განსახიერება პარტიის მთლიანობის და სიმტკიცის.

შეუდარებელი იყო ამხ. ძერჟინსკი, როგორც ორგანიზატორი. პარტიული და რევოლიუციონური მუშაობის ყოველ დარგში იგი იჩენს ორგანიზატორის იშვიათს ნიჭს: პირველად ის არის მომწყობი არალეგალური წრეების, მომწყობი სოციალ-დემოკრატიული მებრძოლი რაზმების, აჯანყების შესანიშნავი ორგანიზატორი, რევოლიუციის დამცველი ორგანოების შემქმნელი და სხვა. მისი ორგანიზატორული მოღვაწეობა ყველგან აშკარავებს მის დიდს ნიჭს და უნარს.

ამხ. ძერჟინსკი ერთგვარად ძვირფასია რევოლიუციონური, პარტიული და სამეურნეო მუშაობის ყველა დარგებში. მთლიანად ამხ. ძერჟინსკი იყო პარტიის ნერვი, მისი მაჯისცემა. და არავის ისე არ ესმოდა და არავინ ისე არ გნიცდიდა მის ტკივილებს, როგორც იგი. ამიტომ დაიფერფლა იგი ასე უდროვოდ და მოულოდნელად.

დიდია ჩვენი დანაკლისი: ჩვენ დავკარგეთ სრულყოფილი ამხანაგი, რომლის შემცვლელის გამონახვა ჩვენ ძლიერ გაგვიჭირდება. მით უფრო დიდია ამ დანაკლისით გამოწვეული ჩვენი მწუხარება, რომ ამხ. ძერჟინსკი გამოგვაკლდა ისეთ დროს, როდესაც წყდება ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ბედიღბალი. ჩვენ უარვყავით სამეურნეო მშენებლობის კაპიტალისტური სისტემა და შეუდექით მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე მოწყობას. სწორედ ეხლა გვჭირდება ამხ. ძერჟინსკის ნიჭი, გამოცდილება, შეუდრეკელი ენერგია და თავდადება. ის კი აღარ არის, არავინ გვყავს მისი შემცვლელი. მაგრამ თუ არავის არ შეუძლია მისი შეცვლა—მთლიანად პარტია, მისი წევრების შემჭიდროებული რიგები ერთსულოვნებით და ერთი აზრით გატაცებულნი შესძლებენ იმ საქმის დაგვირგვინებას, რომელსაც ასე ერთგულად ემსახურებოდა ამხ. ძერჟინსკი.

ამხ. გუსეინოვის სიტყვა

საქ. კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გუსეინოვმა, რომელმაც დაახასიათა ამხ. ძერჟინსკი, როგორც რევოლიუციის დარაჯი და საუკეთესო სამეურნეო მუშაკი.

ამხ. ლევანდოვსკის სიტყვა

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სახელით ამხ. ლევანდოვსკი ამბობს: რამოდენიმე წუთის შემდეგ მიწა მიიბარებს ყველასათვის საყვარელ ამხანაგს ძერჟინსკის. მისი სახით პარტია ჰკარგავს ლენინის ერთს საუკეთესო და თავდადებულ მოწაფეს.

შემდეგ ამხ. ლევანდოვსკი ეხება ამხ. ძერჟინსკის დამსახურებას წითელი არმიის წინაშე და დაასკვნის: წითელი არმია—ამხ. ძერჟინსკის თავდადებული შრომის ნაყოფი—ფიცს სდებს მის ხსოვნის წინაშე მუდამ გამარჯვებული ატაროს ის დროშა, რომელიც მაღლა ამართა ამხ. ძერჟინსკის მტკიცე ხელმა.

ამხ. პავლუნოვსკის სიტყვა

ა.-კ. საგანგებო კომისიის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. პავლუნოვსკი, რომელიც ამხ. ძერჟინსკის უდიდეს ღირსებათ სთვლის იმას, რომ ყოველთვის იგი თავის მუშაობას ამყარებდა მუშათა ფართე მასების თვითმოქმედებაზე, რომლის საშუალებით მან შესანიშნავად მოაწყო აჯანყება და რევოლიუციის დამცველი ორგანოები.

ამხ. გეშკეს სიტყვა

სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ამჟამად თბილისში მყოფმა კომინტერნის მდივანმა და გერმანიის კომპარტიის ცეკას პოლიტბიუროს წევრმა ამხ. გეშკემ.— „არც ერთი ქვეყნის მუშათა კლასს,—განაცხადა მან,—იმდენი მსხვერპლი არ გაუღია საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციისათვის, რამდენიც საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა და მისმა ხელმძღვანელმა კომუნისტურმა პარტიამ გაიღო. ამიტომ, არც ერთ პარტიას გერმანელი კომუნისტები ისე არ აფასებენ, როგორც ბოლშევიკებს.—განსაკუთრებით,—ძველი გვარდიის ბოლშევიკებს, რომელთა შორის ამხ. ძერჟინსკი ერთი პირველთაგანი იყო. ამხ. ძერჟინსკის—ამ გამოცდილი, შეუპოვარი და დიდათ ნიჭიერი რევოლიუციონური მოღვაწის დაკარგვა დიდი ზარალია არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისთვის.

ამხ. ძერჟინსკის უდიდესი ღირსება ის იყო, რომ მან იცოდა ბრძოლა ბურჟუაზიასთან, მას დიდებულად ესმოდა, რომ ბრძოლა მოწინააღმდეგე კლასთან უნდა იყოს დაუნდობელი.

საბჭოთა რესპუბლიკები შეიქმნენ დასავლეთ ევროპაშიაც: ბავარიაში, უნგრეთში; მაგრამ ეს რესპუბლიკები დამარცხდენ, რადგან მათ არ აღმოუჩნდათ თავიანთი ძერჟინსკები, რომლებმაც იციან, თუ როგორი ბრძოლაა საჭირო მუშათა კლასის მტრებთან.

მოკვდა ამხ. ძერჟინსკი. ეს უდიდესი დანაკლისია; მაგრამ კომინტერნის და კომპარტიის მთლიანობა და სიმტკიცე თავისას გაიტანს—შეუდრეკლად შეასრულებს ძერჟინსკის მიზნებს.“

დასაფლავების წუთებში

ამხ. ძერჟინსკის დასაფლავების მომენტში—5 საათსა და 30 წუთზე ამხ. მიხა ცხაკაიას წინადადებით სიტყვები შეწყდა და მთელმა დარბაზმა ფეხზე ადგომით მოისმინა სამგლოვიარო ჰიმნი. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს კიდევ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სახელით ამხ. **ალ. ფანცხავამ,** კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის სახელით ამხ. **რახმანმა,** პირველი რაიონის მუშათა სახელით ამხ. **ვარლამოვმა** და თბილისის საბჭოს სახელით ამხ. **მ. ძამანაშვილმა.**

დასასრულ მიღებულ იქნა შემდეგი

რეზოლიუცია:

სამგლოვიარო სხდომაზე შეკრებილნი—ამიერ-კავკასიის და საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტების და თბილისის საბჭოს წევრები, პარტიული, პროფესიული, სამეურნეო და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენელნი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებთან ერთად დიდათ გლოვობენ დაკარგვას ლენინის ერთ-ერთ უახლოესი მოწაფის ამხ. ძერჟინსკისას, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე შესწირა მუშათა კლასის ინტერესებს და საქმეს.

სიკვდილმა ჩვენი რიგებიდან გამოგვგლიჯა ოქტომბრის რევოლიუციის ერთი პირველი მებრძოლთაგანი.

დე, ამხ. ძერჟინსკის ცხოვრება გახდეს გზის მაჩვენებელი ნათელ ჩირაღდანათ ჩვენი ახალი თაობისათვის, რომელმაც თავის მხრებზე უნდა ზიდოს ოქტომბრის დიად მონაპოვართა საბოლოო განმტკიცების მძიმე ტვირთი!

დე, ამხ. ძერჟინსკის სიკვდილმა კიდევ უფრო შეამჭიდროვოს მუშათა კლასის რიგები!

ძერჟინსკის სიკვდილი—ეს მოწოდებაა ახალი ბრძოლის და გამარჯვებისაკენ სოციალისტურ მშენებლობის საქმეში.

გაუმარჯოს ლენინის პარტიას!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

სამგლოვიარო სხდომა ინტერნაციონალის შესრულებით დამთავრდა.

უცხოეთის პრესა ამხ. ძერჟინსკის გარდაცვალების შესახებ

ბერლინის პრესა ამხ. ძერჟინსკის გარდაცვალების შესახებ

ბერლინი, 21 ივლისი. მთელი ბერლინის პრესა გამოეხმაურა ამხ. ძერჟინსკის გარდაცვალებას ვრცელი წერილებით.

ნაციონალისტური „კრეიც ცაიტუნგ“ აცხადებს, რომ ძერჟინსკის სახით დაიკარგა საბჭოთა კავშირის ერთი ნათელი პიროვნებათაგანი. ლენინის სიკვდილის შემდეგ ძერჟინსკის გარდაცვალება მძიმე დანაკლისია ბოლშევიზმისათვის.

მსხვილი მრეწველობის ორგანო „დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგი“ ათავსებს განსვენებულის ვრცელ ბიოგრაფიას და ხაზს უსვამს, რომ ძერჟინსკის გარდაცვალება დიდი დანაკლისია საბჭოთა მთავრობისათვის.

„ფოსიშე ცეიტუნგი“ მოწინავეში, სათაურით: „წმინდა ჯალათი“ სწერს:

„ამჟამად ჯერ კიდევ შეუძლებელია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ საბჭოთა სახელმწიფოს ახალი აღმშენებლობის ამ მოსამართლე—პიონერის შესახებ. თუ ეხლა საბჭოთა ხელისუფლება ისე მტკიცეა, რომ უიმედოა სურვილი მისი ძალით დამხობისა, ეს მიეწერება პირველ რიგში ძერჟინსკის გენიას“.

ხაზს უსვამს რა იმას, რომ სპეციალისტები ძალიან აფასებდენ ძერჟინსკის, გაზეთი აცხადებს:

„მეორე ადამიანი, რომელიც ასე თამამად, როგორც თავის სახლში, გრძნობდეს თავს ორ ისეთ სხვადასხვა დარგში, როგორიცაა კონტრრევოლიუციასთან ბრძოლა და მეურნეობის ხელმძღვანელობა, არ მოიპოვება საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის“.

გაზეთი „ბერენ კურიერი“ სწერს:

„მოკვდა ძერჟინსკი, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე ამოსწურა დაუღალავი მუშაობით პროლეტარიატთან სამსახურში, მსგავსად საბჭოთა ბელადების უმრავლესობისა, რომლებმაც მიაღწიეს არაჩვეულებრივ შედეგებს ენერგიის უმაგალითოდ დახარჯვით“.

„ფორვერტსი“ სწერს: „ბოლშევიკებმა ძველი გვარდიის რიგებიდან დაკარგეს უბადლო მუშაკი. თავის პირადი ცხოვრების მიმართ ასკეტი, თითქმის ბერული სიმკაცრით, ეს ადამიანი ხელმძღვანელობდა სამეურნეო აღმშენებლობას ისევე შეუბრალებლად და წარმატებით, როგორც რევოლიუციის საფრთხისაგან დაცვას“.

პოლონეთის პრესა ამხ. ძერჟინსკის გარდაცვალების გამო

ვარშავა, 21 ივლისი. პოლონეთის გაზეთებში მოთავსებულია მოკლე ცნობები ამხ. ძერჟინსკის გარდაცვალების შესახებ, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში წესიერ ფორმაშია გადმოცემული; გამონაკლისს წარმოადგენს ბულვარული გაზეთის „ექსპრეს პორანის“ ზოგიერთი ხულიგნური შენიშვნები. ზოგიერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა გარდაცვალებულის ბიოგრაფია.

„სოციალ-დემოკრატენ“ ძერჟინსკის შესახებ

სტოკჰოლმი, 21 ივლისი. შვეციის მთელი პრესა აქვეყნებს ცნობებს ძერჟინსკის სიკვდილის შესახებ. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანო „სოციალ-დემოკრატენი“ სწერს: „ძერჟინსკი უეჭველად ერთ ერთი გამოჩენილი საბჭოთა მოღვაწეთაგანი იყო. მისი ორგანიზატორული ნიჭი სავსებით იქნა გამოყენებული მთელ რიგ საპასუხისმგებლო დარგებში. მისი როლი საბჭოთა რესპუბლიკის შინაურ აღმშენებლობაში ძალიან დიდი იყო“.

ჰელსინგფორსი, 21 ივლისი. საღამოს ყველა გაზეთებმა გამოაქვეყნეს საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს დეპეშები ძერჟინსკის სიკვდილის შესახებ, მისი ვრცელი ბიოგრაფია და სურათი.

უცხო სახელმწიფოების წარმომადგენელთა სამძიმარი

მოსკოვი, 22 ივლისი. ამხ. ძერჟინსკის გარდაცვალების გამო გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს სამძიმარი განუცხადეს იტალიის, ავსტრიის, ოსმალეთის, სპარსეთის, ლიტვის, ნორვეგიის ელჩებმა და ავღანისტანის საქმეთა რწმუნებულმა.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის რწმუნებულის ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობასთან ამხ. ო. ი. კარკლინს ამხ. ძერჟინსკის გარდაცვალების გამო იტალიის და გერმანიის გენერალურმა კონსულებმა თბილისში შემდეგი სამძიმრის ბარათები გაუგზავნეს:

ბ-ნო რწმუნებულო,

„ეხლახან გავიგე ადგილობრივი პრესიდან საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ ძერჟინსკის უეცარი გარდაცვალების ამბავი და ვისწრაფი გამოგიცხადოთ ჩემი ულრმესი სამძიმარი იმ დანაკლისის გამო, რომელიც განიცადა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა.

იტალიის გენერალური კონსულის თანამდებობის აღმასრულებელი **კლარონი.**

თბილისი, 21 ივლისი 1926 წ.“

„იმ დიდი დანაკლისის გამო, რომელიც განიცადა საბჭოთა კავშირმა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის—ძერჟინსკის სახით, მაქვს პატივი გამოგიცხადოთ ჩემი ულრმესი სამძიმარი და გთხოვთ გადასცეთ იგი ამიერ-კავკასიის მთავრობას.

გერმანიის გენერალური კონსული **პრიუფერ.**

თბილისი, 21 ივლისი 1926 წ.

ამხ. ძერჟინსკის სახელობის მოედანი

მოსკოვი, 21 ივლისი. სოკოლნიკის რაიკომის ბიურომ დაადგინა ლუბიანკის მოედანს, სადაც მოთავსებულია გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, უწოდოს ძერჟინსკის სახელობის მოედანი.

პარტიული ცხოვრება

პარტმუშაობა სამხრეთ-ოსეთში

ა. კ. საოლქო კომიტეტმა მოისმინა რა სამხრეთ ოსეთის ოლქკომის მდივნის მოხსენება პარტიული მუშაობის შესახებ სამხრეთ ოსეთში, აღნიშნა შემდეგი მიღწევები: საერთოდ ეტყობა ორგანიზაციის მუშაობას გამოცოცხლება. ავადმყოფური მოვლენები აღმოფხვრილია—პარტიული დისციპლინა მტკიცედაა, ეტყობა სასკოლო საქმის გაუმჯობესება, სამეურნეო აღმშენებლობის წარმატება.

ამასთან ერთად ა. კ. საოლქო კომიტეტმა აღნიშნა მთელი რიგი ნაკლი:

სუსტად არის დაყენებული ძირითადი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობა, აკლია ხელმძღვანელობა და პრაქტიკული მითითებები ამა თუ იმ საკითხების გადაწყვეტაში. პარტიის წევრთა და კანდიდატთა პოლიტცოდნის დონე დაბალია, სუსტად მიმდინარეობს პოლიტგანმანათლებელი მუშაობა ორგანიზაციაში, კომფრაქციები არ მოქმედობენ; ნაკლები ყურადღება ექცევა სოფლად აქტივის შესწავლას და მათში მუშაობის გაძლიერებას, სუსტად მიმდინარეობს გლეხკომების მუშაობა და სხვა.

ოსეთის ოლქკომს მიეცა შემდეგი დირექტივები: მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს რაიკომების და უჯრედების მუშაობის გაუმჯობესებას, რისთვისაც შერჩეულ და გადამზადებული უნდა იქნან რაიკომის და უჯრედების მდივნები, გაუმჯობესებული უნდა იქნას ინსტრუქტორების მუშაობა, გაძლიერებული უნდა იქნას პოლიტმეცადინეობა ორგანიზაციებში, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პარტორგანიზაციების ზრდის მოწესრიგებას, რისთვისაც ოლქკომმა უნდა იხელმძღვანელოს ცენტრალური ორგანოების დირექტივებით. უნდა გაცხოველდეს მუშაობა კომფრაქციების საბჭოთა და არა პარტიულ ორგანიზაციებში, გაღრმავდეს უნდა აგრეთვე მუშაობა ნაციონალურ უმცირესობათა შორის.

ამასთან ერთად უნდა გაძლიერდეს მუშაობა სოფლის აქტივს შორის, კოოპერაციის ქსელი უნდა გაფართოვდეს, რისთვისაც საჭიროა სოფლად მუშაობის გაძლიერება გლეხების კოოპერაციაში ჩასაბმელად, აგრეთვე გაძლიერდეს უნდა პროპაგანდა გლეხობაში სხვადასხვა ძველი ჩვეულებების აღმოსაფხვრელად.

საბჭოთა ხაზით უნდა გამოცოცხლდეს აღმასკომების და საბჭოების მუშაობა და სხვა.

ი. ჯ.

ახალქალაქის მაზრის კომუჯრედების და კანდიდატთა ჯგუფების პ.-მგ. მდივნების თათბირი

ივნისში ახალქალაქში მოწვეული იქნა კომუჯრედების და საკანდიდატო ჯგუფების მდივნების თათბირი. თათბირს დაესწრენ მაზრის პასუხისმგებელი მუშაკები და 15-დე თემის პარტორგანიზაციების მდივნები. მოსმენილი იქნა მოხსენება კულიკაშის, ვეჟინის და კონდურის თემების საკანდიდატო ჯგუფების მუშაობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ჯგუფებში საქმის წარმოება არ არის დაყენებული თავის რიგზე, ოქმები და სხვა მასალები არ ინახება.

უჯრედების ხელმძღვანელობა ნაკლებია. უჯრედებში წევრებს შორის არ არის განაწილებული მუშაობა. უჯრედების მუშაობა სოფლის გლეხ-ქალთა შორის ძალიან სუსტად მიმდინარეობს. წევრები ვერ არიან გარკვეული ქალთა შორის მუშაობის ამოცანებში.

უჯრედების კავშირი კომკავშირთან არ არის განმტკიცებული. ულარიბეს გლეხთა შორის მუშაობა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული.

თათბირმა ყოველივე ზემოხსენებული ნაკლის აღმოსაფხვრელად გამოიმუშავა შემდეგი ღონისძიებები: 1. შემოღებული იქნას უჯრედებში საქმეები ოქმების და სხვა მასალების შესანახად. 2. უჯრედების წევრთა შორის უნდა იქნას განაწილებული პარტმუშაობა, რისთვისაც ბიუროებმა და პ.-მგ. მდივნებმა უნდა აღრიცხონ უჯრედების აქტივი და მისცენ მათ ესა თუ ის დავალება. 3. ბიუროების და მდივნებს მიერ უნდა ხდებოდეს შემოწმება, თუ რამდენად სწორად შესრულა ამა თუ იმ კომუჯრედის წევრმა უჯრედის დირექტივები. 4. გაძლიერებული უნდა იქნას ხელმძღვანელობა ნებაყოფლობითი საზოგადოებებზე, რისთვისაც ხშირად უნდა იქნას მოსმენილი უჯრედების სხდომებზე „რემედასი"-ს, „ავიაქიმის", გლეხკომის და სხვა ორგანიზაციების მოხსენებები მათ მუშაობის შესახებ. იქვე უნდა ეძლეოდეთ მათ შესაფერისი პრაქტიკული წინადადებები მიმდინარე მუშაობისათვის. 5. ქალთა შორის მუშაობის გამოსაცოცხლებლად გამოყოფილი იქნას უჯრედებიდან თითო წევრი, რომელიც უნდა დაუკავშირდეს მაზრკომის ქალთა განყოფილებას და გაეცნოს ქალთა შორის მუშაობის მეთოდებს, 6. კავშირი კომკავშირთან უნდა განმტკიცდეს მათთან გაერთიანებული ხშირი კრებების მოწვევის და ამხანაგების მათ უჯრედებზე მიმაგრებით. 7. მაზრკომის ცირკულიარი ულარიბეს გლეხთა ჯგუფების ჩამოყალიბების შესახებ იქნას განმარტებული გლეხკომების გადარჩევის კამპანიის ჩატარების დროს ულარიბეს გლეხთა ჯგუფებში სამუშაოდ გამოყოფილი იქნა უჯრედებიდან თითო პარტ. ამხანაგი, სადაც შესაძლებელი იქნება კომისიებიც, რომლებიც უნდა დაუკავშირდენ მაზრკომს და გაეცნონ გლეხთა ულარიბეს ჯგუფებს შორის მუშაობის მეთოდებს.

აღნიშნული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება თათბირმა დაავალა უჯრედების მდივნებს.

ზაფხულის პერიოდში პარტმუშაობისათვის გეგმის შედგენა მიენდო მაზრკომის ორგთათბირს.

იანეთელი.

ნაბადის კომუჯრედში

(ფოთი)

ნაბადის კომუჯრედი ამჟამად აერთიანებს 25 წევრს და კანდიდატს. უმრავლესობას მუშა-ქალები შეადგენენ.

უჯრედის ღია კრებები უპარტიოების მონაწილეობით იწვევა 2 კვირაში ერთჯერ, სისტემატიურათ კეთდება მოხსენებები სხვადასხვა პოლიტიკურ თემებზე. უჯრედის ინიციატივით რაიონში აშენებული იქნა 6 ოთახიანი ხის შენობა 4 წლედის შრომის სკოლისათვის. სკოლაში აგრეთვე ეწყობა სამკითხველო.

საერთოდ უჯრედის მუშაობას უკანასკნელად ეტყობა გამოცოცხლება და აქვს მრავალი მიღწევები, მაგრამ მიღწევებთან ერთად არის ნაკლიც. ერთ-ერთ უდიდეს ნაკლად უჯრედის მუშაობაში უნდა ჩაითვალოს სუსტი პოლიტგანმან. მუშაობა წევრთა შორის, რომლის შედეგია ის, რომ მუშა-წევრებს, (უმთავრესად ქალებს), რომლებიც 7—8 წელია უჯრედში მუშაობენ დღემდის, არა აქვთ მიღებული ელემენტარული პოლიტცოდნა,. გარდა ამისა არიან ისეთებიც, რომლებმაც არ იციან წერა-კითხვა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

უჯრედმა თავის მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და აღმოფხვრას წევრთა პოლიტიკური და წერა-კითხვის უცოდინარობა. საჭიროა აგრეთვე, რათა პარტკომმა მეტი მომზადებული ძალები მიამაგროს უჯრედებზე.

ვ. გოგნელი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ფოთის ნავთსადგურში

ფოთი, 22 ივლისი. წავიდა ჰამბურგში—გერმანიის გემი „შტეტტინი", რომელმაც წაიღო 1.580 ტონა შავი ქვა. მარსელში—საფრანგეთის გემი „არტურუსი", წაიღო 2.218 ტონა შავი ქვა და იტალიის გემი „ტერეზა სკეფინა" წაიღო 2.475 ტონა შავი ქვა.

საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემმა „ხოსტამ" ა.-კ. საჭიროებისათვის მოიტანა 262.089 კილოგრ. თეთრი ფქვილი და 113.493 კილ. მზესუმზირას თესლი.

ჰიდრო - ელექტრონული სადგური

ოზურგეთი, 22 ივლისი. სამაზრო აღმასკომის პლენუმმა სამაზრო აღმასკომს მიანდო გამოძებნა საჭირო საშუალებები მდინარე აჭარის-წყალზე ჰიდრო-ელექტრონული სადგურის ასაგებად.

სუბ-ტროპიკული მცენარეები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები

ოზურგეთი, 22 ივლისი. უკანასკნელ ხანებში გურიის სოფლების მეურნეობაში ძლიერ განვითარდა სუბ-ტროპიკულ მცენარეთა კულტურა.

ბრინჯის კულტურა ოზურგეთის მაზრაში 90 პროც. აკმაყოფილებს ადგილობრივ მაზრის მოთხოვნილებას.

მიმდინარე წელში ოზურგეთის მაზრაში დაიწყო კენაფის გაშენება.

ამ წელში შემოღებულ კვალში დათესის გამო გაიზარდა მოთხოვნილება მსუბუქ ფარცხებზე. მაზრის ვაკე დაბლობები ხმარობენ ტრაქტორებს, მაგრამ მათზე მოთხოვნილება სუსტია სიძვირის გამო. გურიის გლეხების მხრივ მსუბუქი ტიპის გუთნებზე დიდი მოთხოვნილებაა.

აბრეშუმის თესლი

ოზურგეთი, 22 ივლისი. მიმდინარე წელში ოზურგეთის მაზრაში აბრეშუმის თესლის დამზადება წარსულ წელთან შედარებით ორჯერ შემცირდა, რაც იმით აიხსნება, რომ გაიხსნა აბრეშუმის თესლის დამამზადებელი რამდენიმე ახალი პუნქტი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში.

„ქართული მარგანეცი"

ჭიათურა, 22 ივლისი. ჭიათურაში ჩამოვიდა „ქართულ მარგანეცის" აქციონერულ საზოგადოების გზების ამგები ინსტრუქტორი. ამ კვირის ბოლოს განზრახულია მუშაობის დაწყება ყოფილ „კარუტოს" მაღაროებში. საჰაერო გზისთვის ყველა საჭირო მოწყობილობები შეკვეთილია გერმანიაში. ნაწილი უკვე გამოგზავნილია.

აფხაზეთი

თაგვების შემოსევა

სოხუმი, 22 ივლისი. ფსხუს რაიონში მინდვრები და ბაღები ძლიერ დაზარალდენ თაგვების გაჩენის გამო. ქერია განადგურებული თითქმის ასი პროცენტით, სიმინდი 25 პროცენტით, სელის და კანაფის ნათესები 40% თაგვები გადავიდენ აგრეთვე ულელ-ტიხილზე და ანდოეევკის მიმართულებით დაიძრენ.

სამხრეთ-ოსეთი

გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებანი

ცხინვალი, 22 ივლისი. სამხრეთ-ოსეთის ყველა რაიონებში დაიწყო გლეხთა დამხმარე საზოგადოებების რაიონულ კონფერენციების კამპანია კომიტეტების ახალ არჩევნებისათვის.

კამპანია ცოცხლად და დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. აგვისტოში შესდგება საოლქო კონფერენცია.

წერილები

ამხ. ფილიპე მახარაძე ჩვენს თემში

ს. ყაზბეგი (დუშეთის მაზრა)

12 ივლისს სოფელ ყაზბეგში შესდგა საბჭოს კრება. სადაც მეტად სერიოზული საკითხები იყო დასმული. კრებას დაესწრო საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე. მათ მოსვლას დიდი ზეიმით შეხვდა ყაზბეგის რაიონის მთელი მოსახლეობა. კრება გახსნა ადგილობრივ აღმასკომის თავმჯდომარემ. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ფ. მახარაძემ. შემდეგ ამხ. ფ. მახარაძემ გააკეთა ფრიად მნიშვნელოვანი მოხსენება, და აუხსნა გლეხებს საბჭოთა მთავრობის მუშაობა, მიღწევები და ნაკლი. ხალხი ძლიერ კმაყოფილი დარჩა მოხსენებით და მრავალი შეკითხვები მისცა საქართვ. საბჭოთა ხელისუფლების უზენაეს წარმომადგენელს. კრების დამთავრების შემდეგ ამხ. ფილიპე გაემგზავრა ჩვენი თემიდან.

გლეხობა იმედს გამოსთქვამს, რომ ხშირად ინახულებენ ხოლმე და გაიგებენ გლეხობის ჭირ-ვარამს.

მუშფაკელი.

აბრეშუმის წარმოება ლეჩხუმის მაზრაში

წინეთ ჩვენს მაზრაში აბრეშუმის წარმოებას ნაკლებად მისდევდენ, ვინაიდან ხალხი ძველი ტრადიციების გავლენის ქვეშ იყო და ფიქრობდენ აბრეშუმის დაყენებას მოსდევს მეხი, ელვა, ქუხილი და სხვა გლეხის მეურნეობის განმანადგურებელი უბედურება. მაგალითად, 1919 წელში ლეჩხუმის მაზრის ერთ-ერთ სოფელში მალულად ამზადებდენ აბრეშუმის პარკს. ამ წლის განმავლობაში მოხდა ყანების საშინელი დასეტყვა. გლეხობა მიუვარდა იმათ, ვინც ამზადებდა აბრეშუმის პარკს და მთლად წყალში გადაყარა.

1924 წ. აბრეშუმის წარმოებას ჩაუდგა სათავეში ცაგერის „ეპოს" გამგეობა, რომლის ინიციატივით შეძენილ იქნა მაზრის მცხოვრებთათვის აბრეშუმის თესლი და ამასთანავე აბრეშუმის საწარმოებლად მოწყობილ იქნა მურში ფარდულები. აღნიშნულ წელში შემოვიდა მაზრის სხვადასხვა სოფლებიდან 337 ფუთი აბრეშუმის პარკი, ყოველ ფუთზე გლეხობამ მიიღო 18 მან.

1925-26 წ. აბრეშუმის წარმოება ლეჩხუმში საგრძნობლად გაფართოვდა, ფარდულებიც გაადიდა „ეპომ", მაზრის სხვა და სხვა სოფლებიდან დღეში შემოდის დაახლოვებით 30-40 ფუთამდე აბრეშუმის პარკი. ამჟამად შემოსულია პარკის რაოდენობა უდრის 500 ფუთს. მოსალოდნელია, რომ მომავალში 1000 ფუთზე მეტი შემოვა. პარკს ღებულობენ ორი ხარისხით: 1-ლი ხარისხის—22 მან., მე-2 ხარისხის—20 მან.

გლეხის ქალების სიხარულს საზღვარი აღარ აქვს თავიანთი ნაშრომის ნაყოფს რომ ხედავენ.

აბრეშუმის მუშაობაში ჩაბმული არის 10 ქალამდე, რომლებიც ღებულობენ განსაზღვრულ ხელფასს.

ლეჩხუმის მაზრაში აბრეშუმის წარმოება იძლევა საუკეთესო ნიადაგს, საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება მეაბრეშუმეთა საზოგადოებამ და ხელი შეუწყოს ამ საქმის რიგიანად დაყენებას ჩვენს მაზრაში, რითაც სარგებლობა ექნება, როგორც სახელმწიფოს, ისე ადგილობრივ მცხოვრებლებს—გლეხებს და გლეხის ქალებს.

ი. ყრუაშვილი.

წერილებიდან

ბრემისხევი (დუშეთის მაზ.)

განაახლეთ მუშაობა. საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებიდანვე ჩვენს სოფელში ფრიად სასარგებლო საქმე იქნა დაწყებული. ასრულდათ დიდი ხნის ნატვრა და დაწყებულ იქნა სასოფლო გზის გაყვანა. სამწუხაროდ რამოდენიმე ხნის შემდეგ შეჩერებულ იქნა და დღესაც არ არის განახლებული, გლეხობა მზად არის გაიღოს შრომა, ოღონდა გზის დამთავრების საქმე კი იკისროს ვინმემ.

გლეხებს იმედი აქვს, რომ მუშაობა განახლებულ იქნება. განსაკუთრებით შეფის დახმარების იმედი აქვთ.

ლარობი.

დავეხმაროთ თემს (ჩხოროწყუ ზუგ. მაზ.)

ჩხოროწყუს თემის საალმშენებლო ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 10 მან. და ვიწვევ ადგილობრივ მკვიდრთ, რომელნიც სხვადასხვა ქალაქებში მუშაობენ: მიხა ესართიას, კოსტ წურწუმიას, ბაგრატ ჟვანიას, ვარლამ კონს.-ძე კვერკველიას, დურუ მოსეს ძე კვერკველიას, გრიშა ქუბურიას, ბენია სიჭინავას და ილია ნაჭყებიას.

ფულის გამოგზავნა შეიძლება ფოსტით საალმ. კომისიის სახელზე.

[illegible]

ამხ. გეშკე თბილისში

მთავარ სახელოსნოებში

მიტეტის წევრი ამხ. გეშკე გუშინ დილიდან შეუდგა თბილისის მუშების ყოფა-ცხოვრების და მუშაობის პირობების გაცნობას. ამხ. გეშკეს განსაკუთრებით აინტერესებდა რკინისგზის მუშების მდგომარეობა და ამ მიზნით ის დილის 11 საათზე ესტუმრა მთავარ სახელოსნოებს და დეპოს.

ცნობა ამხ. გეშკეს მოსვლის შესახებ ჩქარა მოედო ყველა ცეხებს და სახელოსნოებს. ამხ. გეშკეს გარშემო თავი მოიყარეს აუარებელმა მუშებმა, რომლებიც დაწვრილებით ცნობებს აძლევდენ მას თავისი ცხოვრების შესახებ; ამავე დროს ისინი ეკითხებოდენ ამხ. გეშკეს, თუ როგორ ცხოვრობენ გერმანიის მუშები, კერძოდ რკინისგზელები.

პირველად ამხ. გეშკემ დაათვალიერა მთავარი სახელოსნოების ფუზარმაზარი სახარატო ცეხი. ძველი მუშა ამხ. გეშკე დაკვირვებით ათვალიერებდა თვითეულ დაზგას და ყურადღებით ისმენდენ მუშებისაგან ამბავს იმის შესახებ, თუ რამდენი დაბრკოლება გადალახეს მათ, სანამ წარმოებას აღადგენდენ.

როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდა შრომის ხელფასზე და როდესაც მუშებმა უამბეს ამხ. გეშკეს, თუ რამდენს იღებენ თვიურად, ის გაკვირვებით დარჩა.

— ასეთ ხელფას,—განაცხადა ამხ. გეშკემ,— გერმანიის რკინისგზელები არ ღებულობენ. თქვენი მუშები ხშირად 200 მანეთს იღებენ თვეში. ჩვენში ასეთ თანხას იშვიათ შემთხვევებში იღებენ და ისიც მაღალ კვალიფიციური მუშები და სპეცები.

შემდეგ ამხ. გეშკე გაეშურა დამნაწილებელ ცეხისაკენ. სხვათაშორის აქ ის გაეცნო ერთ მუშას, რომელიც 20 წელიწადზე მეტი მუშაობს ამ წარმოებაში. ამის გამო გერმანელმა სტუმარმა განაცხადა, რომ გერმანიაში, სადაც შრომის პირობები მძიმეა, მუშა ასეთ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ინვალიდათ ხდება. ჩვენი მოხუცი შრომის გმირების მხნე გამომეტყველებამ საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა ამხ. გეშკეზე.

შემდეგ დათვალიერებული იქნა სამჭედლო ცეხი.

ამხ. გეშკემ ორი საათი გაატარა მთავარ სახელოსნოებში. ამ ხნის განმავლობაში ის დაწვრილებით ეცნობოდა მუშების ცხოვრებას. მას აინტერესებდა შრომის ხელფასი, დაზღვევის საქმე, საქარხნო კომიტეტის მუშაობა და სხვა.

დიდხანს ეკითხებოდა ამხ. გეშკე მუშებს, თუ როგორი ურთიერთობაა უპარტიო მუშებსა და კომუნისტებს შორის. აქ ის ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ყველა მუშები ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობენ წარმოების გასაფართოებლად და განსავითარებლად.

საქართველოს პროფსაბჭოში

ამხ. გეშკე ესტუმრა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს. მან სთხოვა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პროფკავშირთა ყრილობების სტენოგრაფიულ ანგარიშების გადაცემა. ამხ. ალ. ფანცხავამ მას მისცა ამომწურავი ახსნა-განმარტება საქართველოს პროფმოძრაობის შესახებ.

გუშინ, ნაშუადღევს 1-ლ საათზე ამხ. გეშკე ესტუმრა სტალინის სახელობის რკინის-გზის დეპოებს.

დეპოს მუშები მას აღფრთოვანებით მიეგებნენ. გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც ამხ. გეშკემ გაკვირვება გამოსთქვა რკინის-გზის მუშა-მოსამსახურეთა შრომის ხელფასის შესახებ, რადგან, ამხ. გეშკეს თქმით, გერმანიაში რკინის-გზის პროლეტარიატი ამ მხრივ უფრო ცუდ მდგომარეობაშია. რკინის-გზის დეპოს მუშები დაწვრილებით მოუყვენ ძვირფას სტუმარს თავიანთ მდგომარეობას როგორც მენშევიკების, ისე საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ამხ. გეშკე აღფრთოვანებულია ყოველივე იმით, რაც საქართველოში ნახა.

— „მე აქ მომწონს არა მარტო ბუნება, არამედ შესრულებული და გაწეული მუშაობა"-ო სთქვა მან.

ამხ. გეშკემ დაათვალიერა აგრეთვე ზაჰესი. კვირას ის კავკავის გზით უკანვე გაბრუნდება.

ამხ. რაკოშის დასაცავად

კრება ლენინის რაიონში

21 ივლისს მე-6 უბნის სალიანდაგო დარგის კლუბის შენობაში შესდგა ლენინის რაიონის რემედასის აქტივის სხდომა. ამხ. ნაცვლიშვილმა გააკეთა მოხსენება ამხ. რაკოშის პროცესის შესახებ, რის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ნაცვლიშვილისა ამხ. რაკოშის პროცესის შესახებ, ჩვენ, ლენინის რაიონის მუშა - მოსამსახურენი გაერთიანებული რემედასის რიგებში, ზიზღს უცხადებთ ბურჟუაზიულ სასამართლოს. ჩვენ მოუწოდებთ უნგრეთისა და მთელი ქვეყნის პროლეტარიატს აღიმაღლოს ხმა ამხ. რაკოშის და სხვ. დასაცავად.

ძირს ბურჟუაზიის სასამართლოები, ძირს ძვალ-ძირ-მომპალი ბურჟუაზია, ძირს თეთრი ტერორი.

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა კლასის სოლიდარობას.

ზიზღი ამხ. რაკოშის მსაჯულებს".

თელავის რემედასის წევრთა ხმა

თელავში შესდგა თელავის რემედასის წევრთა და მუშა - მოსამსახურეთა საპროტესტო მიტინგი ამხ. რაკოშის გასამართლების გამო. მიტინგს დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

რაკოშის გასამართლების შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. ივ. დავითიანმა. მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ოქტომბრის გამარჯვებისა და საბჭოთა კავშირის განმტკიცების შემდეგ, კაპიტალისტურ სამყაროს წინაშე წამოიჭრა კომუნიზმის წითელი აჩრდილი. ყველა ქვეყნებში გაჩნდენ და გაძლიერდენ კომუნისტური პარტიები, რომელნიც დღეს უშიშრად და გმირულად იბრძვიან საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის გასამარჯვებლად, თითქმის ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს წინაშე წამოიჭრა თავისი ოქტომბრის საკითხი, რამაც ამის გამო შიშის ზარი დასცა, ისედაც დამბლა დაცემულ ბურჟუაზიას. ამის გამო არის, რომ უკანასკნელი გამძაფრებით იბრძვის კომუნიზმის ყოველგვარ ჩანასახს. თან სისხლის ტბებს აყენებს მის მიერ დაპყრობილ მუშებისა და გლეხებისაგან.

ვის არ ახსოვს ბავარიისა და უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკების სისხლის ზღვაში ჩაღრჩობა, იტალიაში ფაშისტების მიერ მუშათა მოძრაობის განადგურება, ბულგარეთში სისხლიანი პრემიერის — ცანკოვის საქმენი საგმირონი, ბესარაბიის და პოლონეთის, აგრეთვე სხვა წვრილ ერეულებათა ტრაგედია, — ერთი სიტყვით აი მთელი სისხლიანი სახე თანამედროვე ევროპისა, რასაც თან ახლავს უამრავი მსხვერპლი მუშებისა და გლეხების.

ასეთ მსხვერპლად უნგრეთის ჯალათებს სურთ შეიწირონ უნგრეთის კომპარტიის ერთი ბელადთაგანი ამხ. მატიას რაკოში. უნგრეთის თეთრ იუსტიციას განზრახული აქვს მისი სიკვდილით დასჯა.

თელავის რემედასის რიგებში მუშები და გლეხები, უსასტიკეს პროტესტს ვაცხადებთ ამხ. რაკოშის გასამართლების გამო; ჩვენ ხმას უერთებთ მთელი მსოფლიო პროლეტარიატის მძლავრ გადაწყვეტილებას და მოვითხოვთ ამხ. რაკოშის განთავისუფლებას.

ძირს უნგრეთის სისხლის მსმელი ჯალათები.

შორს მათი ჭუჭყიანი ხელი.

გაუმარჯოს ამხ. რაკოშის.

გაუმარჯოს მსოფლიო რემედასს".

მუშათა ცხოვრება

ძღვნად ინგლისის გაფიცულ სამთამადნო მუშებს

იდეალური რწმენით სავსენი
არ სთმობთ უფლებას, შენარჩუნებულს,
მზად ხართ გული გაუპოთ მტერსა
ბრძოლისა ველზედ თქვენით წოდებულს.
თქვენს სადარაჯოს მტკიცედ ჰგუშაგობთ,
დიად საქმისთვის მედგრად იბრძოლებთ
უეჭველ მტერის დასამარცხებლად,
სრულ გამარჯვებით დააბოლოვებთ!

მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი
თქვენს დიადს ბრძოლას მტკიცედ შეჰყურებს,
დამჭკნარ იმედებს ხმა გამარჯვების,
ვით ვარდს ცის ნამი, გულსა უსხურებს.
სალამი, ძმებო, ჩვენც ვიზიარებთ
ბრძოლის პირობებს, აუტანელსა!
და პროფინტერნის დროშის ქვეშ ყველა,
შევქმნით მთლიან ფრონტს დაუძლეველსა.
დავჭკათ დრო მოჭმულ ქოფაკ კაპიტალს,
ოქროს კერპების ტახტი დაამხეთ,
და ნაფლეთები გახრწნილი ლეშის
მის ნანგრევებში თვითვე ჩამარხეთ!
ვაშა, შორეულ ძმებს სიმტკიცეს!
საერთო ფრონტის უძლევ ზღუდესა,
ვაშა, ამ ბრძოლის დიად წინამძღოლს,
წითელ პროფინტერნს, მოიმედესა!

რკ.-გზ. მუშა ი. ნაზარბეგოვი.

წინანდალის მამულის მუშათა კომიტეტში

წინანდალის მამულის მუშკომი 132 მუშა-მოსამსახურეს აერთიანებს. სულ მამულში 150 მუშა-მოსამსახურე მუშაობს, მათგან 132 მუდმივად მომუშავენია, დანარჩენი კი—დღიურებია. მუშკომი არჩეულია 1925 წ. ოქტომბერში. ამ ხნის განმავლობაში მან მოიწვია მუშა-მოსამსახურეთა 11 საერთო კრება.

საერთო მუშაობიდან სჩანს, რომ მუშკომი ერევა ადმინისტრაციის საქმეში. აი მაგალითი: მამულში მომუშავე შეგირდის დედას მუშკომში შეუტანია განცხადება შვილისთვის სამუშაო ხელფასის მომატებაზე. ეს მუშკომის თავმჯდომარეს არ მოსწონებია და განცხადების შემტანელისთვის უთქვამს: აწი აღარ გაბედო განცხადების შემოტანა თუ არა შენს შვილს დავითხოვთ". ადმინისტრაციის საქმეში ჩარევა მუშკომს არ ეპატიება. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს მიწა-ტყის კავშირმა და შეაგნებინოს მუშების ამნაირ „ხელმძღვანელებს" ასეთი საქციელის დაუშვებლობა.

მუშა - მოსამსახურეთა თაოსნობით დაარსდა მთლიანი მომხმარებელთა საზოგადოება, რომლის წევრებად თითქმის ყველა მომუშავენი არიან.

მუშკომთან დაარსებულია სარევიზიო კომისია. იგი, შეიძლება ითქვას, რომ უმოქმედოა და ამნაირ „სარევიზიო" კომისიის არჩევას, სულ აურჩევლობა სჯობია. აგერ თითქმის ათი თვე გადის და „სარევიზიო" კომისიამ მხოლოდ სამჯერ მოახდინა რევიზია! საჭიროა სარევიზიო კომისიის გამოცოცხლება, ანდა, უფრო ენერგიული პირების არჩევა.

მამულში მოწყობილია საკლუბო დარბაზიც. კლუბის წევრათ 128 კაცი ირიცხება. თითოეული წევრი ყოველთვიურათ 5 კაპ. საწევრო გადასახადს იხდის. ეს ფული მათ ჯამაგირიდან ექვითებათ. ეს კანონიერი არ არის. კლუბის წევრობა პიროვნულია (ინდივიდუალური). თითოეულ მუშა-მოსამსახურეს თავის ნებით უნდა შეჰქონდეს საწევრო გადასახადი. ამის შესახებ 1924 წელში გამოსცა ცირკულიარი საქართველოს პროფსაბჭომ, მაგრამ, როგორც სჩანს, ამ ცირკულიარის ასლს თელავის მაზრამდე არ მიუღწევია!

სამკითხველოც არსებობს, მაგრამ ერთობ მცირე მუშა-მოსამსახურე დადის აქ.

არც საკლუბო მუშაობას ეტანებიან. საკლუბო მუშაობა მეტისმეტად მოიკოჭლებს. მამულთან შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია არსებობს. მაგრამ მის დადგენილებას ყურს არ უგდებს სახალხო მამულების ტრესტი, იგი არ ატარებს ცხოვრებაში შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებას.

სწორეთ განსაცვიფრებელი საქმეა. თუ ადმინისტრაცია არ ატარებს მის გადაწყვეტილებას, რა საჭიროა ამგვარი „შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია"?! კავშირს მუშების გასაღიზიანებლად თუ უნდა არ ვიცი, ისე კი მას არსებობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომაა, რომ მუშებში უკმაყოფილებას იწვევს ეს გარემოება. საჭიროა ან გაუქმდეს აქ არსებული შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია, ანდა, მას უფლებები მიენიჭოს.

მუშებთან დადებულია გენერალური კოლექტიური ხელშეკრულება, რომლის ძალითაც პირველ თანრიგისათვის 11 მ. 50 კ. დაწესებულია.

მუშებს ხელფასი უგვიანდებათ.

გარდა ზოგიერთებისა, (თანახმად მომუშავების) ყველანი დაზღვეული არიან, მაგრამ დასაზღვევი წიგნაკი არა აქვთ გამოცვლილი.

საწარმოო თათბირმა საგრძნობი სარგებლობა მოუტანა წარმოებას. მისი დადგენილებები უწყვეტლად ტარდება ცხოვრებაში ადმინისტრაციის მიერ. [illegible]

[illegible]

დაუსრულებელ „ვოლოკიტის" ჩიხში

მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად ებრძვის ყოველგვარ „ვოლოკიტას", „კანცელიარჩინა"-ს, ბიუროკრატიზმს, ძალტივი და უსაქმო საქმის გართულება-გაჭიანურებას, მაინც ზოგიერთ შემთხვევებში ჩვენ სინამდვილეში აქა-იქ ჯერ კიდევ ხვდება ადგილი ასეთ ყოვლად დაუშვებელ მოვლენებს: მაგ. მუშას არ მისცეს დროზე ხელფასი და ის იძულებული ხდება სათანადო განცხადებით მიმართოს შრომის სასამართლოს. შრომის სასამართლო ვალდებულია შრომის საქმეები გაარჩიოს განცხადების შემოსვლის დღიდან ათი დღის განმავლობაში. უმეტეს შემთხვევებში იგი ასე იქცევა კიდეც; არჩევს საქმეს ათი დღის განმავლობაში და მუშას აძლევს აღმასრულებელ ფურცელს.

ამგვარად მომჩივანეს ეძლევა (ფორმალურად მაინც) უფლება მიიღოს ადმინისტრატიული წესით კუთვნილი ხელფასი და სასამართლოს აღმასრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაანაღდოს აღმასრულებელი ფურცელი და დააკმაყოფილოს მუშა-მომჩივანე სასამართლოს განაჩენის ფარგლებში.

სამწუხაროდ, სინამდვილეში ეს ასე არ ხდება ზოგიერთ შემთხვევაში:—საქმის მთელი სიმძიმე გადმოაქვთ აღმასრულებელი ფურცლის განაღდებაზე, რისგამო მის განაღდება რთულდება და გვიანდება რამდენიმე თვით, წლით ან სრულიად შეუძლებელი ხდება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მუშას ხელში რჩება მხოლოდ აღმასრულებელი ფურცელი მისი პრეტენზიების ვაუმართლებლად და დამნაშავის დაუსჯელად.

მაგალითისათვის ჩვენ მოვიყვანთ ერთ დამაფიქრებელ შემთხვევას, რომლის გამოსასწორებლად უნდა იქნეს მიღებული სასწრაფო ზომები: ამ ერთ წელიწახევრის წინეთ მუხრანის (ქსანის) წყალთა რაიონის მცხოვრებთა საერთო კრების დასტურით (კრებას დაესწრო აგრეთვე ა.-კ. წყალთა მეურნეობის საქართველოში რწმუნებულის წარმომადგენელი) მოწვეული იქნა მირაბად ადგილობრივი მცხოვრები, გლეხი, წვრილ ცოლშვილით დატვირთული ოჯახის პატრონი, პარტიული ამხანაგი **დ. გავაკეთაშვილი**. ამხ. გავაკეთაშვილი ანაწილებდა არხის წყალს გლეხებში ყოველ დღე დილიდან საღამომდის და თავისი ოჯახი მიტოვებული ჰქონდა იმ მოსაზრებით რომ იგი დროზე ან და ოდესმე მაინც მიიღებდა დაპირებულ ხელფასს, მაგრამ გადიოდა დღეები, თვეები, გავიდა ერთი წელი და აგერ თითქმის მეორე წელიც სრულდება და მას დღესაც არა აქვს მიღებული ერთი კაპეიკიც. ერთი წლის მძიმე მუშაობის და სათანადო ორგანოების უყურადღებობის შემდეგ ამხ. გავაკეთაშვილი იძულებული გახდა მიემართა სათანადო განცხადებით შრომის სასამართლოსთვის. სასამართლომ მის განცხადება სცნო სამართლიანად და თავის განაჩენით მოითხოვა მისი ხელფასით დაკმაყოფილება, რისთვისაც მას (გავაკეთაშვილს) მიეცა აღმასრულებელი ფურცელი.

აი სწორედ აქედან იწყება მისი საქმის დაუსრულებელი მოგზაურობა და მისი ჯოჯოხეთური წვალებაც. ვერ იქნა და ველარ მოეწყო მისთვის გაცემული აღმასრულებელი ფურცლის განაღდება. ამხ. გავაკეთაშვილმა და მისმა აღმასრულებელმა ფურცელმა ინახულეს თითქმის ყველა სასამართლო და საპროკურატორო ორგანოები, მაგრამ მაინც ვერას გახდენ; მისი განაღდება შეუძლებელი გახდა, ამის მიზეზად კი დაასახელეს შემდეგი: ვინაიდან ამხ. გავაკეთაშვილის მოპასუხედ არ აღმოჩნდა „არც ფიზიკური" და „არც იურიდიული პირი" (ქსანის რაიონის აღმასკომმა და არც საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველომ არ სცნეს თავი დამქირავებელ-მოპასუხედ, ადგილობრივ გლეხთა საერთო კრება კი, რომელიც იყო მოწვეული მათ მიერ და რომელზედაც დაესწრენ ორივე დაწესებულებათა წარმომადგენლები „იურიდიულ-ფორმალურ თვალსაზრისით" არ ჩაითვალა „მოპასუხედ"), ამიტომ აღმასრულებელი ფურცელი დარჩა გაუნაღდებელი, ამით კი მუშას დაეკარგა მთელი ერთ წელნახევრის ნამუშევარი.

ვინ იცის რამდენი ძვირფასი სამუშაო დღეები დაეკარგა, რამდენი მოულოდნელი ხარჯები დააწვა ამხ. გავაკეთაშვილს და მის ღარიბ ოჯახს თავის კუთვნილ გასამრჯელოს მიღების ძიებაში, რამდენი სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებმა დაჰკარგეს ამ საქმეზე საათები და დღეები და მაინც ვერ იქნა და ვერ მოიძებნა ამ საშინელ „ვოლოკიტის" ჩიხიდან გამოსავალი გზა. ცხადია, რომ ამგვარივე მდგომარეობაში იქნებიან სხვა მირაბებიც. ეს კი სახელს უტეხს მშრომელ მასის თვალში ჩვენ სასამართლო ორგანოებს და ჩვენ არა გვაქვს უფლება, ასეთ [illegible] შევხედოთ გულგრი[illegible] კი ზომები მათ აღმო[illegible]

[illegible]

კოოპერაცია

ა.-კ. კოოპ. კავშირში

მომჭირნეობის რეჟიმი

მომჭირნეობის რეჟიმის უკეთ გატარებისათვის ადგილებზე, ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა ეს საქმე დააკისრა ინსტრუქტორებს.

აბრეშუმის დამზადება

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა აფხაზეთში და აზერბეიჯანში ჯერ-ჯერობით დაამზადა 18 ათასი ფუთი ნედლი აბრეშუმის პარკი.

წელს დამზადებულ პარკიდან ნაწილი გატანილი იქნება უცხოეთის ბაზარზე და ნაწილი მოხმარდება ადგილობრივ მოთხოვნილებას.

კაკლის და თხილის დამზადება

ა.-კ. კოოპერატივთა კავშირი ახლო მომავალში შეუდგება კაკლისა და თხილის დამზადებას საქართველოში და აზერბეიჯანში.

პლენუმი

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი 3 აგვისტოსთვის იწვევს საბჭოს პლენუმის სხდომას.

დღის წესრიგში დასმულია მოხსენებები: ა.-კ. კოოპ. კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკანური კოოპერატივთა კავშირის საბჭოების, საბჭოს ხარჯთ-აღრიცხვის და გადასახადების შესახებ, პრეზიდიუმის დამატებითი არჩევნები და მიმდინარე საკითხები.

ცემენტის ქარხანა

ცემენტის ქარხანა

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა გამოყო სპეციალისტ-ინჟინერთა კომისია, რომელსაც დაევალა შეისწავლოს კავთისხევში ცემენტის წარმოების პირობები.

გარდა ამისა კომისიას დავალებული აქვს შეისწავლოს აგრეთვე ტაუზის ცემენტის ქარხნის საქმიანობა და მოახდინოს დასვირვება, თუ რამდენათ ხელსაყრელი იქნება კავთისხევში ქარხნის აგება.

კომისიაში შედიან: ინჟ. დევდარიანი, წულუკიძე, კონიუშევსკი, კარაპეტიანი, ყიფიანი და ჯანოევი.

კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

მავნებლები

მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის ბიურომ ამას წინეთ გორის მაზრაში გაგზავნა მკვლევართა რაზმი მებაღეობის მავნებელთა შესასწავლათ და მათთან ბრძოლის საშუალებათა გამოსამუშავებლათ.

მცხოვრებთა შუამდგომლობის თანახმად ყველაზედ უფრო დაზარალებულ ტყვიავის რაიონში გადაწყვეტილია შემოიღონ მებაღეობის და მებოსტნეობის სავალდებულო წამლობა.

ამ მიზნით სასოფლო-სამეურნეო სამმართველომ გადასწყვიტა შეიძინოს საჭირო წამლეულობა და ხელსაწყო-იარაღები.

გლეხკომებში

გლეხკომის ქონების გამფლანგველის და მითვისებლის დასჯა

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა საჭირო კვლევა-ძიების მოხდენის შემდეგ წინადადება მისცა ახალციხის მაზრის სოციალურ უზრუნველყოფის ინსპექტორს სასტიკი პასუხი მოსთხოვოს ურაველის თემის გლეხკომის მდივანს ნაზარეტიანს, როგორც გლეხკომის ქონების მითვისებელს და გამფლანგველს. ინსპექტორის შუამდგომლობით გლეხკომის უღირსი მუშაკი ნაზარეტიანი ახალციხის მაზრის პროკურორმა დაატუსაღა და სამართალში მისცა. სასამართლოში მიცემის გარდა 310 მანეთი, რომელიც მითვისებული და გაფლანგული ჰქონდა ნაზარეტიანს, იძულებით ჩამოართვეს მას და გლეხკომს დაუბრუნეს.

გლეხკომების საარჩევნო კამპანიის გარშემო

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით სასოფლო გლეხკომების გადარჩევა ახალქალაქის მაზრაში უკვე დამთავრდა. ახლო მომავალში აქ მოწვეული იქნება გლეხკომების სამაზრო კონფერენცია, რომელზედაც მოხდება სამაზრო გლეხკომის გადარჩევა.

გლეხკომების კონფერენცია

25 ივლისს, თელავის მაზრაში დანიშნულია გლეხკომების სამაზრო კონფერენცია. თბილისიდან კონფერენციას დაესწრება სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ამხ. კ. ხომერიკი.

წითელ ჯარში

წითელარმიელი სოფლად

წითელი არმიის მშვიდობიან აღმშენებლობის საქმეში ერთ მეტად საყურადღებო საკითხი იჭრება.

ეს საკითხი არის წითელი არმიის მომზადება სოფლად მუშაობისათვის. მთელი პოლიტიკური განმანათლებელი მუშაობა გრძელვადიან შვებულებაში წასვლის წინა თვეებში მთლიანად ემსახურება ამ მიზანს. წითელ-არმიელთა როგორც სასკოლო, ისე სკოლის გარეშე განათლება მეორე წლის ბოლოს ემსახურება პარტიის და საბჭოთა მთავრობის მორიგ ამოცანების გაცნობას სოფლის მუშაობის დარგში.

სოფლის აქტივის კადრის მომზადებისათვის წითელი არმია წარმოადგენს მეტად ხელსაყრელ პირობას. საქმე იმაშია, რომ წითელ არმიაში ჩვენ გვყავს თავმოყრილი სოფლის ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი და ორი წლის განმავლობაში მათთან ბევრი რამე კეთდება.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. სამსახურის გათავების შემდეგ არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი წითელ-არმიელი არ უბრუნდება სოფელს. კიდევ მეტი, ნაწილებში მოსული წერა-კითხვის უცოდინარი წითელ-არმიელები სალიკვიდაციო სკოლის დამთავრების შემდეგ თვითგანვითარების საშუალებით იმდენ ცოდნას იძენენ, რომ გადადიან ლეგიონის სკოლებში, ან გადიან ისეთ კურსებს, როგორიც არის კორესპონდენტთა კურსები და სხ. მარტო მეორე ქართულმა დივიზიამ გასულ წელს სექტემბერში გამოუშვა 210 ქოხსამკითხველოს გამგეთა კურს-დამთავრებული წითელარმიელი.

წითელი ყაზარმა უბრუნებს როგორც ქალაქს, ისე სოფელს საკმაოდ განვითარებულ აქტივს. მაგრამ სწარმოებს თუ არა ამ აქტივის გამოყენება სოფლად. აი საკითხი, რომლითაც უნდა დაინტერესდეს დღეს ჩვენი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები.

უნდა ითქვას, რომ ამ საკითხში დღემდის არ არის სრული გარკვეულობა. სოფლად დაბრუნებული წითელ-არმიელი გათვითცნობიერებული, აქტიურ მუშაობის სურვილით გაღენთილი, ხშირად ვერ პოულობს თავის ენერგიის გამოსაჩენ ასპარეზს. ხშირად ვხედავთ შემდეგ სურათს: წითელ-არმიელი სტოვებს სოფელს და ეძებს ქალაქში სამუშაოს, ან მისი აქტივობა თან და თან ნელდება და იგი სწყვეტს კავშირს საზოგადოებრივ მუშაობასთან.

ეს საკითხი საგულისხმოა წითელი არმიისათვის, რადგან მისი მიზანი—სოფლის საზოგადო მოღვაწის მომზადება—არ შეიძლება მიღწეულ იქნეს, თუ პარტია და საბჭოთა ორგანიზაციები არ დაუჭერენ მხარს. სოფლად მუშაობა, რომ აუარებელ ძალებს მოითხოვს—ეს უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ყველა სოფლებში ძალიან მცირე რიცხვი გვყავს მომზადებული მუშაკების ესეც ფაქტია. ყოველ წლიურად ქართული ნაწილებიდან სოფლად მიდის რამოდენიმე ათასი მომზადებული წითელ-არმიელი მაგრამ ვერ ვხედავთ მათ გამოყენებას. არის რა თქმა უნდა მცირე რიცხვი ისეთი ყოფ. წითელ-არმიელების, რომელიც აწარმოებს დღეს სოფლად ამა თუ იმ საზოგადოებრივ მუშაობას, როგორც არის ქოხ-სამკითხველოს გამგეები, საბჭოს წევრები, სამხედრო კურსების გამგეები და სხვ. მაგრამ ეს ძალიან მცირე ნაწილია, ისიც მხოლოდ ზოგიერთ მაზრებში და იმ ადგილებში, რომლებიც ლეგიონების ახლო მდებარეობენ.

საჭიროა ამ საკითხს მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ადამაძე.

არტილერია ბანაკად

მიმდინარე ზაფხულის № საარტილერიო ლეგიონები დაბანაკებული არიან № სადგურის მიდამოებში.

ლეგიონები ბანაკად გასვლისთანავე დაუკავშირდენ ახლობელი თემის სოფლებს. გაბმულია კავშირი სოფლების საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებთან.

ლეგიონები აწარმოებენ გაცხოველებულ პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობას.

ყოველ კომუჯრედის სხდომას ესწრებიან ლეგიონის ბიურო-კოლექტივის წარმომადგენლები, რომლებიც აკეთებენ მოხსენებას სხვადასხვა თემებზე.

ამას წინად მოხდა მარტყოფის თემში შემავალი სოფლების უჯრედების გაერთიანებული კრება. კრებაზე № საარტილერიო ლეგიონიდან გამოგზავნილმა ამხანაგებმა ჩაატარეს მოხსენება მე-14 პარტყრილობის დადგენილებებზე.

ლეგიონის დრამწრეები სისტემატიურად მართავენ უფასო წარმოდგენებს სოფლებში, რომლებსაც ესწრება მრავალი გლეხობა.

ხშირად მოაქვთ მოძრავი კინო-აპარატი და უჩვენებენ სოფლებს მრავალ საინტერესო კინო-სურათებს.

მარტყოფის თემის გლეხობა ძალიან ემადლიერება საარტილერიო ლეგიონების წითელარმიელებს და უფროსთა შემადგენლობას იმ ყურადღებისათვის, რომელსაც ისინი აქცევენ [illegible]

მ. მიხანაშვილი.

გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ საბოლოოდ გამოირკვა გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციის საბჭოთა კავშირში გამომგზავრების ვადა.

დელეგაცია შტეტინიდან გამოემგზავრება 25 ივლისს და ჩამოვა ლენინგრადში 29 ივლისს. დელეგაციის შემადგენლობაში შედის 60 კაცი.

ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნების დათვალიერების შემდეგ დელეგაცია გაემგზავრება მოსკოვში, იქიდან ხარკოვში, დონის ოლქებში და საბჭოთა კავშირის სხვა სამრეწველო რაიონებში.

ბოლოს დელეგაცია ესტუმრება საქართველოს, სადაც გაეცნობა ჩვენს მრეწველობას და მუშების ყოფა-ცხოვრებას.

დელეგაციის ჩამოსვლა საქართველოში მოსალოდნელია აგვისტოს შუა რიცხვებში.

ამერიკის სტუდენტთა დელეგაცია

დღეს თბილისში მოელიან ამერიკელ სტუდენტთა დელეგაციას 8 წევრის და 2 მხლებლის შემადგენლობით. დელეგაცია დაათვალიერებს თბილისს და ბათომს.

დელეგაციაში შედიან: **ჟან ალსტეინ** (თავმჯდომარე), **პირს ბეკკერ**, **შუმაკერ** (კოლუმბიის უნივერსიტეტიდან), **სმიტ** (პიტსბურგის უნივერსიტეტიდან), **სტაბერ** (მიჩიგანის უნივერსიტეტიდან), **კრაუზ** (შტატ ინდიანის უნივერსიტეტიდან), **დავინ** ზანგი (ბროკვილის მუშათა უნივერსიტეტიდან) და **კორრინგტონ** (ნიუ-იორკის სოციოლოგიური სკოლიდან).

დელეგაციის შესახვედრად საქართველოს პროფსაბჭოს და პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს მიერ გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან: **კვიცარიძე** (თავმჯდომარე), **პეტუხა**, **ცინცაძე** და **ხოფერია**.

თათბირი მევენახეობაზე

სასოფლო - სამეურნეო სამმართველომ გადასწყვიტა აგვისტოს ბოლო რიცხვებისათვის მოიწვიოს კახეთის მევენახე - მეღვინე სპეციალისტების თათბირი

ასეთი თათბირი იმართება ყოველწლიურად და იგი ჯამს უკეთებს ყველა იმას, რაც გაკეთდა მევენახეობა - მეღვინეობის დარგში.

წრევანდელი თათბირის მიზანია ვენახების აღსადგენათ ჩატარებული მუშაობის გაცნობა და მომავალი წლის განმავლობაში განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის შემუშავება.

საცდელი მინდორი

რადგან მთელს ქართლში, სადაც მემინდვრეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, დღემდე არ არსებობს საცდელი მინდორი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო - სამეურნეო სამმართველო ამუშავებს პროექტს ქართლის შუა-გულში, ტირიფონის ველზე, საცდელი მინდვრის მოწყობისას, სარწყავი და მშრალი მეურნეობის შესასწავლად.

ამ მიზნით სასოფლო - სამეურნეო სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის კოლეგიის წინაშე იმის შესახებ, რომ ტირიფონის საცდელი მინდვრის მოსაწყობად გამოყოფილ იქნას სათანადო მიწის ნაკვეთი იმ ფონდიდან, რომელიც იქნება ტირიფონის ველზე მიწათმოწყობის და მელიორაციის წესით.

საკურორტო მშენებლობა

საკურორტო სამმართველომ შეიმუშავა მომავალი 1926—27 საბიუჯეტო წლისათვის საკურორტო აღმშენებლობის საორიენტაციო გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

გეგმის თანახმად მომავალი საკურორტო სეზონისათვის კურორტებზე აგებულ იქნება შემდეგი ნაგებობანი:

ბორჯომში—ქვის გალერეა ე. წ. ეკატერინეს წყაროსთან, ახალი წყალსადენის გაყვანა, მიღრონილადგურის გაფართოება, დამატებითი კანალიზაციის მოწყობა, მდინარე ბორჯომის ნაპირების გამაგრება, აბაზანების აგება შიგნეულ წყაროსთან. სასტუმროს აგება ასი ოთახით და რესტორანით. **წაღვერში**—აგებულ იქნება აბანო და სამრეცხველო. **აბასთუმანში**—გაყვანილ იქნება წყალსადენი, კანალიზაცია, მდ. აბასთუმანის ნაპირების გამაგრება და [illegible] **წყალტუბოში**—მოწყობილ იქნება სასტუმრო ასი ოთახით. სახლი გლეხებისათვის და ბაზ[illegible] და სხვ. **ახტალაში**—მოეწყობა ტალახით სამკურნალო შენობაზე აბაზანებით და აიგება მოაგარაკეთა საცხოვრებელი ბინებს ასი ოთახის რაოდენობით. **ბახმაროში**—ჩატარდება აგარაკის დაგეგმვა, აიგება ასი ბინა და მოეწყობა წყალსადენი.

სულ ვარაუდით მთელი ხარჯები დაადგება 2.200.000 მანეთი. გეგმა და ხარჯთაღრიცხვა წარედგინება განსახილველად უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

დავეხმაროთ გაფიცულ მემაღაროელებს

ინგლისელი მემაღაროელები გულითად მადლობას მიუძღვნიან საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს გამოგზავნილ დახმარებისათვის. მოგიწოდებთ თქვენ კვლავ დაგვეხმაროთ, რაც შეიძლება ჩქარა, რადგან მთავრობა და მაღაროს მეპატრონეები ცდილობენ სიმშილით აიძულონ მოგვიხაროთ ქედი.

სმიტი, რიჩარდსონი, კუკი

(დეპეშა საკავშირო პროფსაბჭოს სახელზე)

„ინგლისის მემაღაროელები იბრძვიან არა მარტო საკუთარ ინტერესებისთვის, არამედ მთელი ევროპის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისათვის".

(ინგლისის საბჭოთა გაერთიანებულ კომიტეტის მოწოდებიდან)

ამხ. ხოზიკას გამოწვევით შემოსულია გაფიცულ მემაღაროელების ფონდში

ამხ. მ. კახიანისაგან	25 მანეთი
ამხ. ნიკო კიკნაძისაგან	10 მანეთი
ამხ. კ. ხომერიკისაგან	10 მანეთი
ამხ. შ. ელიავასაგან	20 მანეთი
ამხ. ს. ჯუღელისაგან	20 მანეთი
ამხ. ა. სალარიძისაგან	10 მანეთი

(„კომუნისტი"-ს კანტორა (რუსთველის 34) იღებს შემოწირულებებს გაფიცულ მემაღაროელების სასარგებლოდ.)

ქარხანა „თემქა"-ს გამოკვლევა

მიმდინარე წლის მაისში ელექტრო-მექანიკურ ქარხნის—„თემქა"-ს პარტაქტივმა, რომელმაც წინასწარ შეისწავლა ქარხნის ფინანსიური და მატერიალური მდგომარეობა, შუამდგომლობა აღძრა უმაღლესი პარტიული ორგანოების წინაშე, რათა ქარხანას მისცემოდა დახმარება. პარტაქტივი ილაშქრებდა აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ ქარხანა გადაკეთებული ყოფილიყო ვიწრო უწყებრივ სარემონტო სახელოსნოდ.

საკითხი „თემქა"-ს შესახებ 25 მაისს განხილული იქნა საქართველოს ეკონომიურ საბჭოში, რომელმაც დაუშვებლად სცნო ქარხნის გადაკეთება სახელოსნოთ; ამავე დროს ეკონომიურმა საბჭომ გამოყო განსაკუთრებული კომისია ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის წევრის ამხ. მირზაბეკიანის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაწვრილებით უნდა შეესწავლა ქარხნის ეკონომიური, ტეხნიკური და ფინანსიური მდგომარეობა.

კომისიის გამოკვლევამ დაამტკიცა პარტაქტივის ცნობების სისწორე; ამავე დროს გამოირკვა, რომ ქარხანა მოწყვეტილია ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატისაგან, რომ ეს უკანასკნელი მას ხელმძღვანელობას არ უწევს. საკმისიამ აღნიშნა, რომ ქარხანა დაზღვეული არ არის, გატარებული არაა რეგისტრაციაში შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში, არა აქვს წესდება, რომელიც უნდა აწესრიგებდეს მის მუშაობას, და 22 ნოემბრიდან ქარხნისათვის არავის რევიზია არ გაუკეთებია.

ქარხანა დაარსებისთანავე გადაყვანილი იქნა სამეურნეო ანგარიშზე, იმ დროს, როდესაც მას არ ჰქონდა საბრუნავი თანხა. ასეთ მდგომარეობას არ შეეძლო, რასაკვირველია, მძიმე ფინანსიურ პირობებში არ ჩაეყენებია ქარხანა და არ გამოეწვია ერთგვარი დავალიანება.

ამასთან ერთად, მიუხედავათ ქარხნის მძიმე ფინანსიური მდგომარეობისა, გამოკვლევის მიერ აღნიშნულია მთელი რიგი ტეხნიკური მიღწევები, რომლებიც გამოიხატა მოწყობილობის წარმატებით შეკეთებაში, რამაც არ შეაფერხა მუშაობა. ქარხანა წარმატებით ასრულებს ყოველგვარ შეკვეთებს და სამისოდ მას ყავს კვალიფიციური მუშები. ყველა ამ მომენტებმა კომისია იმ დასკვნამდი მიიყვანა, რომ თუ კი ქარხანას ხელმძღვანელობას გაუწევენ და ფინანსიურ დახმარებას აღმოუჩენენ, ის შეიძლება მომგებიან წარმოებათ გახდეს.

აქის და მიხედვით, კომისიამ, მხედველობაში მიიღო რა ქარხნის ტეხნიკური მიღწევები და ბალანსის სიმტკიცე, დაუშვებლად სცნო ქარხნის სახელოსნოდ გადაკეთება და ის აზრი გამოსთქვა, რომ ქარხანა უნდა დარჩეს როგორც დამოუკიდებელი საწარმოო ერთეული და უნდა გადაეცეს რომელიმე უწყებას.

ამასთანავე კომისიამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და ანგარიშწარმოების უფრო რაციონალურად დაყენებას.

კომისიის ყველა წინადადებები დამტკიცებული იქნა ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, რომელმაც დაადგინა ქარხანა მთელი თავისი პასივით და აქტივით გადაეცეს თბილისის აღმასკომს.

კრედიტების გაცემის ახალი წესი

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე, ა.-კ. ფინანსთა სახ კომისარმა ამხ. შუხეინოვმა გააკეთა მოხსენება ბანკების მიერ კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის კრედიტების მიწოდების პირობების შესახებ.

ამ პირობების გაცნობის შემდეგ, სახკომსაბჭომ საკრედიტო დაწესებულებების ეხლა არსებული საპროცენტო განაკვეთები (აქტიურ ოპერაციებში) ძლიერ დიდად აღიარა. რაც შეეხება კრედიტების ვადას, იგი უმეტეს შემთხვევაში მოკლეა, ვინაიდან არ შეეფერება კაპიტალის ბრუნვის ვადას.

ამის გამო საჭიროდ იქნა ცნობილი საკრედიტო ორგანიზაციების საპროცენტო განაკვეთების უნიფიკაცია, როგორც აქტიურ, ისე პასიურ ოპერაციებში. ამისათვის დადგენილ იქნა: ეთხოვოს საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს, არსებული საპროცენტო განაკვეთი შემცირებულ იქნეს და დაწესდეს საღრიცხვო - საკრედიტო ოპერაციებზე განაკვეთი, სახელმწიფო ბანკისათვის 6-დან—9 პროცენტამდე—წლიურად და სპეციალურ ბანკებისათვის 9-დან—12 პროცენტამდე, კრედიტის ფორმისა და ვადის მიხედვით.

დადგენილ იქნა აგრეთვე, რათა ბანკების საკომისიო ჯილდო შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ განაწილებულ საქონელზე განისაზღვროს არა უმეტეს 1/4 პროცენტით და დანარჩენ საქონელზე არა უმეტეს ½ პროცენტით—თითოეულ დავალებიდან.

თანახმად სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებისა, ბანკებს აკრძალული აქვთ მონაწილეობა მოგებაში დასამზადებელი ოპერაციებისათვის ფინანსების მიწოდების დროს.

კრედიტების ვადა შეფარდებულ იქნება ოპერაციის ხანგრძლივობასთან შემდეგი განაწილებით: ძირითად სამომხმარებლო კოოპერაციისათვის 45-დან—60 დღემდე, სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრისათვის—60-დან—90 დღემდე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის—4-დან—10 თვემდე; უკანასკნელისათვის ვადა წესდება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დამზადების მიხედვით, მაგ.: მატყლისათვის—5 თვემდე, ღვინისა და ხილისათვის—8 თვემდე, თამბაქოსათვის—10 თვემდე და რძის ნაწარმოებისათვის—6 თვემდე.

ყველ კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ, ყოველ მსხვილ ოპერაციაზე შეადგინონ დაწვრილებითი გეგმა და წარუდგინონ იმ ბანკს, რომელთაც ისინი მიმართავენ კრედიტისათვის.

ბანკებს მიეცა წინადადება მოსპონ აქციების ძალდატანებითი განაწილება ორგანიზაციებზე და დაუყოვნებლივ დაიბრუნონ ორგანიზაციებიდან საპაიო თანხები, იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელები სურვილს განაცხადებენ ბანკის აქციონერთა რიცხვიდან გამოსვლის შესახებ.

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკში

კრედიტი „აბრეშუმს"

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობამ დაადგინა 550.000 მანეთის კრედიტი გაუხსნას საქართველოს მეაბრეშუმეთა კოოპერაცია—საზოგადოება „აბრეშუმს".

ეს კრედიტი გახსნილი იქნება სპეციალური მიმდინარე ანგარიშის სახით, ანგარიში კი უზრუნველყოფილი იქნება აბრეშუმის პარკით.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობამ გადაწყვიტა ამ კრედიტში შეიტანოს ის 300.000 მანეთი, რომელიც მიღებული იქნა ბანკის მიერ სახელმწიფო ბანკიდან აბრეშუმის პარკის ოპერაციებისათვის.

სას.-სამ. ბანკების გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი ახლო ხანში შეუდგება ყველა თავისი განყოფილებების—სასოფლო-სამეურნეო ბანკების გამოკვლევას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში. ამ გამოკვლევამ უნდა გამოარკვიოს სასოფლო-სამეურნეო ბანკების ყოველგვარი მუშაობა ამიერ-კავკასიაში.

გამოკვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანია—გამორკვევა იმისა, თუ რამდენათ მიზანშეწონილად გამოიყენოს სასოფლო-სამეურნეო ბანკებმა მათთვის მიცემული კრედიტები მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში.

სესხი საბჭოთა მეურნეობათ

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე, რათა მიეცეს მას კრედიტის სახით 240.000 მანეთი საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ძირითადი კაპიტალის გასაძლიერებლად.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი ამის გამო შეეკითხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს იმის შესახებ, თუ რამდენი კრედიტის გაცემა შეუძლია მას საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების საბჭოთა მეურნეობების ძირითადი კაპიტალის გასაძლიერებლად.

გამოვიდა და იყიდება
ჟურნალი
„სოფლის კომუნისტი"
№ 6--7

სკპ(ბ)ცკ
ორგანო

შინაარსი:

საქართ. კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის პლენუმის დადგენილებანი:
ქ. ორაგველიძე - ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობა.
ალ. პაპავა—1926—27 წ. წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.
ი. ბუაჩიძე—კოოპერაცია საქართველოში.
ალ. ნადირაძე—კედლის გაზეთი და პარტიული ორგანიზაცია.
შ. ანდღულაძე—კომკავშირის მორიგი ამოცანები სოფლად.

საერთაშორისო მიმოხილვა:
მიხ. კახიანი—საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა.
ბ. ბ-ლი. ინგლისის მემორანდუმი საბჭოთა კავშირისადმი.

ადგილობრივი ცხოვრება:
ვლ. ც-ლი—პარტიული ხელმძღვანელობა საბჭოთა ძირითად ორგანოებზე. ამბერიკი ურუშაძე—სოფლის უპარტიო აქტივისა და პარტიულ ხელმძღვანელობის შესახებ. გ. ლეშკაშელი—ლეჩხუმის სამაზრო გაფართოებულ პლენუმის მუშაობა. ხ. ლ-ლი—პარტიულ მუშაობის მდგომარეობა ლეჩხუმის მაზრაში.

ბიბლიოგრაფია:
ფ-ნი. გლეხის მეგობარი. ხ. ა-ნი. მ. ჩხეიძე. საბჭოთა კონსტიტუცია. ბ. ბ-ლი. ი. სტალინი. საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ. ვ. მ. მარიეტა შაგინიან. ჭიათურა. პროლეტარიძე—ე. ვარიაში. კოოპერატიული დანია.

= ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერლებს =
= და გაიყიდება ყველგან =

№ 6--7
1926

3—1

თბილისი. გაზ. „ახალი სოფლის"-ს გამოცემა

„კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს და „ახალი სოფლის" მთავარ კანტორებისაგან

„კომუნისტზე", „მუშაზე" და „ახალ სოფელზე" პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში

1. **ხაშურში**—კანტ. გამგე **მათე გოგუაძესთან** — მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე **გ. გოგელიასთან**—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისი**—განყ. გამგე **მ. ტყაბლაძესთან**—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
4. **ხონში**—განყ. გამგე **ჩიქოვანთან**—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
5. **სამტრედია**—განყ. გამგე **ლ. გოგელიასთან**—სამტრედია და ახლო მდებარე რაიონისთვის.
6. **სენაკი**—განყ. გამგე **ესებუასთან**—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. **აბაშა**—განყ. გამგე **მიქაძესთან**—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. **ფოთი**—განყ. გამგე **მგალობლიშვილთან**—ქ. ფოთი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
9. **ბათომი**—**„კომუნისტი"-ს კანტორაში მთელი აჭარისტანისთვის.**
10. **ოზურგეთი**—განყ. გამგე **ეპიფ. ცეცხლაძესთან** — მთელი ოზურგეთის მაზრისთვის.
11. **თელავი**—განყ. გამგე **რევაზოვთან**—მთელი თელავის მაზრისთვის.
12. **სიღნაღი**—განყ. გამგე **ა. მდივანოვთან**—სიღნაღის მაზრისათვის.
13. **ზუგდიდში**—**ღლეხკომთან.**
14. **სოხუმში**—**„კომუნისტი"-ს კანტორაში**—მთელი აფხაზეთისთვის.

„კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს და
„ახალი სოფლის" მთავარი კანტორები

განათლების ფრონტზე

თურქ პედაგოგების გადასამზადებელი კურსები

ივლისის 18-დან ახალ-ციხეში გაიხსნა თურქთა 1-ლსაფეხურის შრომის სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები. კურსების საბჭომ განათლების კომისარიატს გაუგზავნა მისალმების დეპეშა, სადაც ნათქვამია: „საქართველოს ყველა კუთხეებიდან, ახალ-ციხის თურქთა პედაგოგიურ გადასამზადებელ კურსებზე თავმოყრილი თურქი მასწავლებლობა მოგესალმებათ თქვენ, ახალ ცხოვრების და სოციალისტური აღმშენებლობის ხელმძღვანელებს, აღჭურვილი ახალი ცოდნით, რომელიც მიმართულია ჩვენი სოციალისტურ ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეთა აღსაზრდელად".

გამოცდები სპეცტეხნიკუმებში

სპეცტეხნიკუმები საცდელ - საჩვენებელი ტიპის სასწავლებლებია, ისინი დაკავშირებულნი არიან, თავის სპეციალობით და განხრით, ადგილობრივ მეურნეობის პირობებთან. ასეთი ტეხნიკუმები 1926—27 სასწავლო წლისათვის გვქონდა 32. მიღება ასეთ ტეხნიკუმებში სწარმოებს მხოლოდ გამოცდების საშუალებით და მიღების დროს უპირატესობა ეძლევა, როგორც მომზადებას, ისე სოციალურ მდგომარეობას.

მომავალ სამოსწავლო წლიდან ამ ტეხნიკუმებში გამოცდები იწარმოებს სამშობლო ენაზე (წერა და ზეპირი) რუსულსა, მათემატიკასა, ფიზიკასა და გეოგრაფიაში და არა ქართველთათვის—ქართულ ენაში.

გამოცდები დაიწყება 15 სექტემბრიდან. მსურველები ვალდებულნი არიან შეიტანონ განცხადებები ან გადმოგზავნონ ასეთები სათანადო ტეხნიკუმებში.

განცხადების მიღება შეიძლება 15 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე. განცხადებებს თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 7-წლედის კურსდამთავრების, წლოვანების (შემსვლელი უნდა იყოს არა ნაკლები 15-სა და არა უმეტეს 17 წლისა) და სოციალური მდგომარეობის შესახებ.

მაზრების განათლების ინსტრუქტორთა კონფერენცია

ამ რამდენიმე დღის წინათ აგარაკ კოჯორში გაიხსნა განათლების კომისარიატის მიერ მოწვეული სრულიად საქართველოს მაზრების განათლების ინსტრუქტორთა კონფერენცია.

ამავე დღეს აქვე გაიხსნა 4-წლედების აქტივ მასწავლებელთა ერთ თვიანი კურსები.

კონფერენცია - კურსები გახსნა მის მთავარ ხელმძღვანელმა ამხ. გ. გოგუაძემ, რომელმაც მოკლედ განმარტა ინსტრუქტორთა კონფერენციის და მასწავლებელთა კურსების მთავარი მიზანი და შინაარსი. კონფერენცია - კურსებმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საქ. სახალხო განათლების კომისარიატს, ცაკ-ს და საქ. ცკ-ს.

კონფერენცია - კურსები გაგრძელდება ერთ თვეს, რის განმავლობაში ყველა მაზრიდან შეკრებილ სკოლების ხელმძღვანელ ინსტრუქტორების მიერ ხელმძღვანელობის დახმარებით წამოყენებული, გარჩეული და გადაწყვეტილი იქნება შეძლების და გვარად ჩვენი ახალი სკოლის ყველა მეთოდური და საორგანიზაციო საკითხები, რომლის გატარება დაევალება მათ უშუალოდ ადგილებზე.

ინსტრუქტორ - მასწავლებლები მიმაგრებულნი იქნებიან პრაქტიკულ მუშაობასთან გაცნობისათვის ადგილობრივად საგარაკოდ მყოფ საცდელ-საჩვენებელ სკოლებზე.

ასეთი გრძელვადიან ინსტრუქტორთა კონფერენციის მოწვევა პირველია ჩვენი სასკოლო ცხოვრების სინამდვილეში.

ახალი სკოლის იდეურ და საორგანიზაციო მეთოდების გაცნობის შემდეგ კოჯორში შეკრებილნი განათლების მუშაკნი დაბრუნდებიან ადგილებზე და ახალი სამოსწავლო წლიდან შეუდგებიან მათ ცხოვრებაში გატარებას.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს კონფერენცია - კურსები გამოიღებს დიდ ნაყოფს ჩვენი სასკოლო საქმის გაუმჯობესობასა და წინმსვლელობაში.

ამიტომაა, რომ საქ. განათლების კომისარიატი ხარჯავს მასზე საკმაოდ დიდ ხარჯებს და ყოველი მხრიდან უზრუნველჰყოფს კოჯორში შეკრებილ მასწავლებლებს.

ს. ყ—ა.

ქრონიკა

კარლ აქსანიტის ჩამოსვლა

დღეს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვა წითელი სასპორტო ინტერნაციონალის აღმასკომის წევრი და ჩეხო-სლოვაკიის სექციის ხელმძღვანელი კარლ აქსანიტ.

მცხეთაში საქონლის გაწყვეტის მიზეზების გამორკვევა

საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის დეპეშის თანხმად, რ. ს. ფ. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა თბილისში გამოგზავნა ექსპერიმენტარულ ვეტერინარიის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი დრაჩანსკი, რომელიც უკვე ჩამოვიდა თბილისში და მონაწილეობას მიიღებს სასამართლოს ახალს ექსპერტიზაში წარსულ ივნისში ს. მცხეთაში ჭირის საწინააღმდეგო აცრის შემდეგ საქონლის გაწყვეტის მიზეზების გამოსარკვევად.

მუშათა ფაკულტეტები

თბილისში 4 მუშათა ფაკულტეტია: 1—რკინის გზისა, 1—სახელმწიფო უნივერსიტეტთან, 1—პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან, 1—სომხური. ამ ფაკულტეტებზე ითვლება სულ 1.976 მსმენელი. მათ შორის: ქართველი—1.246, სომეხი—341, რუსი—237. ოსი—70, ებრაელი—24 ბერძენი—12, აზერბ. თურქი—3, დანარჩენი—43.

ახტალაზე

— კურორტთა მთავარი სამმართველო ურჩევს ახტალაზე მიმავალ მუშა-მოსამსახურეებს იმგზავრონ კახ. მატარებლით № 3—4, რომელიც თბილისიდან გადის დილის 8 საათსა და 30 წუთზე და გურჯაანში კი მიდის 15 საათსა და 5 წუთზე.

აღნიშნულ მატარებლებზე მგზავრობა გაადვილებულია მგზავრების ნაკლებობის გამო.

წყალთა ამხანაგობა

სახკომსაბჭომ მოიწონა საქართველოს წყალთა სამმართველოს მიერ წარმოდგენილი დებულების პროექტი საქართველოს რესპუბლიკის წყალთა ამხანაგობის შესახებ.

დებულება დასამტკიცებლად საქართველოს ცაკს გადაეცა.

წითელი ჯვრის საზოგადოება

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ჩარიცხულ იქნა იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების სიაში, რომელთა სასარგებლოდ გაღებული შეწირულებანი. უნდა განთავისუფლებულ იქნენ სახელმწიფო გადასახადიდან.

— **ჯიშიანი ცხენების შეძენა.** მიწსახკომის ცხენთაშენის განყოფილებამ გადასწყვიტა თბილისის საჯინიბოს გაფართოება, რისთვისაც მოსკოვში იგზავნება სპეციალისტი ჯიშიანი ცხენების შესაძენად.

— **საძოვრების და საბალახოების გაუმჯობესება.** მიწსახკომის სასოფლო-სამეურნეო სამმართველო იმუშავებს ღონისძიებს საძოვრების და საბალახოების გასაუმჯობესებლად.

ა.-კ. რკინის გზების ჯანმრთელობის განყოფილებაში

— **იარაღების შესაძენად.** ა.-კ. რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასდო 24.500 მან. უცხოეთში საავადმყოფოებისათვის საჭირო იარაღების შესაძენად.

— **კბილის სამკურნალოებისათვის.** ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსგან რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილებამ შეიძინა 6.500 მანეთის ხელსაწყოები კბილის სამკურნალოებისათვის.

— **ახალ მასწავლებელთა წინასწარი შემოწმება.** იხ. აღმასკომის განათლების განყ. საინსტრუქტორო განყოფილებამ შეიმუშავა დებულება ახლად დასანიშნავ მასწავლებელთა კვალიფიკაციის წინასწარ შესამოწმებლად. შემოწმება მოხდება საზოგადოებათმეცნიერებაში, ბუნებისმეტყველებაში, რუსულ და ქართულ ენებში. კომისიები მუშაობას დაიწყებენ 20 აგვისტოდან.

სხვადასხვა

— **სტენოგრაფისტების კრება.** 23 ივლისს, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლეში, ოთახი № 78-ში, დანიშნულია ქ. თბილისის სტენოგრაფისტების საერთო კრება. დღის წესრიგში სდგას, ამხ. ბგარონიანის მოხსენება ცენტრალური კომისიის მუშაობაზე. სტენოგრაფების საკითხის ირგვლივ.

— **პოლიტკატორღელთა შუამდგომლობა.** სრულიად საკავშირო პოლიტკატორღელთა ცენტრალურმა საბჭომ, აღძრა შუამდგომლობა საქ. ჯანსახკომის წინაშე რათა ყველა პოლიტკატორღელები გათანასწორებულნი იქნან პირველ კატეგორიასთან, ე. ი. დაზღვეულებთან, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საკითხში.

— **ქეციანი ბავშვები.** საქართველოს განსახკომმა შუამდგომლობა აღძრა საქ. ჯანსახკომის წინაშე, რათა უკანასკნელმა მიიღოს უფასო საექიმო დახმარების აღმოსაჩენად 35 ქეცით ავადმყოფი ბავშვი.

— **შუამდგომლობის დაკმაყოფილება.** ჯანსახკომმა დააკმაყოფილა ბორჩალოს მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების შუამდგომლობა, უფასო, ბორჩალოს მაზრაში ქეციან ბავშთა წამლობის შესახებ.

— **ქალაქის საკომენდატოში.** ქალაქის კომენდანტის ამხ. ლ. აბაშიძის შვებულებაში წასვლის გამო, კომენდანტის მოვალეობის ასრულება დაეკისრა მის თანაშემწეს ამხ. **მესხს.**

ხელოვნების ქრონიკა

პროლეტარულ სახვითი ხელოვნების ასოციაციაში. საქართველოს სამხატვრო აკადემიასთან არსებულმა პროლეტარულ სახვითი ხელოვნების ასოციაციამ თავის საპატიო თავმჯდომარეთ აირჩია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავა.

გამოფენები პროვინციებში. პროლეტარულ სახვითი ხელოვნების ასოციაცია შეუდგა პროვინციებში გამოფენების მოწყობას, განზრახული აქვთ გამოფენები გამართონ საქართველოს ყველა კუთხეში.

საშეფო სოფლისათვის. საქართველოს მშენებელთა კავშირმა თავის საშეფო სოფელს ქვიშხეთს გაუგზავნა მოსწავლეთათვის 1.000 ცალი რვეული, 300 ფანქარი და სხვა სამოსწავლო ნივთები.

შემთხვევები

ქურდი ქალის შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციის მიერ დაპატიმრებულია ქურდი რეციდივისტი **თამარა საფაროვა,** რომელიც თავის წრეში ცნობილი იყო „ქურ-თამარა"-ს სახელწოდებით. სხვა ბოროტმოქმედებათა შორის „ქურ-თამარა"-ს ბრალად ედება „ნადავლის" გაყოფვის ნიადაგზე ქურდის გიორგი ქათამაძის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება.

ვეღარ მოახერხეს

21 ივლისს, საღამოს (პლეხანოვის პრ.) ორმა ბოროტმოქმედმა მოინდომა მოქ. კოლჩენკოს ბინის გაქურდვა.

ქურდები ბოროტმოქმედების ადგილას შეპყრობილ იქნენ. ესენი აღმოჩნდენ გიორგი ქათიაშვილი და ფასადამ მამედ-ოღლი.

იმედი გაუცრუვდათ

21 ივლისს, ღამით გაძარცვის მიზნით გასტეხეს ბაღ „არტო"-ს ლოტოს სალარო. ბოროტმოქმედთ სალარო ცარიელი დახვდათ და წაიღეს მხოლოდ ელექტრონის ლამპები. ქურდები მიიმალენ.

— **ფულის გატაცება.** 20 ივლისს „აზრობტრესტის" მოლარემ მოქ. გრიგოლ დ. ჩიკვაიძემ შეკრიბა ხსენებულ ტრესტის მაღაზიებიდან 5.000 მან. და მიიმალა.

რკინის გზებზე

ვაგონების გამოცდა

ამიერ-კავკასიის რკინის გზამ მოსკოვიდან მიიღო გადაკეთებული 50 ვაგონი. ვაგონები ორ ღერძზე დგანან. იმის გამოსარკვევად თუ რამდენად შესაძლებელია ამ ვაგონების გამოყენება ჩვენს გზებზე, ა.-კ. რკ. გზ. სამმართველომ აირჩია სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა მათი გამოცდა.

კომისიამ ვაგონების გამოცდა მოახდინა ბორჯომის ხაზზე. მატარებელი შესდგებოდა ათი—ორღერძიან ვაგონებისაგან, რომელთა ღერძსა და ღერძს შუა მანძილი უდრიდა 7,96 მეტრს.

გამოცდებიდან მიღებულ დასკვნების მიხედვით კომისიამ სცნო, რომ აღნიშნული ვაგონების გატარება ბორჯომის ხაზზე შესაძლებელია, თუ დაცული იქნება შემდეგი პირობები:

მატარებლის სიჩქარე საერთოდ არ უნდა აღემატებოდეს 25 ვერსს საათში, ხოლო მე-11, მე-12, მე-25 და მე-26 ვერსებზე სადაც უფრო მოკლე სახვევებია, აქ მატარებლის სიჩქარე უნდა განისაზღვროს 15 ვერსით—საათში.

საერთოთ ეს ვაგონები პირდაპირი მოძრაობისათვის ვამოუსადეგარნი არიან, ხოლო თბილის-ბორჯომის, ხაშურის და საერთოდ ადგილობრივი მოძრაობისათვის მათი გამოყენება შეიძლება.

საქარხნო-საფაბრიკო სკოლა

ა.-კ. რკინისგზების სამმართველო თბილისში აშენებს საკუთარ შენობას საქარხნო-საფაბრიკო სკოლისათვის. სკოლა შენდება ნაძალადევის რაიონში.

სკოლის ასაგებათ ქალაქის მიერ დათმობილია მიწის ნაკვეთი, სივრცით 6 ათასი კვადრატული საჟენი.

შენობის საერთო გეგმა უკვე შედგენილია და პროექტისა და ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით იგი ჯდება 600 ათასი მანეთი.

შენობის აგება გათვალისწინებულია იმ გვარად, რომ მან უნდა დაიტიოს 450 მოსწავლე, რომელთაგან 120 კაცი იცხოვრებს სკოლასთანავე მოწყობილ საცხოვრებელში.

სკოლის გვერდით აშენებულ იქნება სახელოსნოები ყოველგვარი საამქროებით.

წელს დაამზადებენ უმთავრეს საამშენებლო მასალებს, ქვას, სილას, ხე-ტყეს, რკინას და სხ. შემდეგ დაიწყება შენობის აგება.

შენობის აგება დამთავრდება ორი წლის განმავლობაში.

სახ. კომისართა საბჭოში

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასკვნის თანახმად, ქ. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, როგორც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაწესებულება 1926-27 საბიუჯეტო წლიდან გადაყვანილ იქნა სახელმწიფო მარაგზე და ჩაითვლება თბილისის ბატანიკური ბაღის სუბტროპიკული საჩვენებელ განყოფილებად.

გორის მაზრაღმასკომის შუამდგომლობა

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა გორის მაზრაღმასკომის შუამდგომლობა გორის საკონსერვო და სახერხი ქარხნების მუშათა სოც.-დაზღვევის საპროცენტო ანარიცხის შემცირების შესახებ.

სახმედვაჭრობის და სააფთიაქო სამმართველოს გაერთიანება

სახკომსაბჭომ სასურველად სცნო საქართველოს სახელმწიფო მედიკამენტებით ვაჭრობის საზოგადოებისა და თბილისის აღმასკომის სააფთიაქო სამმართველოს გაერთიანება ერთ მთლიან სააქციო საზოგადოებაში. ამ მიზნით დაარსებულია კომისია ამხ. გოგიბერიძის (თავმჯდომარე) ბოლაძის, კლობპალაძის, დგებუაძის და საბაშვილის შემადგენლობით.

ჰაეროდრომების მოწყობა დაბა-ქალაქებში

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო საქართველოს რესპუბლიკის დაბა-ქალაქებში (გორში, სამტრედიაში, ოზურგეთში, ახალციხეში და ახალქალაქში) ჰაეროდრომების მოწყობა.

ბათომის საფონდო ბირჟის გაუქმება

საქართველოს ფინსახკომის დასკვნის თანახმად საფონდო ბირჟის ბათომის განყოფილება გაუქმებულ იქნა.

სოცდაზღვევის ორგანოების ფინანსიური მდგომარეობა

რადგან სოცდაზღვევის ორგანოებს, სხვადა სხვა წარმოება-დაწესებულება უმთავრესად აღმასკომები, კანონით დაწესებულ საპროცენტო ანარიცხებს დროზე არ აძლევენ, საჭიროდ იქნა ცნობილი, რათა ადგილობრივი ბიუჯეტი ისეთ პირობებში იქნეს ჩაყენებული, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტია, ე. ი. სოცდაზღვევის ანარიცხების გაცემა უნდა ხდებოდეს დამზღვევი ორგანოების სახელზე პირდაპირი ასიგნობით.

ქ. ოზურგეთის და ზუგდიდის სამალარიო სადგურები

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ნება მიეცა გახსნას ოზურგეთსა და ზუგდიდში სამალარიო სადგურები, რომლებიც 1926-27 საბიუჯეტო წლიდან გადაყვანილ უნდა იქნენ სახელმწიფო მარაგზე.

შტატების დამტკიცება

შინსახკომის შტატები

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დაწესებულებათა 1926-27 საბიუჯეტო წლის დამატებითი შტატები შემდეგი სახით: ა) თემაღმასკომების მდივანთა მოსამზადებელი კურსების შტატი 4 კაცის რაოდენობით, ხოლო ხსენებული კურსები განისაზღვრება 50 მსმენელით, ბ) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზმის განყოფილების შტატი 9 კაცის რაოდენობით, გ) თბილისის ცენტრალური გამსახლის შტატი 97 კაცის რაოდენობით და დ) ქუთაისის გამსახლის შტატი 65 კაცის რაოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის საპატიმრო ადგილები 1926-27 საბიუჯეტო წლიდან გადარიცხულ იქნენ სახელმწიფო მარაგზე.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამმართველოს შტატები

საშტატო კომისიის დასკვნის თანახმად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამმართველოს 1926-27 საბიუჯეტო წლის შტატი დამტკიცებულ იქნა 34 კაცის რაოდენობით, რომელთა რიცხვში შევიდენ აგრეთვე ქუთაისის, ჭიათურის, გორის ხაშურის, სიღნაღ-თელავის და სენაკ-ფოთის ზავაჭრო ინსპექტორები რიცხვით 5 კაცი.

მიწსახკომის ახალი დაწესებულებათა შტატი

საშტატო კომისიის დასკვნის თანახმად, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ახალი დაწესებულებათა 1926-27 საბიუჯეტო წლის შტატები დამტკიცებულ იქნა შემდეგი სახით: 1) საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგურის შტატი 5 კაცის რაოდენობით, 2) ექსპერიმენტალური აგრონომიის სახელმწიფო ინსტიტუტის შტატი 5 კაცის რაოდენობით, 3) ზოოტეხნიკური სადგურის 12 კაცის რაოდენობით, 4) სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების საცდელი სადგურის შტატი 9 კაცის რაოდენობით, 5) მერეთის მეხილეობის საცდელი სადგურის შტატი 11 კაცის რაოდენობით, 6) ყარაიაზის საცდელი სადგურის 16 კ. რაოდენობით, 7) ამერიკული ვაზის 8 სანერგის შტატი 16 კ. რაოდენობით და 8) თბილისის იპოდრომის შტატი 3 კ. რაოდენობით.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის შინამრეწველობის განყოფილების 1926-27 საბიუჯეტო წლის შტატი დამტკიცებულია 11 კაცის რაოდენობით.

სასამართლო

გ. ფირცხალავას საქმე

გუშინ სახალხო სასამართლოში ამხ. **სადალაშვილის** თავმჯდომარეობით და სახალხო მსაჯულების **ქარსაულიძის** და **ცინცაძის** მონაწილეობით გაირჩა გიორგი ფირცხალავას საქმე.

ფირცხალავა ირიცხებოდა შრომის კომისარიატთან არსებულ დავალებათა კოლექტივის აგენტათ. 1926 წ. იანვრის თვეში ბრალდებულმა მიითვისა ხაზინაში შესატანი 225 მანეთი.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ აღნიშნული თანხა მას დაეკარგა.

მოწმეების დაკითხვით და სასამართლოს კვლევა-ძიებით ფირცხალავას მიერ 225 მან. მითვისების ფაქტი დადასტურდა.

სასამართლომ ბრალდებულ ფირცხალავას მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა პირობით.

გაუპატიურება

ამა წლის 25 აპრილს, პეტრე ლოლობერიძე თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე შეხვედრია ნაცნობ ქალს ა. რ—ნს. ლოლობერიძემ იმის მიზეზით, რომ სამსახურში ეჩქარება, ეტლი დაიქირავა და ქალიც მიიპატიჟა. ბრალდებულმა ნაცნობი ქალი ეტლით სულ სხვა მიმართულებით წაიყვანა. ქალი ძალაობდა, რამოდენიმეჯერ შეეცადა ეტლიდან გადმოხტომას, მაგრამ ლოლობერიძეს ხელიდან ვერ გაუსხლტა. ქალაქს გარედ ბრალდებულმა ძალდატანებით სქესობრივი კავშირი დაიჭირა მასთან. ლოლობერიძის შემდეგ მეეტლემ გააუპატიურა იგი.

მეორე დღეს, ა. რ—მა განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ ის გააუპატიურა სიპკოვმა და ლოლობერიძემ.

წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულებმა თავი არ სცნეს დამნაშავედ.

მოწმეთა ჩვენებით და ექიმ-ექსპერტების დასკვნით ა. რ—ის ძალდატანებით გაუპატიურების ფაქტი დადასტურდა.

ამის გამო ლოლობერიძე და სიპკოვი პასუხისგებაშია მიცემული და მათი საქმე 27 ივლისს გაირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

საჰაერო მიმოსვლა

გუშინ მოსკოვიდან ბაქოზე გამოვლით. ჩამოფრინდა თბილისში უკრაინის ფრენოსნობის ჰაეროპლანი „დორნიე-კომეტ", რომელიც გუშინვე გაბრუნდა უკან ფოსტითა და მგზავრებით.

ამიერიდან მოსკოვ - თბილისს შორის გადაწყვეტილია დამყარდეს რეგულიარული მიმოფრენა. მიმოფრენა აწარმოებს „უკრვოზდუხპუტი"-ს ჰაეროპლანებით.

გასაფრენი ბილეთების შეძენა და სასწრაფო დავალებათა ჩაბარება შეიძლება ქალაქის რკ. გზის სადგურზე (განოვის ქ. № 8).

თბილისიდან აეროპლანები გაფრინდებიან ოთხშაბათობით და პარასკეობით, ხოლო მოფრენა იწარმოებს სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ყოფილი პოლიციელები

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ მისწერა ყველა სამაზრო აღმასკომებს და ავტონომიურ ერთეულებს მოაგროვონ და გადმოგზავნონ ცნობები ყოფილ პოლიციელთა შესახებ.

აღნიშნული მოწერილობა გამოწვეულია იმით, რომ ყოფ. პოლიციელები ჯერ კიდევ არ არიან სამოქალაქო უფლებებში აღდგენილნი და შუამდგომლობენ ასეთის მიღებაზე.

ცნობების მიღების შემდეგ დაიწყება სამოქალაქო უფლებებში აღდგენა არსებული წესის თანახმად.

ფიზკულტურა

ფეხბურთი

„არსრაიონი"—სამხედრო ნაკრები

კვირას, 25 ივლისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება „არსრაიონის" და სამხედრო ნაკრებ გუნდის შეჯიბრი.

მატჩი დაიწყება საღამოს 5 საათზე.

სამხედრო-სასპორტო ოლიმპიადა

დღეს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება შემდეგი ვარჯიშობა: რბენა 100 მეტრზე, ყუმბარის სროლა, ხტომა სიმაღლეზე, რბენა 400 მეტრზე, კავკასიური ჭიდაობა და ფეხბურთი.

ოლიმპიადა დამთავრდება კვირას, საღამოს. დახურვის წინ მოხდება ჯილდოების დარიგება და ოლიმპიადის მონაწილეთა აღლუმი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ბრძოლა კვამლთან

მაგარი სათბობი მასალის (ქვანახშირი, შეშა და სხვ.) შეცვლა თხელი სათბობი მასალით თანდათანობით უფრო და უფრო მეტ მომხრეებს პოულობს და ყურადღების ცენტრში იმყოფება ინგლისში. მაგრამ, თუ დღემდი ამ ცვლილების მომხრე იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ ეკონომისტები, უკანასკნელ ხანებში ამ მოძრაობას შეუერთდენ ექიმებიც. ისინი აღნიშნავენ თუ რა უდიდესი ზიანი მოაქვს ინგლისის მოსახლეობისათვის კვამლს და მჭვარტლს, რომელსაც მრავლათ ისვრიან აუარებელი ფაბრიკა-ქარხნების და, ნაწილობრივ, საცხოვრებელი ბინების მილები. ინგლისის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სანიტარული ექიმების მონაწილეობით უკვე დიდი ხანია ამუშავებს კანონპროექტს ჰაერის გაბინძურების შესახებ კვამლით. ეს პროექტი განსახილველათ შეტანილი იქნება პარლამენტში. ინგლისის სამეცნიერო და ტეხნიკურმა მუშაკებმა დაამზადეს სპეციალური აპარატები, რომელთა საშუალებით შეიძლება იმ ქვარტლის და სიბინძურის შეგროვება, რომელსაც ჰაერი შეიცავს და გამორკვევა იმისი, თუ რამდენათ დაბინძურებულია ჰაერი ამა თუ იმ რაიონში.

ამრიგად მოახერხეს გაგება იმისი, რომ წლის განმავლობაში რაოდენობა იმ ქვარტლის, რომელიც ამოდის ფაბრიკა - ქარხნების მილებიდან და გროვდება ჰაერში, წონით უდრის 3 მილიონ ტონას, ე. ი. იმდენია, რამდენ ნახშირსაც იღებენ სამი დღის განმავლობაში ინგლისის ყველა სამთამადნო მუშები. 1.200.000 მაღაროს მუშის სამი დღის შრომა მიდის იმაზე, რომ გაბინძურდეს ჰაერი — მთელი წლის განმავლობაში. ზიანი, რომელიც მოაქვს ქვარტლის განუწყვეტელ დაგროვებას ჰაერში, მრავალფეროვანია: ქვარტლი ალუშებს შენობებს და მათ ლითონის ნაწილებს. ხშირათ ბრკოლდება მოძრაობა ნისლების გამო. რომელთა წარმოშობას ხელს უწყობს ჰაერში კვამლის დაგროვება. სუსტდება დღის სინათლე და საჭირო ხდება ხელოვნური სინათლის გამოყენება, რაც დაკავშირებულია ზედმეტ ხარჯებთან. კვამლსა და დღის სინათლის არა საკმაობას ზიანი მოაქვს მცენარის მწვანე ნაწილებისა და ბალახებისათვის, რომლებშიც ბრკოლდება ვიტამინების წარმოშობა. ეს უკანასკნელნი დაკავშირებული არიან მცენარეულობათა სიმწვანესთან და ბოსტნეულის და საქონლის საკვებ ბალახების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. ვიტამინების სიმცირე, ამრიგად, გავლენას ახდენს არა მარტო აღნიშნულ პროდუქტების, არამედ რძის შემადგენლობასა და ხარისხზეც. ჰაერში დაგროვებული კვამლი და ნისლი ნთქავს იმ ნაწილს ულტრა-იის-ფერი სხივებისას, რომლებიც მზის კაშკაშის მთავარ მომქმედ ძალას წარმოადგენენ და ხელს უწყობენ ქიმიურ პროცესებს მცენარეებში.

ინგლისის საექიმო გამოკვლევათა ნაციონალური ინსტიტუტის გამოანგარიშებით, ჰაერში კვამლის დაგროვების გამო იკარგება ულტრა-იისფერი სხივების ⅓—¼. კვამლს იმდენი ზარალი მოაქვს, რამდენი ზარალიც მოდის ნახშირის წვის დროს ინირგიის დაკარგვის გამო.

ნახშირის წვის დროს 90% ინირგიისა ტყუილად იკარგება. გაზის ქარხნებში ნახშირს ხდიან და იქ ინირგიის დაკარგვა არ აღემატება 75%. გარდა ამისა. ნახშირის გამოხდის დროს ღებულობენ [illegible] პროდუქტებს—ფისს, საღებავებს, მიწის ხელოვნურ სასუქს და სხვ.

უდიდესი აღმოჩენა

ფრანგმა ფიზიკოსმა ემილ პიკარმა სამეცნიერო აკადემიაში, პარიზში, განაცხადა, რომ ჰოლანდიელმა მეცნიერმა კესსომმა გაზისებური ჰელიუმი სითხეთ აქცია. მიუხედავათ მრავალი ცდებისა, მეცნიერებმა დღემდი ეს ვერ მოახერხეს. ჰელიუმი ითვლებოდა გაზათ რომლის გადაქცევა სითხეთ შეუძლებელია.

იურიდიული დახმარება

შტატგარეშე დარჩენილები სარგებლობენ თუ არა რკინისგზის შეღავათიანი ტარიფით

კითხვა

მე ვმუშაობდი თბილისის ერთ-ერთ დაწესებულებაში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდან. ამ ბოლო ხანებში მომჭირნეობის რეჟიმის გატარების დროს სხვებთან ერთად მეც მოვყევი შტატის შემცირებაში. მე ვიყავი ჩამოსული დონის როსტოვიდან, რომელიც ითვლება ჩემი მუდმივი ბინადრობის ადგილად მე კი წასასვლელი ფული არა მაქვს.

გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო რკინისგზის შეღავათიანი ტარიფით სამშობლოში ჩემი გაგზავნა.

არმ. ა—ლი.

პასუხი

თანახმად საკავშირო საბ. რესპ. შრომის სახკომატის 1924 წ. 15 ნოემბრის ცირკულიარი № 66/208-ის შტატსგარეშე დარჩენილ სახელმწიფო წამოწყება - დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთ (ამ შემთხვევაში თქვენც) აქვთ უფლება (გზათა სახკომატის, შრომის სახკომატის და სოც. უზრ. სახკომატის 1925 წ. 31 ოქტომბრის № 302, (გამოქვეყნებულია ა.-კ. შრ. სახკომატის „მოამბე"-ში № 28) ინსტრუქციის წესების ფარგლებში) მოითხოვოთ საშუამავლო ბიუროდან შეღავათიან მოგზაურობის ტალონი, თუ კი თქვენ სამსახურიდან დათხოვნისათანავე განუცხადეთ ამის შესახებ საშუამავლო ბიუროს და თუ თქვენ არა უგვიანეს ოთხი კვირისა, როგორც უმუშევარი, აყვანილ იქენით საშუამავლო ბიუროს აღრიცხვაზე. (იხ. საკავშირო საბ. რესპ. შრომის სახკომატის 1923 წ. 8 დეკემბრის განმარტება № 165 35 — გამოქვეყნებულია ამ.-კავ. შრომის სახკომატის 1924 წ. „მოამბე" № 11-ში.)

რამდენი უნდა გადავიხადო ბინის ქირა?

კითხვა

მე ვცხოვრობ თბილისში (მე-7-დი ფერმა) ავლაბარის ქუჩა სახლი № 50-ში მიჭირავს ერთი ოთახი 13 კვადრატ. არშინი, შიგ ვცხოვრობ ცოლშვილით სამი სული, მე ვმუშაობ ა.-კ. რკ. გზ. მთავ. სამასალო საწყობში შავი მუშად ჯამაგირს ვიღებ მე-5-თი ხარისხით 28 მან.; ვარ კავშირის წევრი (წიგნაკის № 29978).

რამდენი უნდა გადავიხადო ოთახის ქირად.

მუშა დიმიტრი პარასტაევი.

პასუხი

როგორც ქალაქის განაპირა უბანში მცხოვრები თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ერთ კაპიკს.

პარტიული კალენდარი

დღეს, 23 ივლისს, დილის 8 საათზე შესდგება **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა. სავალდებულოა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.**

— პარასკევს, 23 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება უჯრედებზე მიმაგრებულ ამხანაგების თათბირი კომკავშირის ქალაქის რაიონის უჯრედების მდივნებთან ერთად.

— ის ამხანაგები, რომლებიც ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტისა და სამაზრკომისათვის წალხვდომილი განაწილებით იგზავნებიან აღმოსავლეთ მშრომელთა კომუნისტურ ამხ. სტალინის სახელობის უნივერსიტეტში ვალდებული არიან გამოცხადდენ ც. კ. აგიტპროპში ა. წ. 25 ივლისს, დილის 10 საათზე.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპის მდივანი:—
მინდაძე.

სონია და ცაბურა ნესტორის ასულნი ჯაფარიძეებისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ა-წ. 14 ივლისს, ქალაქ ტაშკენტში, უდროოთ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარა რძალი

ვერა ალექსანდრე ერისთავის ასული
ჯაფარიძისა

ცხედარის ჩამოსვენების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

3211

ღრმად დამწუხრებულნი: ქმარი პავლე უჯმაჯურიძე, დედა—ბარბალე, დები - გაიანე, ელენე და ლიუდი, ძმა ზოსიმე, დეიდები—ფეფე და ვერა, ბიძა პავლე მარშანია, დეიდაშვილები—მარო და გრიშა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა-წ. 20 ივლისს ტრაღიკულათ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ანასტასია (ნადია)
რამიშვილი-უჯმაჯურიძისა

დაკრძალვა დღეს, გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან საღ. 5 საათზედ კუკიის სასაფლაოზე.

საზაფხულო აპოლო (ბაღი „არტო", პლეხ. № 105).

საზაფხულო ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)

სოლეი

ბ. 1446 0—17

დღეს და ყოველდღე

პირველად თბილისში საუკეთესო სურათი კოვანკოს, რიმსკის და კოლინის მონაწილეობით

ქალი ნიღაბში

ჩ ქ ა რ ა: „ქალი მთის მწვერვალებიდან"

პირველად თბილისში
„შოპენის მე-15-ე პრელიუდია"
კოვანკოს, იუჟაკოვას, ანდრე ნოქსის მონაწილეობით.

ედი პოლო სურათში
საბედისწერო ხანჯალი
უკანასკნელი 5—6 სერია ერთად.
ჩ ქ ა რ ა: „ქალი გზაჯვარედინზე" (მონიკა ლერბიე) ვიქტორ მარგერიტის რომანით.

იცემა იჯარით

— ქ. თბილისში —

ახლად კაპიტალურათ შეკეთებული 3 სართულიანი შენობა (ყოფილი „ორიანტი")

სასტუმროსათვის

ქალაქის ცენტრში, რუსთველის გამზირზე, სახალ. კომის. საბჭოს შენობის წინ.

70 საუცხოვოთ დამზადებული ოთახი (ამთგან 10 აპარტამენტი სამი განყოფილებისაგან შემდგარი), ელექტრონის განათებით, წყალსადენით და კანალიზაციით; ყველა ოთახში ყოველ დროს თბილი და ცივი წყალი. ქვედა სართულში ახლად მოწყობილი განყოფილება რესტორანისთვის.

სახურავზე ვერანდა—ბაღი

თვითეულ სართულში მოთავსებულია სალონი სტუმრების მისაღებათ.

ცნობების მიღება შეიძლება თბილისში, რუსთველის გამზ. № 23, შავიქვის წარმოების სამმართველო:
ნ. 1576

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველთა

საყურადღებოდ

დამატებად განათლების კომისარიატის განცხადებისა უნივერსიტეტის გამგეობაც საჭიროდა სთვლის აუწყოს დაინტერესებულ პირთ, რომ სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ განცხადება უნდა შემოტანილ იქნეს უნივერსიტეტთან არსებული „სტუდენტთა მიმღები კომისიის" სახელზე ამა წლის 1 აგვისტოდან 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე, ჩარიცხვა კი—15—20 სექტემბრამდე.

განცხადებასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქნეს დედანი და ორ-ორი პირი შემდეგი საბუთებისა: 1. განათლებისა, 2. წლოვანებისა, 3. სოციალური მდგომარეობისა ადგილობრივი აღმასკომიდან ან პროფკავშირთა საბჭოსაგან, 4. მისი ან მშობლების ჯამაგირის (ან საშემოსავლო გადასახადის) რაოდენობის იმავე დაწესებულებიდან, 5. სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების, 6, ანკეტა და 7. ორი ფოტოგრაფიული სურათი სათანადოთ შემოწმებული, 8. ხუთი მანეთი გამოცდების ჰონორარად. ჩარიცხვის მსურველებმა უნდა აღნიშნონ განცხადებაში—რომელ ფაკულტეტზე ან განყოფილებაზე სურთ ჩარიცხვა. უნივერსიტეტში შემდეგი ფაკულტეტებია: 1. **პეტაგოგიური,** განყოფილებები: ისტორიული, ლიტერატურული, ფიზიკო-მათემატიკური, საბუნებისმეტყველო, 2. **ენათმეცნიერების,** განყოფილება ლინგვისტური და ენთოლოგიური, 3. **სამკურნალო-ფარმაცევტიული** განყოფილებით, 4. **აგრონომიული,** განყოფილებები: სასოფლო სამეურნეო, მებაღეობა-მეღვინეობის, მეტყეობის, 5) **სოციალ ეკონომიური,** ეკონომიური და იურიდიული განყოფილებებით, 6. **პოლიტეხნიკური,** განყოფილებები: მექანიკური, საამშენებლო. სამთო-მადნო.

უნივერსიტეტში შემსვლელთათვის, რომელ ფაკულტეტზედაც არ უნდა იყოს სავალდებულოა გამოცდების ჩაბარება შემდეგს საგნებში:

მათემატიკაში (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია) ფიზიკაში, საზოგადო ენათმეცნიერებასა და ქართულ წერაში.

ბ. 1591 2—1

სამშენებლო კომისია სასტ. „ორიანტ"-ისა

ამით აცხადებს, რომ 27 ივლისს საღ. 5 ს. „ორიანტ"-ში

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფანჯრების ჩარჩოების მინებით, ხის კარებების, ღუმლის კარებების, მარმარილოს პირსაბანების და სხვის გასასყიდათ. წინასწარ დათვალიერება შეიძლება იქვე ყოველდღე 9-დან 1 საათამდე

2—1 ბ. 1585

გაზ. „კომუნისტი"-ს

მთავარი კანტორა წინადად ბას აძლევს ჭიათურის გამგე **გოგელიას,** ზუგდიდის კონტრაგენტ **რუდის** და სამტრედიის კონტრაგენტ **მ. წულაიას** გამოცხადდენ მთავარ კანტორაში აგვისტოს 5-მდე ანგარიშების შესადარებლად და გასასწორებლად.

0—1 გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"

(ქართულ ენაზე)

მ ი ს ა მ ა რ თ ი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34

0—1

თბ. ელექტრო-ანაგებთა სამმართველო

(თავ. მოედანი, 2 ყოფ. თამამშევის ქარვასლა 2 სარ.)

აცხადებს, რომ ქალაქის ფარგლებში ძველი ელხაზების (ელქსელის) ახალზე გადაკეთება-მოწყობასთან და ასეთის ახლად დადგმულ ბოძებზე გადატანასთან დაკავშირებით იხსნება ძველი არსებული ბოძები.

ამიტომ „ტელას"-ი სთხოვს ყველა იმ დაწესებულებათ, რომელთაც აქვთ მოწყობილი ელსმენის ან სხვა გაყვანილობანი (ხაზები) აღნიშნულ ბოძებზე (ძაგ. განოვის, სოლოლაკის და სხვა ქუჩებზე) ერთი კვირის განმავლობაში შეუთანხმონ „ტელას"-ის ელექტრო-ტეხნიკურ განყოფილებას საკითხი მათ სრულიად მოხსნის ან გადატანის შესახებ.

აღნიშნულ ვადის განვლის შემდეგ, ბოძები მოიხსნებიან და „ტელას"-ი იხსნის ყოველივე პასუხისმგებლობას, როგორც საელსმენო და სხვა კავშირის დარღვევისათვის ისე თვით ელსმენის ხაზების მთლიანობაში.

სამმართველოს გამგე: **ცანავა**

ბ. 1590 საქმეთა მმართველი **გრომაშვილი.**

ქ. ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების

წევრთა საზოგადო კრება

დანიშნულია ა-წ. 31 ივლისს. დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) მოხსენება საორგანიზაციო კომიტეტის
2) ხარჯთაღრიცვა
3) არჩევა სამი გამგეობის წევრის
4) არჩევა საბჭოს წევრების
5) არჩევა სარევიზიო კომისიის
6) მიმდინარე საკითხები

საორგანიზაციო კომიტეტის
თავმჯდომარე **ს. კვანტრიშვილი.**

3209

მუშათა ახალი კლუბი

(ყოფილი ქართული კლუბი სასახლის ქუჩა № 5)

დღეს, პარასკევს 18 ივლისს

სიმფონიური კონცერტი

დამსახ. მსახიობ. ს. ა. სტოლერმანის ხელმძღვანელობით.

დასაწყისი საღ. 9 საათ ზედ.

შემდეგი სიმფონიური კონცერტი კვირას, 25 ივლისს. უამინდობის გამო კონცერტი არ გადაიდება. ნ. 1593

თბილისის დამზღვევი კასა

ამით აუწყებს ყველა დაზღვეულებს, წარმოება-დაწესებულებებს და სხვადასხვა ორგანიზაციებს, რომ დამზღვევ კასაში ა წ. 20 ივლისიდან მუშაობა იწარმოებს დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 5 ნახ. საათამდე.

4—4 ნ. 157 გ ა მ გ ე ო ბ ა.

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 26 ივლისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 3 ანჩისხატის ქუჩაზედ **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გიორგი გოგინოვის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილებას შეფასებულს 116 მანეთად. კომუნალურ ბანკის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 2 მარტს, 2 აპრილს 1926 წ. თარიღით, № 893, 1467 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1592

ქ. თბილისის მეოთხე რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი პ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ ივლისის 26, დღის 12 საათზე ივანე ლევანისძე ხატიევის ღვინის საწყობში სადგურის ქ. სახლ. № 21, პირველი **საჯარო ვაჭრობით** გაყიდულ იქნება 300 ვედრო თეთრი კახური ღვინო, 1925 წლის მოსავლისა, 5 ბოჭკაში. ღვინო აწერილია ხატიევის ვალში და შეფასებულია 850 მანეთი. ნ. 3213

ექიმი ჯალალოვი

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.

მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

სათვალეების მორგება უ ფ ა ს ო დ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდთა მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").

გარდა საექიმო, ხიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 3—1

ექიმი შ უ ხ მ ა ნ ი

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89 25—1

ე ქ ი მ ი
გ. ნ. ონანოვი

ივილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ვანყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—3

სამკურნალო საწოლებით მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ს უ რ ა მ ი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.

ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ 7 საათამდის მისამარ.: აგარაკი მეიერისა.

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი

საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ ბორჯომში 13—1

ექიმ მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9. საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ე ქ ი მ ი
მ ე ბ რ ა ბ ი ა ნ ც ი

ფილტვების, გულის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

დავკარგე შვებულების მოწმობა, მოცემული რაჭის სამ. პარტკომის მიერ, დავით ხახიასძე ლობჟანიძის სახელზე, ჩ. გ. ქ. 3215

დავკარგე თბილისის სათერშლო სკოლის დამთავრების მოწმობა. მოსე რაჟდენისძის გალოგრეს სახელზე, ჩ. გ. 3217

დავკარგე საწევრო წიგნაკი № 22 გალაქტიონ კოკელაძეს სახელზე, ჩ. გ. ქ. 3216

დავკარგე საანგარიშო წიგნაკი № 2 ვალიკო კირვალიძეს სახელზე, ჩ. გ. ქ. 3214

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ფურცელი ფორმა № 4. გრიგოლ იოსებისძე გვარამიას სახელზე, ჩ. გ. 3212

დავკარგე პროფ-კავშირის წიგნაკი № 1085 სოლომონ ვლადიმერისძე ჯავახიშვილის სახელზე, ჩ. გ. ქ. 3210

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 6ა